პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- [illegible] მოძრაობის გაძლიერება ჩინეთში.
- ბერლინის პროკურატურამ დაასრულა საბრალდებლო ოქმის შედგენა ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა საქმეზე.
- საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წერილი [illegible]
- რუმინეთის პოლიცია ბინებს ართმევს [illegible] პროფკავშირებს.
- პოლონეთის პრესის ანტი-საბჭოთა კამპანია.
- განზრახულია ინგლის. ამერიკის არაოფიციალური მოლაპარაკება ჟენევაში საზღვაო შეიარაღების საკითხზე.
- საქართველოში ეწყობა ახალი მექანიკური ქარხანა.

ხუთშაბათი, 18 აპრილი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 87 (2433)

დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე
შესდგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი: ს. თოდრია

მუშების უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით

ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პურის გამოცხობა-განაწილების მოწესრიგებას. ეს სავსებით გასაგებია იმ სიძნელეებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოიჭრა მშრომელ მასების პურით უზრუნველყოფის მხრივ, და აგრეთვე იმ უდიდესი როლის გამო, რომელსაც ეს პროდუქტი თამაშობს ჩვენი მოსახლეობის გამოკვებაში. პურის წიგნაკების შემოღებამ ამ საქმეში არსებითი ცვლილებები შეიტანა: თავის ულუფა პურს მშრომელნი დაუბრკოლებლივ ღებულობენ, ფურნეებთან რიგები მაშინათვე გაქრა, მოისპო პურით ექსპლოატაცია და მისი დაუზოგავი მფლანგველობა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გამომცხვარ პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად და სწარმოებს ბრძოლა ყოველგვარ ბოროტმოქმედებასთან ამ დარგში.

შემდეგშიაც ჩვენ ოდნავადაც არ უნდა შევანელოთ ყურადღება პურის საკითხისადმი, მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს სათანადო ორგანოების ზრუნვა მუშა-მოსამსახურეების სხვა სურსათ-სანოვაგით მომარაგებაზე. სინამდვილეში კი ამას ვერ ვხედავთ, და მეტ წილად ამის გამო სასურსათო ბაზარზე მდგომარეობა სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამ დღეებში ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა შედეგები ამიერ-კავკასიის ბაზრის გამოკვლევისა, რომელიც ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა. ამ გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, რომ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასები ძალზეა გაზრდილი. ასე, მაგალითად, რძის პროდუქტების ფასები 1926-27 წ. გადიდებულია საშუალოდ 5,6 პროცენტით, 1927-28 წ. 10,16 პროც., ხოლო მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში 32,9 პროც. ხორცის ფასები: 1926-27 წ. 7,8 პროც., 1927-28 წ. 9,3 პროც. და 1928-29 წ. თებერვლამდე 6,7 პროც. ბოსტნეულის ფასები კერძოდ თბილისში, მიმდინარე წელს გაზრდილა 38—46 პროცენტამდე. საგრძნობი გაძვირება ემჩნევა ზოგიერთ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსაც.

მოყვანილი ცნობები ჩვენ დაჟინებით გვიკარნახებენ უაღრესი ყურადღება მივაქციოთ სასურსათო საკითხების მოგვარებას. უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების ხმარების ნორმების გადიდება ერთი მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირებს მოთხოვნილებას პურზე, რაც უკანასკნელის ეხლანდელი დეფიციტის პირობებში განსაკუთრებით საგულისხმოა, ხოლო მეორე მხრივ იგი, რამდენადაც ხსენებული პროდუქტები ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო ნივთიერებათა დიდ პროცენტს შეიცავენ, ხელს შეუწყობს მშრომელთა ფიზიკურ გაჯანსაღებას.

როგორ უნდა მოვაწესრიგოთ ეს საქმე? საჭიროა კოოპერაციამ, პირველ რიგში მუშათა კოოპერაციამ გააძლიეროს დამამზადებელი მუშაობა, რომელიც დღემდე ძალზე მოიკოჭლებს. მან პირდაპირ უნდა დასდვას შეთანხმებანი გლეხთა საწარმოო გაერთიანებებთან და სოფლის სხვა სათანადო ორგანიზაციებთან. ეს რამოდენიმე მხრივაა საყურადღებო: თვითონ მწარმოებელი მშრომელი გლეხობა გვერდს აუხვევს კერძო ვაჭარს, რითაც გლეხი უფრო ხელსაყრელ ფასებში გაასაღებს თავის ნაწარმოებს; ბაზრიდან განდევნილი იქნება კერძო კაპიტალი, რომელიც ზოგიერთ სურსათის, უმთავრესად ბოსტნეულის ბაზარზე კვლავ მაგრად გრძნობს თავს; განმტკიცდება ქალაქის ეკონომიური კავშირი სოფელთან; ხელშეკრულებათა და კონტრაქტაციის საფუძველზე გლეხობის მიერ სურსათის დამზადებას გეგმიანი ხასიათი მიეცემა; ამავე დროს, ცხადია, მუშა-მოსამსახურენი უზრუნველყოფილი იქნებიან კარგი ხარისხის და შედარებით იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

დამამზადებელ მუშაობასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბოსტნეულის გაშენების ორგანიზაციას სამრეწველო ცენტრების ახლო მდებარე რაიონებში. ავიღოთ თბილისი. მას აკრავს დიდძალი მიწები, რომელთა გამოყენება სავსებით შეიძლება საბოსტნე მეურნეობისათვის. პირველ ყოვლისა მუშათა კოოპერაციამ უნდა იკისროს ეს საქმე. ამავე დროს მიზანშეწონილი იქნება თვით მუშების და მათი ოჯახების ჩაბმა ამ მეურნეობაში. ამ მიმართულებით რუსეთში იდგმება პირველი ნაბიჯები. მაგალითად „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა"-ს მუშები შეუდგნენ კოოპერატიულ ნიადაგზე საბოსტნე საქმის მოგვარებას. მათ გადასწყვიტეს მომავალ ზაფხულისათვის მოაწყონ საბოსტნე უბანი 250-300 ოჯახისათვის. ამგვარ საქმეს, როგორც უკვე აღნიშნეს, მნიშვნელობა ექნება არა მარტო ბოსტნეული პროდუქტებით მუშების მომარაგებისათვის, არამედ იგი ერთ-ერთი მხრივ საუკეთესო საშუალებაა მათი გონიერი, ფიზიკური ვარჯიშობისათვის და მათი თვითმოქმედების განვითარებისათვის. ჩვენ გვგონია, რომ ეს მაგალითი ჩვენშიაც უნდა გამოვიყენოთ. გარდა სათანადო ახსნა-განმარტებისა, ამისათვის, ცხადია, დაგვჭირდება სათანადო ორგანიზაციული მუშაობის გაწევა და კრედიტის გაღება. ეს საკითხი ღირს იმად, რომ ის მუშათა საზოგადოებრიობის ყურადღების საგნად გადაიქცეს.

ცალკე უნდა შევეხოთ სასოფლო-სამეურნეო ფასების საკითხს. ეს ფასები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მეტად მაღალია. ამას ჩვენ უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ და ხსენებული პროდუქტები აუცილებლად მისაწვდომი გავხადოთ ფართე მასებისათვის. ვაჭრობის ორგანოებთან ერთად, კოოპერატიულმა საზოგადოებრიობამ ამ ფასების დაკლებისათვის ენერგიული მუშაობა უნდა აწარმოოს.

ამავე დროს ფხიზელი ყურადღება უნდა მიექცეს ბოსტნეული, რძის და სხვა პროდუქტების ვაჭრობის მოწესრიგებას კოოპერატივებში და მათი ხარისხის გაუმჯობესებას. ცხადია, ეს საქმე უფრო ძნელია, ვიდრე, მაგ., სამრეწველო საგნების მიღება და განაწილება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მალე ფუჭდებიან, მაგრამ სიძნელე უნდა იქნას გადალახული მტკიცე, გამოცდილი და მზრუნველი ხელით. ჩვენში მომწესრიგებელმა და კოოპერატიულმა ორგანოებმა ამ მიმართულებით მეტი უნარი და საქმიანობა უნდა გამოიჩინონ, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

მეექვსე გაკვეთილი

გუშინ ჟენევაში გაიხსნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მეექვსე სესია. ჟენევის „მშვიდობისმოყვარე" პროგრამის ხუთი წარსული ნომრის და მათი გაკვეთილების მიხედვით, ძნელი არ არის ვიწინასწარმეტყველოთ მე-6 ნომრის გასცენიურობის ფინალი. ჩვეულებრივი უაზრო კომედიები გემოვნება-განუვითარებელ მაყურებლებს იზიდავენ კეთილ-სასურველი დასასრულით, მაგრამ ყოვლად უაზრო ჟენევის კომედიები ვერ ახერხებენ ამგვარი კეთილ-სასურველი „კუდის" გამობმას, და ეს კომედიები „ხალხზე" უფრო და უფრო ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ლიტვინოვმა თავის სიტყვაში მოხდენილად დაახასიათა „გამოუვალი და გადაულახავი ჩიხი", რომელშიაც მოემწყვდა მოსამზადებელი კომისია—ერთა ლიგის ეს ღირსეული შვილი. მან გაჰკიცხა „თვალთმაქცობა და დაუსაბუთებლობა ამა თუ იმ მთავრობის მითითებისა ეროვნულ ინტერესებზე, რომლებიც ვითომ ხელს უშლიან მის ქვეყანას განიარაღდეს". საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის სიტყვა ემყარება უდაო, შეურყეველ ფაქტებს. ერთა ლიგა მალე იდღესასწაულებს მის წესდებაზე დიდი სახელმწიფოების მიერ ხელისმოწერის ათი წლის იუბილეს. ლიგის არსებობის განმავლობაში მისი მეთაურობით მუშაობდნენ და მუშაობენ ათეული განიარაღების კომისიები, ქვეკომისიები, კომიტეტები და ექსპერტები: ამ ხნის განმავლობაში შემუშავებულ იქნა ასეული რეზოლიუცია და პროექტი განიარაღების, ეროვნული უშიშროების და სადაო საკითხების მოწესრიგების შესახებ.

მერე, რა შედეგები მოჰყვა ყველა ამას?

უდიდესი მილიტარისტული მანქანა, რომელსაც მართავენ ძლიერი კონცენტრაციაქმნილი მონოპოლისტური კაპიტალის სამხედრო და საერო მსახურნი, „თავისი" და სხვა დამონავებული ხალხების ორგანიზმს აცლის სასიცოცხლო ძალას. უდიდეს სამხედრო ქარხნებში, გემთსაშენებლებში, საიდუმლოდ დაცულ ქიმიურ ლაბორატორიებში სწარმოებს ხალხების ამ სასიცოცხლო ძალის გადამუშავება რაციონალიზაციაქმნილი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მილიარდ ყუმბარებათ და ტყვიებათ. მილიარდ კუბომეტრ მახრჩობელ გაზებად. სრული დატვირთვით და უფრო და უფრო აჩქარებული ტემპით მუშაობს ეს საშინელი მანქანა. საერთაშორისო-პოლიტიკური ატმოსფერა იკუმშება. იქმნება სამხედრო კავშირები, დიპლომატიური კომბინაციები, ბლოკები, კონტრბლოკები იმპერიალისტური ბანაკის შიგნით, რომლის ყველანი ერთად ამზადებენ თავდასხმას მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოზე. იმპერიალიზმი მსოფლიო საბრძოლო დაფაზე აწყობს ფიგურებს მომავალი მოახლოებული ომისათვის. ყველა ეს ფაქტი სავსებით ადასტურებს მდგომარეობის იმ ანალიზს და პროგნოზს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ გააკეთა მოსამზადებელი კომისიის წინა სესიებზე. იზრდება დასავლეთის ფართო მასების თანაგრძნობა საბჭოთა წინადადებებისადმი. მშრომელი მასები გრძნობენ, რომ მათ წინაშე აღმართულია ომის მახვილი. მშრომელთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენებშიაც კი იჩენს თავს შიში და ეჭვი კაპიტალისტური მსოფლიოს ბედ-იღბლის გადამწყვეტთა მიმართ. და აი იმისათვის, რომ ამ მასებს თვალები აუხვიონ პაციფისტური ფრაზებით, მოატყუონ და გააბრიყვონ ისინი, იწვევენ ჟენევის მორიგ ხალაყბობს. რადგან იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა საფუძვლად გადაიქცა ინგლის-ამერიკის კონფლიქტი, ამიტომ მოსამზადებელი კომისიის მეექვსე სესიასთან დაკავშირებით, პირველ რიგში ინგლისის და შეერთ. შტატ. მმართველი წრეები სცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება „მშვიდობიანობის დასამყარებლად".

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შეიძლება განმეორდეს უდიდესი საზღვაო სახელმწიფოების (ინგლისი, შეერთებული შტატები, იაპონია) ისეთივე კონფერენცია, როგორიც 1927 წელს მოხდა. იმპერიალისტები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან მტკიცე სოლიდარობის ძაფებით ყველა იმ საკითხში, რომელიც მშრომელთა მასებს შეეხება. მშრომელთა მასების დამშვიდებას ერთნაირად სცდილობს კელოგის მოადგილეც სტიმსონიც და ჩემბერლენიც.

ჩემბერლენს ამჟამად ამის შესახებ განსაკუთრებული მოსაზრებანი აქვს. ინგლის-ამერიკის ურთიერთობის გამწვავების საკითხი ინგლისის არჩევნებში მცირე როლს არ ითამაშებს. ლოიდ-ჯორჯი და მაკდონალდი იმედოვნებენ—პოლიტიკური კაპიტალი შეიძინონ კონსერვატორების უგუნური და ჯიუტი პოლიტიკის კრიტიკით.

ცნობილი კონსერვატორი ლორდ როტერმირიც კი იძულებულია აღიაროს, რომ „შიში, რომელიც გამოწვეულია დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთისაგან თანდათანი დაშორებით, უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება საარჩევნო კამპანიისათვის („დეილი მეილი", 2 მარტი). ამიტომ კონსერვატორებისათვის ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შიშის შესუსტებას და ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს ისინი ცდილობენ მშვიდობიანობის დამყარებას დიდი ბრიტანეთის უძლიერეს მეტოქესთან.

მაგრამ ძნელი არ არის იმის გათვალისწინება, რომ თუ საზღვაო კონფერენცია შესდგა, იგი ყოვლად უნაყოფო იქნება. ლაპარაკი ცრუ პაციფისტებისა მაკდონალდის მეთაურობით იმის შესახებ, რომ საჭიროა გადაყენებულ იქნან ადმირალები და სიტყვა უნდა მიეცეს „გამოჩენილ პოლიტიკოსებს"—ან იდიოტიზმია, ან უმეცრება (შეიძლება ამ მაღალ თვისებათა ქიმიური ნარევიც). თუ სამთა კონფერენცია 1927 წელს ჩაიშალა იმ ტეხნიკური საკითხის გამო, რომელიც შეეხებოდა კრეისერების ტონაჟსა და ტიპს, ეს იყო ლოღიკური შედეგი იმისა, რომ შეურიგებელია ინგლისისა და შეერთებული შტატების საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ანტაგონიზმი.

ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ მოვლენების განვითარებას, უნდა ველოდეთ ამ კონფლიქტის არა შესუსტებას, არამედ გამწვავებას. „დეილი ტელეგრაფ"-მა მხოლოდ ამ დღეებში აღნიშნა შიშით, რომ ამერიკის კონგრესმა ფლოტის საჭიროებისათვის გადასდო ისეთი თანხები, რომლებიც, თუ დავუჯერებთ ინგლისის საადმირალოს გამოანგარიშებას, აღემატებიან ინგლისის მიერ ამ მიზნისათვის გადადებულ თანხებს. მეორეს მხრით, ინგლისის დიპლომატია ეხლა ყოველგვარი საშუალებით სცდილობს გააფართოვოს ინგლის-საფრანგეთის ბლოკი, ჩააბას ამ ბლოკში იტალია და ამგვარად შექმნას ანტი-ამერიკული კოალიცია. ყოველივე ეს რაღაც არა ჰგავს ახლო მომავალში „მშვიდობიანობის დამყარებას". ფაქტები მეტად თვალსაჩინოა.

ბუნებრივად იბადება საკითხი: რას აკეთებს საბჭოთა დელეგაცია ჟენევაში, სადაც ვითარდება კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა, ამ ვითომდა მშვიდობის მოყვარეთა მოქმედება?

საბჭოთა დელეგაცია ბურჟუაზიული დიპლომატების გულისათვის კი არ გაემგზავრა ჟენევაში, იგი გაემგზავრა მშრომელთა გულისათვის, რომელთა მოტყუებაც სურთ ბურჟუაზიულ დიპლომატებს. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ჟენევაში მთელი მსოფლიოს წინაშე კვლავ დასვა ომის, მშვიდობიანობისა და ომის საფრთხის საკითხი, ომის საფრთხისა, რომელიც ლიტვინოვის სიტყვით, რომ ვსთქვათ, არასოდეს „არ გამოსახულა ასე მკვეთრად და აშკარად ყველასათვის, როგორც ეხლა". მან ყველა ამ კეშენდენებს, გიბსონებს, მასილებს და კომპანიას გარკვეულად დაუსვა საკითხი—გსურთ თუ არა განიარაღება? საბჭოთა მკაფიო და გარკვეული წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ნამდვილ და არა ქაღალდზე განიარაღებას, კვლავ აიძულებენ თვალთმაქც ბურჟუაზიულ დიპლომატებს გასცენ ერთგვარი პასუხი.

რაიმე ილიუზიების შექმნა ამ პასუხის ხასიათის გამო იქნება არა მარტო გულუბრყვილობა, არამედ პირდაპირ ბოროტმოქმედება საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ. ყოველმა შეგნებულმა მუშამ საბჭოთა კავშირში და დასავლეთში უნდა შეიგნოს, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მოქმედებას, რომელიც სრულ ბურჟუაზიულ გარემოცვაში იმყოფება, წინ ელობებიან უდიდესი დაბრკოლებანი. მას შეუძლია მარტო საკითხის დასმა, გადაწყვეტა კი შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატს. მილიტარიზმის მონობიდან მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს— საბჭოთა კავშირის დაცვა მსოფლიოს ბურჟუაზიის მომავალი თავდასხმისაგან თვით პროლეტარიატის საქმეა.

ამისათვის საჭიროა სისტემატიური, შეურიგებელი და დაუნდობელი ბრძოლა არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც, რადგან რას წარმოადგენს, თუ არა მასების საძაგელ და უსინდისო მოტყუებას, იმის ცდა, რომ საპეტიციო კამპანიის საშუალებით და ერთა ლიგაში „დელეგაციის გაგზავნით" დაარწმუნონ მასები, რომ ჟენევის სალაყბოს—ბურჟუაზიული დიპლომატების ამ სპეკულიანტურ ბირჟას პაციფისტური ნილაბით,—შეუძლია დაიხსნას კაცობრიობა მილიტარისტული ჭირისაგან? გაუგებარია მხოლოდ, რა საჭირო იყო დელეგაციის გაგზავნა და ფოსტის დატვირთვა პეტიციებით, როცა ერთა ლიგა და მეორე ინტერნაციონალი, მახლობელი და ნათესაური დაწესებულებანი არიან, რომლებიც მჭიდრო სულიერ და ორგანიზაციულ კონტაქტში იმყოფებიან. დელეგაციის წევრს, მეფის ყოფილ მინისტრს სოციალ დემოკრატ დებრუკერს ჯერ კიდევ ამას წინად ლიგაში ეჭირა თანამდებობა ლოუდენისა, რომელიც ეხლა, როგორც მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე, იღებს ამ დელეგაციას. მეორე ინტერნაციონალის მეორე წარმომადგენელი ალბერტ ტომა შრომის ლიგასთან არსებულ შრომის ბიუროში გამოაცხობს მისთვის მთელ „მუშათა პოლიტიკას". ყველა ესენი, — სოციალ-რენეგატები — დებრუკერი, ტომა, რენოდელი და ველსი—მსოფლიო ომში ემსახურებოდნენ თავიანთ მშობლიურ ბურჟუაზიის ინტერესებს, იყვნენ მათი დამქაშები და ხოცვა-ჟლეტისათვის მილიონობით ჰგზავნიდნენ ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილ მუშებსა და გლეხებს. შემდეგ ისინი თანამშრომლობდნენ ბურჟუაზიასთან ყაჩაღური ვერსალის „ზავის" დადებაში და მთელი ეხლანდელი მილიტარისტული სისტემის შექმნაში. მისი უდიდებულესობის ყოფილ პირველ მინისტრს რამზეი მაკდონალდს ერთ ხელში ეჭირა სახარება, ხოლო მეორეთი ხელს აწერდა თანხების გადიდებას კრეისერების აგებისათვის. მეფის მეორე მინისტრი ბელგიის სასახლეში, მეორე ინტერნაციონალის აღიარებული „თეორეტიკოსი" ემილ ვანდერველდე მონაწილეობას იღებდა პატარა ბელგიის ბურჟუაზიის ყველა საშინელ კოლონიალურ საგარეო პოლიტიკურ საქმეში, ამ კოლონიების სასტიკი ყვლეფის საქმეებში. ჰინდენბურგის კანცლერი სოციალ-დემოკრატი ავგუსტ მიულერი მაკდონალდის მაგალითის მიხედვით ხელს აწერს თანხების გადადებაში ჯავშნოსანის ასაგებად და გრაფ ბერნსტორფის საშუალებით ერთა ლიგაში არსებითად სცდილობს გერმანიის შეიარაღებას სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოების თანასწორად, ამავე დროს, იგი, მიულერი, ველსის კოლეგა, როგორც მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის მონაწილე, იმავე ლიგას სთხოვს—გადასწყვიტოს განიარაღების „დელიკატური ამოცანა". რა საძაგელი თვალთმაქცობაა, რა საზიზღარი ფარისევლობაა! და ყველა ამათ კიდევ აქვთ თავხედობა ეჭვი შეიტანონ იმაში, თუ რამდენად გულწრფელია საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ.

ყოველივე ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მთელ მსოფლიოს მუშებს, განსაკუთრებით ეხლა, როცა სწარმოებს პროლეტარული ძალების საპირველმაისო საერთაშორისო მობილიზაცია მილიტარიზმისა და მის მიერ შექმნილი კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ.

„პრავდა", 17 აპრილი.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის VI სესიაზე

ამხ. ლიტვინოვი მოითხოვს განიარაღების საბჭოთა პროექტის განხილვას

ჟენევა, 16 აპრილი. კამათი განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მე-6 სესიის დღის წესრიგის შესახებ დაიწყო გერმანიის დელეგატის ბერნსტორფის განცხადებით, რომლის აზრითაც, ლოუდონის წინადადებები ეწინააღმდეგებიან მე-5 სესიის გადაწყვეტილებას.

„მე-5 სესიამ,— განაცხადა ბერნსტორფმა, —დაადგინა, შეიტანოს მე-6 სესიის დღის წესრიგში მეორედ წაკითხვა განიარაღების კონვენციისა, რომელიც შემუშავებულ იქნა 1927 წელს. თუ მოსამზადებელი კომისია დაარღვევს თავისავე გადაწყვეტილებას, იგი დასცემს თავის პრესტიჟს".

ბერნსტორფი მხარს უჭერს წინადადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა პროექტი განხილულ იქნას კონვენციის მეორედ წაკითხვამდე. იგი გარკვეულ პასუხს მოითხოვს კონვენციის მეორედ წაკითხვის საკითხის შესახებ.

ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თავმჯდომარე გიბსონი შეუერთდა ლოუდონის მიერ წამოყენებულ დღის წესრიგს, რომელიც, მისი აზრით, სავსებით დააკმაყოფილებს ბერნსტორფის სურვილსაც.

გიბსონის შემდეგ სიტყვა მიეცა ლიტვინოვს, რომელსაც დამსწრეებმა დიდის ყურადღებით მოუსმინეს. თავის სიტყვაში ლიტვინოვმა, სხვათა შორის, განაცხადა:

„ჩვენ ვიხილავთ არა ტეხნიკურ საკითხს დღის წესრიგის ცალკე მუხლების გადაჯგუფების შესახებ, არამედ ღრმად პრინციპიალურ საკითხს, რომლის გადაჭრის დროსაც **კომისიამ უნდა სთქვას — დაუახლოვდება თუ არა იგი ამ სესიაზე განიარაღების პრობლემის ნამდვილ გადაჭრას, თუ ეს სესიაც ისევე უნაყოფოდ ჩაივლის, როგორც წინა სესიებმა ჩაიარეს.** შენიშვნები ზედმეტი იქნებოდა, მე რომ ერთ რამეში ვიყო დარწმუნებული, სახელდობრ: იმაში, რომ თავმჯდომარეს, როდესაც იგი პირველ მუხლად საბჭოთა პროექტის განხილვას აყენებს, მართლაც ჰქონდეს განზრახული საბჭოთა პროექტი საფუძვლად დაუდოს კომისიის ყველა შემდგომ მუშაობას. ჩემის მხრით, უსამართლობა იქნება, მივაწერო მას ასეთი, ალბად, მისი თვალსაზრისით, ერეტიკული, აზრი. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება თავმჯდომარის მიერ არა ერთხელ გაკეთებული განცხადება — კომისიის მუშაობა **„კომისიის მიერ წინად გაკვლეული გზებით" უნდა გაგრძელდეს, რაც კომისიის მიერ მიღებული და ეხლა უკვე ყველასათვის გასაგები ტერმინოლოგიით ნიშნავს კონვენციის ყოველგვარი პროექტის, მათ შორის საბჭოთა პროექტის, ფაქტიურ უარყოფას** იმ პროექტის სასარგებლოდ რომელიც დაამუშავა კომისიამ და რომელმაც გაიარა პირველი წაკითხვა ან, უფრო სწორად, პირველი წაკითხვის პირველი ნახევარი. **მე საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ წამოყენებული დღის წესრიგის მიზანს შეადგენს არა საბჭოთა პროექტის განხილვა არსებითად, არამედ ფორმალურად განხილვა საკითხის — შეუძლია კომისიას შეჩერდეს ამ პროექტზე, თუ მან თავიდანვე უნდა უკუაგდოს იგი და წინასწარ გათვალისწინებულის გზით გადავიდეს 1927 წლის პროექტის ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან მუხლებზე.** ჩემი მოსაზრებები რომ შემცდარი იყოს, მაშინ თავმჯდომარე დღის წესრიგში არ შეიტანდა, ისიც დადებითი ფორმით, ზოგიერთ სხვა მუხლებს, რომლებიც მთლიანად შედიან საბჭოთა პროექტშიაც. აქვე უნდა აღვნიშნო, **რომ საბჭოთა პროექტით შეიძლება გადაიჭრას თითქმის ყველა ის საკითხი, რომელიც ბერნსტორფის** (გერმანიის დელეგაციის მეთაური) **8 აპრილის მემორანდუმშია ჩამოთვლილი, აგრეთვე დელეგაციის ყველა სხვა წინადადება.**

1927 წლის პროექტი და საბჭოთა პროექტი ურთიერთს უარჰყოფენ და არ შეიძლება მათი ერთსა და იმავე დროს განხილვა. საბჭოთა პროექტს საფუძვლად უდევს სავსებით გარკვეული პრინციპები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან დღესვე გადაიჭრას საკითხი განიარაღებისა და მისი ფარგლების შესახებ, ხოლო მეორე პროექტი, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი მიღებულ იქნა, საბოლოოდ, მხოლოდ ტეხნიკური საკითხების გამო დისკუსიის შესაძლებლობას იძლევა და არავითარ პერსპექტივებს არ გვისახავს განიარაღებისა და მისი ფარგლების ძირითადი საკითხის გადასაჭრელად. **საბჭოთა პროექტით აცილებულია ის დაბრკოლებები, რომლებიც 1927 წლის პროექტს გადაეღობა ორი წლის წინად და რომლებიც დღესაც არ არის დაძლეული.** 1927 წლის პროექტი, გადაულახველ უთანხმოებათა გამო, გადაიდო კომისიის მე-3 და მე-4 სესიების დროს. მე-5 სესიაზე საფრანგეთის დელეგატმა განაცხადა, ხოლო კომისიის გარეშე ინგლისის დელეგატმა დაადასტურა, რომ იმედი აქვთ უთანხმოების მოგვარებისა. ამ შეთანხმების მოლოდინში კომისიამ კვლავ გადასდო პროექტთან დაკავშირებული მუშაობა. მას **შემდეგ განვლო წელიწადზე მეტმა, მაგრამ, როგორც წინად, ეხლაც მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს არ შეუძლია გვითხრას რაიმე სანუგეშო პროექტით გამოწვეულ უთანხმოებათა მდგომარეობის შესახებ.** რამდენადაც ჩვენ ნება გვაქვს ვიცოდეთ, **ეს უთანხმოებანი უფრო გართულდნენ ახალი საკითხებით და, ამნაირად, უფრო გამწვავდნენ კიდეც.** თავი იჩინა ახალმა წინააღმდეგობებმა, ამ შემთხვევაში ინგლის-საფრანგეთის კომპრომისსა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის თვალსაზრისებს შორის. ჯერ არც კი დაწყებულა მოლაპარაკება ამ წინააღმდეგობათა მოგვარების შესახებ. ეს ფაქტები მე აღვნიშნე მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის სახელზე 1928 წლის აგვისტოსა და დეკემბერში გაგზავნილ წერილებში და ძალიან გავოცდი, როდესაც თავის საპასუხო წერილში თავმჯდომარემ გამოსთქვა ის აზრი, რომ კომისია წარმატებით განაგრძობს მუშაობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წინად გაკვლეული გზებით ივლისო. გასაოცარია თავმჯდომარის უებარი ოპტიმიზმი, **თუ, მისი აზრით, კომისიის მუშაობა დღემდე წარმატებით მიმდინარეობდა.** თუ კომისიამ მომავალშიაც ასეთივე წარმატებით იმუშავა, მაშინ თვით ყველაზე უფრო სანგვინიური, ე. ი. ყველაზე უფრო აღტაცებული ოპტიმისტებიც კი დაჰკარგავენ განიარაღების, როგორც ერთა ლიგის მოსამზადებელი კომისიის შემოქმედების, იმედს.

ვსთქვათ, მახლობელი თვეების განმავლობაში დადგება ისეთი „ბედნიერი" პირობები, რომ ინგლისსა და საფრანგეთს საშუალება მიეცემათ დაიწყონ მოლაპარაკება ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ადრე თუ გვიან ამ მოლაპარაკებას წარმატებით დაამთავრებენ. მაგრამ **სად არის იმის გარანტია, რომ ეს შეთანხმება მისაღები იქნება სხვა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოლაპარაკებაში.** უკანასკნელ სესიაზე, როდესაც მას ეცნობა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკება დაიწყოო, იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ **იტალიის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება შებოჭილი იმ შეთანხმებით, რომელიც მიღწეული იქნება მისი მონაწილეობის გარეშე.** ამ შეთანხმების შესახებ მსჯელობის უფლება აქვთ აგრეთვე კომისიაში წარმოდგენილ დანარჩენ სახელმწიფოებს. გარდა ამისა, არა ერთი და ორი უთანხმოებაა მრავალ სხვა პუნქტის გამოც. თუ ამ უთანხმოებების გადასაჭრელად ისეთსავე პროცედურას მიმართავენ, როგორიც პირველმა უთანხმოებამ მოითხოვა, მაშინ მოსამზადებელი კომისიის სესიების ნუმერაციისათვის დაგვჭირდება არა ორნიშნიანი, არამედ სამნიშნიანი ციფრები. **კომისიის მიერ წამოყენებული გზა მიგვიყვანს ყველგან, მაგრამ არა წარმატებით საქმის დაგვირგვინებამდე.** ამ გადაულახავი უშედეგობის მიზეზია სწორედ გზა კომისიისა, რომლის მუშაობის მეთოდიც ითვალისწინებს შეიარაღების შემცირების არა საყოველთაო, სამართლიან და ყველასათვის სავალდებულო კოეფიციენტს, არამედ შეიარაღების ინდივიდუალურ ფისკაციას თვითეული სახელმწიფოს და ყველა მისი დამახასიათებელი თავისებურობის მიმართ. ამ მხრივ საგულისხმოა ერთა ლიგის 1921—22 წლის ანკეტების შედეგები ნაციონალური უშიშროების საჭიროებათა შესახებ, როდესაც თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცხადია, **უნდა გამოინახოს კრიტერიუმი სუბიექტიური ფაქტორების გარეშე. ასეთ კრიტერიუმს შეიცავს მხოლოდ საბჭოთა პროექტი ყველა სახის შეიარაღების პროპორციანალური შემცირების შესახებ, გამონაკლისით პატარა სახელმწიფოების სასარგებლოდ. საბჭოთა წინადადების მიღება ბოლოს მოუღებს საზღვაო სახელმწიფოებს შორის არსებულ უთანხმოებას და აგვაშორებს ასეთსავე და იქნებ უფრო მწვავე უთანხმოებებსაც ხმელეთის და საჰაერო შეიარაღებათა განხილვის დროს.**

კომისიის მუშაობიდან საერთოდ არა ჩანს, რომ მის მიზანს შეადგენდეს არსებული შეიარაღების რაიმე შემცირება. ამასთან დაკავშირებით, **საბჭოთა დელეგაციას დროულად მიაჩნია გარკვეულობის შეტანა საკითხში კომისიის მიზნების შესახებ.** ამ ეჭვებს იწვევენ, როგორც ზოგიერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მიერ, ამას წინად გაკეთებული განცხადებანი, ისე ის გარემოება, რომ მოსამზადებელი კომისია დაჟინებით ხმარობს ორმაგათ ორაზროვან ტერმინს „შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება", აგრეთვე ის, რომ განზრახულია განიარაღების კონკრეტული ციფრების კონსერვაცია, ესე იგი გადადება განიარაღების კონფერენციამდე. **ტერმინი „შეიარაღების შეზღუდვა" არმიის, ფლოტის და სამხედრო ბიუჯეტების გადიდებასაც კი ხდის შესაძლებლად.** ასეთი მოწესრიგება არაფრით არ განსხვავდება შეთანხმების იმ ცდებისაგან, რომლებსაც ჯერ კიდევ 1914 წლამდე მიმართავდნენ, მაგალითად, იმ „საზღვაო ვაკაციებისაგან", რომლების დაწესებაც განზრახული იყო ინგლისსა და გერმანიას შორის. ასეთი შეთანხმებანი არ შეეფერებიან ხალხის ფართო მასების მისწრაფებას — მოისპოს ან შემცირდეს მაინც ომის საფრთხე. სავსებით გასაგებია ოპოზიცია იმ საბჭოთა პროექტის მიმართ, რომელიც ითვალისწინებს ნამდვილ მომზადებას მნიშვნელოვანი განიარაღებისათვის ახლო მომავალში. ჯერ კიდევ მე-4 სესიაზე ამ წელიწადნახევრის წინად კომისიის მიერ ეგრედწოდებული გაკვლეული გზა დახასიათებულ იქნა, როგორც გამოუვალი და ბნელი ჩიხი. გავიდა ერთი წელი. ის სინათლე, რომელიც ზოგიერთ დელეგატს მოელანდა, მირაჟი გამოდგა და ჩიხში კიდევ უფრო ჩამობნელდა. საკითხავია —საჭიროა თუ არა კვლავ დაჟინება? თქვენ უფლება გაქვთ, ხთქვათ, რომ საბჭოთა დელეგაციასაც არ შეუძლია იმის გარანტიის მოცემა, რომ მოძრაობა დაუბრკოლებლივ განვითარდება მის მიერ დასახული გზით. თვით საბჭოთა დელეგაცია სხვებზე ნაკლებ ოპტიმიზმს იჩენს ამ საკითხში. მაგრამ მას შეუძლია დანამდვილებით განაცხადოს, რომ ამ შემთხვევაში ერთად-ერთ დაბრკოლებად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ ის, რომ მთავრობები არ გამოიჩენენ განიარაღების განხორციელების სურვილს.

მოსამზადებელ კომისიის თავმჯდომარემ გუშინ განაცხადა, რომ **მუშათა ორგანიზაციები თანდათან უფრო დიდ მოუთმენლობას იჩენენ და მოითხოვენ განიარაღების რაც შეიძლება დაჩქარებით განხორციელებას. თუ კომისიის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ ეს მოძრაობა მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს განიარაღების საქმეში, საბჭოთა დელეგაცია პირველი დაეთანხმება ამას. მაგრამ ეს მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ კომისია მიიღებს მუშაობის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმის გამომჟღავნებას, რომ თვალთმაქცური და უსაფუძვლოა ამა თუ იმ მთავრობის მითითება, ვითომ ნაციონალური ინტერესები ხელს უშლიან მის ქვეყანას განიარაღების იმავე ზომით, რა ზომითაც სხვა სახელმწიფოები თანხმდებიან.** საბჭოთა დელეგაციის მოთხოვნა პოულობს ახალ დამატებით გამართლებას ამ უკანასკნელი წლის მოვლენებში. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ომის საფრთხის გაძლიერება, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ მე-4 სესიაზე აღვნიშნავდით. **მე შემიძლია მოვიყვანო არა საბჭოთა ქვეყნების, არამედ სხვა ქვეყნების უაღრესად პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა და პარლამენტის წევრთა აურაცხელი ციტატები და სიტყვები, აგრეთვე პრესის განცხადებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ უკანასკნელ წელს ომის საფრთხე გაიზარდა.** მეორეს მხრივ—კელოგის პაქტი ფაქტად იქცა. **საბჭოთა მთავრობის ინიციატივისა და განსაკუთრებული ღონისძიებების მეოხებით კელოგის პაქტი უკვე ძალაში შევიდა 8 სახელმწიფოს ურთიერთობაში, ისიც ევროპის სწორედ იმ ნაწილში, რომელიც ყველაზე უფრო საშიშრად ითვლებოდა.** მართალია, კელოგის პაქტს ჯერ კიდევ არ მიუღია სავალდებულო ძალა ყველა მის მონაწილეს შორის, რადგან ერთ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია მისი რატიფიკაცია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დაბრკოლება ახლო მომავალში გაქრება ან ასე თუ ისე დაძლეული იქნება. მე სრულებითაც არა მსურს გავაზვიადო საერთოდ საერთაშორისო შეთანხმებათა და კერძოდ კელოგის პაქტის, როგორც მშვიდობიანობის გარანტიის, მნიშვნელობა. მე ვიცი საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევის მრავალი ფაქტი. მაგრამ, მეორეს მხრივ, მე არ შემიძლია გავიზიარო ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის აზრი. ესენი ხშირად სცდილობენ — შეამცირონ კელოგის პაქტის მნიშვნელობა ანალოგიურ საერთაშორისო შეთანხმებებთან შედარებით. ისიც კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ცდებს მიმართავენ გამამართლებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებათა შესაქმნელად იმ შემთხვევისათვის, თუ პაქტი დაირღვა. საბჭოთა მთავრობის თვალში კელოგის პაქტს მის მონაწილეთათვის აქვს არა ნაკლები სავალდებულო ძალა და იგი წარმოადგენს უშიშროების არა ნაკლებ გარანტიას, ვიდრე, მაგალითად, ლოკარნოს შეთანხმებანი ან ეგრედწოდებული საგარანტიო ხელშეკრულებანი, რომლებიც ერთა ლიგას სასურველად მიაჩნია, ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებანი.

საბჭოთა დელეგაცია ფიქრობდა და ეხლაც ფიქრობს, რომ ეხლანდელ პირობებში მშვიდობიანობის ყველაზე უფრო ნამდვილ გარანტიას წარმოადგენს სრული საყოველთაო განიარაღება. კონვენციის სათანადო პროექტის წარმოდგენას საბჭოთა დელეგაცია შესძლებს მხოლოდ განიარაღების საერთაშორისო კონფერენციაზე, **თუ ეს კონფერენცია ოდესმე მოწვეული იქნება. მანამდე კი დელეგაციას შემოაქვს პროექტი კონვენციისა შეიარაღების პროპორციონალური პროგრესიული შემცირების შესახებ, რაც ეხლავე თვალსაჩინოდ შეამცირებს ომის საფრთხეს და გამოდგება ეტაპად შემდგომი განიარაღებისათვის.** გთხოვთ, დასვათ ეს წინადადება დღის წესრიგში პირველ პუნქტად, მაგრამ არა იმისათვის, რომ უარჰყოთ იგი ფორმალური მოსაზრებებით, მისი სიახლის შიშისა და ძველი, თუმცა არა საიმედო, გზების მომხრეობის გამო, არამედ იმისათვის, რომ დეტალურად შეისწავლოთ და არსებითად განიხილოთ იგი. **მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ასეთი წინადადების მიღება გამოიყვანს კომისიას გაჭირვებიდან, აუნაზღაურებს მას ამაოდ დაკარგულ დროს და აიძულებს აღიაროს, რომ მოსამზადებელმა კომისიამ, ბოლოს, ნამდვილად მოჰკიდა ხელი განიარაღების საქმეს".**

ლიტვინოვისათვის პასუხის გასაცემად სიტყვა წარმოსთქვა კომისიის თავმჯდომარემ ლოუდონმა, რომელმაც განაცხადა, რომ, უწინდელი გადაწყვეტილებების თანახმად, იგი ვალდებული იყო აღენიშნა, რომ საჭირო იყო მუშაობის დაწყება უკვე გაკვლეული გზით. მაგრამ კომისიას შეუძლია შესცვალოს მუშაობის მეთოდები, შეუძლია ან სცნოს საბჭოთა პროექტი ლიგის პროექტთან შეუთავსებლად, ან მიიღოს საბჭოთა პროექტი შემდგომი მუშაობის საფუძვლად.

ლოუდონის განმარტების გამო, რომ კომისია იწყებს ლიგის პროექტის მეორე წაკითხვას, ბერნსტორფმა მოხსნა თავისი შენიშვნები დღის წესრიგის წინააღმდეგ, რადგან მხედველობაში მიიღო ის, რომ კომისია მეორე წაკითხვას შეუდგება საბჭოთა პროექტის განხილვის შემდეგ, თუ ეს პროექტი უარყოფილ იქნა.

თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ტევფიკ რუშდი-ბეიმ (თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა) განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია თანმიმდევრობით განხილულ იქნას საბჭოთა პროექტი და ჩინეთის წინადადებანი, აგრეთვე თურქეთის პროექტი, რომელიც, მისი სიტყვით, აგებულია სრულიად სხვა საფუძვლებზე, ვიდრე სხვა პროექტები (თურქეთის პროექტი ჯერ არ გამოქვეყნებულა).

ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჩან-ძო-პინმა სიტყვა წარმოსთქვა ჩინურ ენაზე (ეს პირველი შემთხვევაა ერთა ლიგის პრაქტიკაში). ჩან ძო-პინმა განაცხადა, რომ ჩინეთის წინადადებანი საყოველთაო სამხედრო ბეგარის გაუქმების შესახებ წარმოადგენენ ძირითად პირობას განიარაღების საკითხების გადაჭრისათვის და ლახვარს სცემენ მილიტარიზმს. მილიტარიზმი შეუთავსებელია ხალხის მისწრაფებასთან მშვიდობიანობისაკენ, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კელოგის პაქტში.

ლოუდონმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა, საბჭოთა პროექტი განხილულ იქნას დამოუკიდებლად იმისა, შეეთავსება იგი ლიგის პროექტს, თუ არა. ლოუდონმა წინადადება მისცა კომისიას — გადასწყვიტოს ეს საკითხი.

ბერნსტორფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სესია ვერ დაიშლება, თუ არ გადასწყვიტა საკითხი საზღვაო და ხმელეთის შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობის შესახებ და სამხედრო მასალის საკითხი.

ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ თუ მიღებულ იქნა საბჭოთა პროექტი, მაშინ ზედმეტი იქნება პირადი შემადგენლობის საკითხის და დღის წესრიგის სხვა საკითხების განხილვა, ვინაიდან ამ საკითხებს პირობითი მნიშვნელობა ეძლევა. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ მას ულოღიკოდ მიაჩნია დღის წესრიგში რამოდენიმე საკითხის შეტანა ერთსა და იმავე თემაზე.

ლოუდონმა გადასაჭრელად დასვა საკითხი— სურს თუ არა კომისიას განიხილოს საბჭოთა პროექტი, რათა გამოირკვია, წარმოადგენს თუ არა ეს პროექტი ბაზისს შემდგომი მუშაობისათვის ლიგის პროექტის ნაცვლად. დაიწყო ხანგრძლივი დისკუსია, რომელშიაც ზოგიერთი დელეგატი აშკარად სცდილობდა არევ-დარევის შეტანას.

კეშენდენმა განაცხადა, რომ მას არ ესმის, თუ რას უნდა ეყაროს კენჭი.

მარკოვიჩმა (სამხრეთ-სლავია) შეიტანა წინადადება, რომ კენჭი ეყაროს დღის წესრიგს მთლიანად.

ლიტვინოვმა შეიტანა წინადადება, რომ კენჭი ეყაროს მხოლოდ საკითხს საბჭოთა პროექტის განხილვის შესახებ. თუ ეს საკითხი უარყოფილ იქნა, კომისია გადასწყვეტს რა საკითხებს განიხილავს შემდეგ.

ლოუდონმა დასვა საკითხი დღის წესრიგის მთლიანად მიღების შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს საკითხი იმის შესახებ— განხილული იქნება თუ არა საბჭოთა პროექტი, რომლის მიღების შემდეგაც სხვა პროექტების განხილვა ზედმეტი იქნება.

ვინაიდან საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს, ლოუდონის მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი მიღებულად ჩაითვალა.

17 აპრილს გამოქვეყნდება თურქეთის წინადადება და მოხდება საბჭოთა პროექტის განხილვა (ადს).

მე-2 ინტერნაციონალის ლიდერების ანტისაბჭოთა ჟესტი

ჟენევა, 16 აპრილი. ერთა ლიგის წრეებში ირონიულად ეკიდებიან მე-II ინტერნაციონალის წარმომადგენლებს. ბევრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პეტიციების ნიაღვარი მე-II ინტერნაციონალმა გამოიგონა იმდენად არა იმისათვის, რომ მოახდინოს ზეგავლენა მშვიდობიანობის სასარგებლოდ, რამდენადაც იმისათვის, რომ ააცილოს ყურადღება განიარაღების საბჭოთა პროექტსო. ერთი ამერიკელი ჟურნალისტის სიტყვით, „მე-II ინტერნაციონალის ლიდერების მოქმედება ჟენევაში გარეგნულად მიმართულია ჟენევის წინააღმდეგ, ხოლო არსებითად — საბჭოების წინააღმდეგ". (ადს).

დებრუკერის განცხადება

ჟენევა, 16 აპრილი. მე-2 ინტერნაციონალის დელეგატმა დებრუკერმა მიიღო პრესის წარმომადგენლები, რომლებთან საუბარში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პეტიციების (მათი რიცხვი 7.500-ს აღემატება) კამპანიას, მისი აზრით, ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა. კომუნისტი ჟურნალისტი შეეკითხა დებრუკერს, რა აზრისაა მე-II ინტერნაციონალი საბჭ. პროექტების შესახებ და სთვლის თუ არა იგი თავის თავს მოვალედ მხარი დაუჭიროს საბჭოთა წინადადებას. დებრუკერმა განაცხადა: „თუ მოხერხდა საბჭოთა პროექტზე უკეთესი პროექტის გამომუშავება, მით უკეთესი, თუ არა და და, საფუძვლად საბჭოთა პროექტი მიიღონ. პირადად მე ვფიქრობ, რომ შეიძლება, ამ პროექტის შეცვლა უკეთესით. ყოველ შემთხვევაში, რაღაც უნდა გაკეთდეს"-ო. (ადს).

ამერიკის მორალური ჟესტები

ლონდონი, 16 აპრილი. როგორც „ტაიმს"-ის ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, ჟენევის წრეების აზრით, აუცილებელი საუბარი კეშენდენსა და გიბსონს (ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარე განიარაღების კომისიაში) შორის უეჭველად გადაიქცევა ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ მოლაპარაკებად.

„დეილი ტელეგრაფ"-ი ფიქრობს, რომ გიბსონს განზრახული არა აქვს წარადგინოს რაიმე კონკრეტული წინადადებანი. იგი, როგორც ჩანს, ინფორმაციის მიზნით აცნობებს კეშენდენს, რომ ამერიკის მთავრობას სურს აწარმოოს მოლაპარაკება ინგლისთან, იაპონიასთან და, შესაძლებელია, საფრანგეთთან და იტალიასთანაც შეთანხმებების დადების შესახებ საზღვაო საკითხებზე.

ამერიკის მთავრობას ესმის, რომ ასეთი კონფერენცია არ შეიძლება შესდგეს იმ დრომდე, სანამ ინგლისში არჩევნები არ მოხდება, ამიტომ ყოველი ინიციატივა გიბსონის მხრივ ამჟამად განხილულ უნდა იქნას უმთავრესად, როგორც მორალური ჟესტი.

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ნორტონი საბჭოთა კავშირის შესახებ

ლონდონი, 16 აპრილი. საბჭოთა კავშირში გამგზავრებული ინგლისელთა სამრეწველო დელეგაციის წევრმა ნორტონმა „მანჩესტერ გარდიენ"-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივები თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება, თუ აღდგენილ იქნება ნორმალური ურთიერთობა. ნორტონმა აღნიშნა საბჭოთა ვაჭრობის ხელმძღვანელთა საქმიანობა და შრომის უნარიანობა და დასძინა: საბჭოთა კავშირის საქმიანობის ორგანიზაციას ეტყობა ჭკუა და ნიჭი, მაგრამ მას აკლია მამოძრავებელი ძალა მეტოქეობისათვის. (ადს)

„ფხიზელი შეხედულება რუსეთზე".

ლონდონი, 16 აპრილი. კონსერვატიული მიმართულების ყოველკვირეულმა ჟურნალმა „სპექტეიტორ"-მა მოათავსა წერილი სათაურით—„ფხიზელი შეხედულება რუსეთზე". წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კონსერვატორები, ლიბერალები და მუშათა პარტია ერთი შეხედულებისანი არიან იმაზე, რომ უნდა ანაზღაურებულ იქნას არკოსზე თავდასხმის დროს მიყენებული ზარალიო. ჟურნალს აუცილებლად მიაჩნია ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება. „სპექტეიტორ"-ის სიტყვით, ბანკირებმა იმიტომ არ მიიღეს მონაწილეობა ინგლისის დელეგაციაში, რომელიც საბჭოთა კავშირში გაემგზავრა, რომ ფინანსიური წრეების ჩარევის საჭირო მომენტი დადგება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამრეწველო პიონერები გაჰკაფავენ გზას პრაქტიკული მოლაპარაკებისათვის. „სპექტეიტორ"-ი უერთდება პიატაკოვის განცხადებას, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა შეიძლება იყოს მხოლოდ სპორადიული იმდენად, რამდენადაც მას დამაკმაყოფილებელი ფინანსიური შეთანხმებები არ ახლავს. (ადს)

უთანხმოება ინგლისის მთავრობის წრეებში

ლონდონი, 16 აპრილი. როგორც ლიბერალური გაზეთი „სტარ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, მთავრობის წრეებში ადგილი აქვს საგრძნობ უთანხმოებას იმ საკითხის გამო, თუ რამდენად უნდა გაეწიოს ანგარიში ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს; კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბოლდუინს, როგორც ეტყობა, დელეგაციის განცხადებები პოლიტიკურად უფრო მნიშვნელოვან განცხადებებად მიაჩნია, ვიდრე მის კოლეგებს. დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ საყოველთაო არჩევნების შემდეგ განზრახულ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ხშირად იხსენიებენ კაბინეტის იმ წევრებს, რომელნიც ინგლის-საბჭოთა კავშირის დაახლოვების წინააღმდეგნი არიან.

ის ცნობები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა შეაკრიბა ავტორიტეტულ წრეებში, ადასტურებენ, რომ ბოლდუინმა მიიღო ზომები დელეგაციის წევრთა მოხსენებების მისაღებად. (ადს)

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 17 აპრილი. „სპარსეთ-ავღანისტანის საზღვარზე შექმნილ მდგომარეობის გამო გარეშე საქმეთა კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა მიიღო სპარსეთის საგანგებო სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ალიგოლი-ხან ანსარი.

ამხ. კარახანმა სპარსეთის ელჩს განუცხადა: სპარსეთის ზოგიერთი წრეების განზრახვას, რომ ბანდიტიზმთან ბრძოლის საბაბით დაიჭირონ ავღანისტანის ტერიტორიის ნაწილი, უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვება თვით სპარსეთისათვის, იგი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის მტერთა რიგებში ჩადგება და მოხდება მისი იზოლიაცია ამ სახელმწიფოებისაგან.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ **საბჭოთა კავშირის მთავრობა გულგრილად ვერ შეხვდება ავღანისტანის დამოუკიდებლობის შელახვის ცდას** და მიმართავს სპარსეთის მთავრობას, რათა მან ზომები მიიღოს სპარსეთის უპასუხისმგებლო წრეების იმ გეგმების წინააღმდეგ, რომლებიც შეეხებიან ავღანისტანის დამოუკიდებლობას.

ამავე დროს გარეშე საქმეთა კომისარიატმა ინსტრუქციები გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას თეირანში, რათა მან ასეთივე განცხადება წარუდგინოს უშუალოდ სპარსეთის მთავრობას".

ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა საქმე

ბერლინი, 16 აპრილი. პროკურატურამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ბრალდება ანტისაბჭოთა ყალბი საბუთების დამამზადებელთა წინააღმდეგ. ორლოვსა და პავლანოვსკის, იგივე სუმაროკოვს ბრალდება თაღლითობა და სიყალბის ჩადენა, როსმანს — „წერილების" გატაცება ტრილისერისაგან და ყალბი საბუთების დამამზადებელთათვის ხელის შეწყობა. ბრალდებაში არაფერია ნათქვამი ზინოვიევის ყალბი წერილის შესახებ (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„შეურაცხყოფილი" ჯალათი

კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელების მფარველნი

მოსკოვი, 17 აპრ. მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია საკუთარი კორესპონდენტების ცნობა ბერლინიდან. კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ 16 აპრილს ბერლინში დაიწყო სენსაციური პოლიტიკური პროცესი, რომლის მთავარ საგანსაც შეადგენს კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის გარემოების გამოკვლევა.

საქმე იმაშია, რომ ყოველკვირეულ ორგანო „ტაგებუხ"-მა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის ათი წლის თავზე მოათავსა წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ გამომძიებელი იორნე, რომელსაც დაკავებული ჰქონდა აღნიშნული მკვლელობის საქმის წარმოება, განზრახ აჭიანურებდა კვლევა-ძიებას და ხელს უწყობდა ბრალდებულებს პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევაში. მან არა თუ მიიღო ზომები კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობაში დამნაშავე სამხედრო პირების დასასჯელად, არამედ ხელი შეუწყო მთავარ დამნაშავე პირის ციხიდან გაქცევასაც.

უწინდელი გამომძიებელი იორნემ, რომელმაც კარიერა გაიკეთა ამ ბნელი კომბინაციებით და რომელსაც ამჟამად გერმანიის უზენაეს სასამართლოს პროკურორის თანამდებობა უჭირავს, „შეურაცხყოფილად" იგრძნო თავი „ტაგებუხ"-ის გამოსვლით და საჩივარი აღძრა აღნიშნული ჟურნალის რედაქტორის წინააღმდეგ. ბრალდებულის დამცველნი ამტკიცებენ სასამართლოს სხდომაზე, რომ კარლ ლიბკნეხტი მოკლულ იქნა არა თითქოს გაქცევისათვის, არამედ წინასწარ შემუშავებულ დაწვრილებითი გეგმით.

პროცესი, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობს, როგორც ეტყობა, საკმაო ხანს გაგრძელდება.

უნდა გამოიძებნოს მასიურ დღესასწაულების ახალი ფორმები

მოსკოვი, 17 აპრილი. მოსკოვის პრესაში განსაკუთრებით „კომსომოლსკაია პრავდა"-ში აღძრულია საკითხი საპირველმაისო დღესასწაულის ჩატარებისათვის ახალი ფორმების გამოძებნის შესახებ. საერთო აზრი ასეთია: დღესასწაულის ჩატარების არსებული ფორმები მოძველდა და გაშაბლონდა, საჭიროა გამოიძებნოს დემონსტრაციების აქტივიზაციის საშუალებები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონსტრაციებზე მუსიკალური საქმის მოწესრიგებას. ეხლა, როცა არ არის შემუშავებული მასიური დემონსტრაციების მუსიკალური რეპერტუარი, როცა დაქსაქსულია მუსიკალური ძალები, მასების ორგანიზაციის ეს ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი—მუსიკა ჰკარგავს დემონსტრაციებზე თავის მნიშვნელობას. პარტიის აგიტპროპ განყოფილებებმა, პროფკავშირთა კულტგანყოფილებებმა, სკოლებმა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაცია-დაწესებულებებმა უნდა გამოსძებნონ ახალი ფორმები იმისათვის, რომ ჩვენი რევოლიუციონური დემონსტრაციები უფრო შინაარსიანი და ფართე მშრომელი მასების კიდევ უფრო მიმზიდველი იყვეს.

დისპუტი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ

მოსკოვი, 17 აპრილი. გუშინ ამხ. ვოროვსკის სახელობის კლუბში შესდგა მეტად საინტერესო დისპუტი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ. დისპუტში მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ ცნობილმა მუშაკმა.

საერთო აზრი, რომელსაც იზიარებდა ყველა მოკამათე, ესაა ის, რომ ანტისემიტიზმი უნდა ჩაითვალოს კონტრრევოლიუციის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოხატულებათ. ორატორები ანტისემიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აყენებდნენ პრაქტიკულ წინადადებებს. ასე მაგალითად, მიუთითებდნენ იმაზე, რომ ანტისემიტს უნდა გამოეცხადოს ბოიკოტი, რომ ანტისემიტი უნდა გასამართლებულ იქნას ამხანაგურ სასამართლოს წესით. გარდა ამისა აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ანტისემიტების განდევნა საბჭოთა აპარატიდან. ამავე დროს ორატორების აზრით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მასების ინტერნაციონალურად აღზრდას.

სხვა ორატორებს შორის აღვნიშნავთ ამხ. ლარინს, რომელიც მოითხოვდა რეპრესიების გაძლიერებას ანტისემიტების წინააღმდეგ. მას უპასუხებდა ამხ. კიროვი, რომელიც აღნიშნავდა, რომ რეპრესიულ ღონისძიებებთან ერთად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასების პოლიტიკურ-კულტურულ აღზრდას.

„რევოლიუციის თეატრის" გასტროლები თბილისში

მოსკოვი, 17 აპრილი. მოსკოვის „რევოლიუციის თეატრი" საგასტროლოდ მიემგზავრება თბილისში, ერევანში და ბაქოში. თეატრის რეპერტუარში შედის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" და სხვ.

„დროშა" № 7
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

ერთი თვის პატიმრობა

ვარშავა, 16 აპრილი. ხოლმში მუშურ-გლეხური გაზეთის „ნოვე ჟიტია"-ს რედაქტორს სასამართლომ მიუსაჯა ერთი თვის პატიმრობა იმ წერილის დაბეჭდვისათვის, რომელიც შეეხებოდა უკრაინული სკოლის დევნას დასავლეთ უკრაინაში (ადს).

შტეინიკეს მიუსაჯეს 9 თვით დაპატიმრება

ბერლინი, 17 აპრილი. ლეიპციგის სახელმწიფოს სასამართლომ „როტე ფანე"-ს პასუხისმგებელ რედაქტორს შტეინიკეს მიუსაჯა 9 თვით დაპატიმრება და 100 მარკით დაჯარიმება იმის გამო, რომ „როტე ფანე"-ში გამოქვეყნებული იყო გერმანიის კომპარტიის ცეკას ცნობილი მოწოდება ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, იმავე მოწოდებისათვის 1 წლით და 8 თვით დაპატიმრება მიუსაჯეს ამას წინედ კომუნისტური პარტიის ორგანოს „კემფერ"-ის (ეს გაზეთი ხემნიცში გამოდის) რედაქტორს გაუშლიხს. გარდა ამისა ამ მოწოდების გამო აღძრულია კიდევ რამოდენიმე საქმე. ბრალდებულმა და დამცველმა უარი განაცხადეს სასამართლოს კამათში მონაწილეობაზე, რადგან მოსამართლენი აშკარად იჩენდნენ ცალმხრივობას. შტეინიკემ საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ იგი ეხლაც მოაწერს ხელს გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდების ყოველ სიტყვას. კომუნისტური პარტია და მთელი კომუნისტური პრესა მომავალშიაც, ისევე როგორც წინედ, მიუხედავად ტერორისა, განაგრძობს დაუნდობელ ბრძოლას ახალი იმპერიალისტური ომის როგორც აშკარა, ისე საიდუმლო მომზადების წინააღმდეგ (ადს).

უმუშევართა რიცხვის შემცირება გერმანიაში

ბერლინი, 17 აპრილი. მარტის მეორე ნახევარში შემცირდა იმ უმუშევართა რიცხვი, რომლებიც დახმარებას იღებენ. ამჟამად ასეთ უმუშევართა რიცხვი შეადგენს 1.885 ათასს, ხოლო მარტის პირველ ნახევარში ეს რიცხვი უდრიდა 2.224 ათასს (ადს).

გერმანიის კომპარტიის დიდი გამარჯვება

ბერლინი, 16 აპრილი. „როტე ფანე" ჯამს უკეთებს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნებს „ელექტრონის საყოველთაო კომპანიის" ბერლინის საწარმოებში და აღნიშნავს, რომ ამ საწარმოთა 55.000 მუშიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა რევოლიუციონურ ფრთას მისცა.

გაზეთის სიტყვით, ბერლინის ლითონის მრეწველობის დიდ საწარმოთა პროლეტარიატმა მხარი დაუჭირა რევოლიუციონურ კლასობრივი ბრძოლის პარტიას, ვინაიდან ბერლინის მელითონენი დგანან გაფიცვის წინაშე, რომელიც მიმართული იქნება როგორც დამქირავებლების, ისე რეფორმისტი ლიდერების წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ გაფიცვის წინაშე სდგას აგრეთვე 400.000 რკინისმჭედელი და რურის ოლქის მემაღაროე, და ამბობს: საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნების შედეგი გულისხმობს პროლეტარიატის კონტრშეტევაზე გადასვლას და ომის გამოცხადებას ბურჟუაზიის, სახელმწიფოს, კაპიტალის და რეფორმიზმის წინააღმდეგ (ადს).

საბჭოთა ნავთის ექსპორტის ზრდა*)

მოსკოვი, 17 აპრილი. 1928 წ. 1-ლი ოქტომბრიდან 1929 წ. 1-ლ აპრილამდე საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში გატანილ იქნა — 1.500.000 ტონა ნავთის პროდუქტი, ნაცვლად 1.127.000 ტონისა, რომელიც გატანილი იყო 1927—28 წლის სათანადო პერიოდში, ე. ი. საბჭოთა ნავთის ექსპორტი 33 პროც. გაიზარდა. ფულად გატანილ ნავთის პროდუქტების ღირებულება ნახ. წლის განმავლობაში უდრის 45 მილ. მან., ნაცვლად 39 მილ. მანეთისა 1927—28 წლის პირველ ნახევარში. განსაკუთრებით გაიზარდა ნავთის პროდუქტების ექსპორტი ინგლისში, ესპანეთში და აღმოსავლეთ ქვეყნებში, კერძოდ თურქეთში. ექსპორტი ინგლისში, შარშანდელთან შედარებით, თითქმის ორჯერ გაიზარდა. ასევე გაიზარდა ექსპორტი ესპანეთში. საბჭოთა ნავთის ექსპორტი თურქეთში უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში შეადგენს 87.000 ტონას, ნაცვლად 50.000 ტონისა წინა წლის ასეთსავე პერიოდში.

მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე ხელსაყრელია საბჭოთა ნავთისათვის. მოლაპარაკება, რომელიც ამერიკაში სწარმოებს მსოფლიო ნავთის ტრესტებს შორის, ნავთის საექსპორტო კარტელის შექმნის შესახებ, კიდევ უფრო გააძლიერებს ინტერესს საბჭოთა ნავთისადმი, განსაკუთრებით ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებსაც ნავთის საკუთარი წყაროები არ მოეპოვება. (ადს).

სამოქალაქო ომი ჩინეთში

აჯანყებულთა მოძრაობა

ვაშინგტონი, 16 აპრილი. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, ხანკოუში მიღებულ ცნობების თანახმად, აჯანყებულთა ჯარი უახლოვდება ძიანსის პროვინციის სამრეწველო ცენტრს—კანჯოუს (110 კილომეტრის მანძილზე ხუნან-ძიანის საზღვრიდან). ამერიკის მისიამ ჩინეთში ამერიკელ მოქალაქეებს ურჩია წავიდნენ კანჯოუდან. ამავე დროს კონსულმა ძიანსის პროვინციაში ეროვნულ მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა კანჯოუში გაგზავნის ჯარი ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების დასაცავად.

ხუბეის პროვინციიდან მიღებული ცნობებით, იქ მოუკლავთ ამერიკელი მისიონერი და დაუჭრიათ ამერიკელი ჟურნალისტი. (ადს).

ჩან-ძუნ-ჩანი ეროვნულ მთავრობასთან შერიგებას აპირებს

პეკინი, 16 აპრილი. „ჩინბაო"-ს ცნობით ჩან ძუნ-ჩანმა (ჩან ძო-ლინის თანამებრძოლი, შანდუნის ყოფილი გუბერნატორი, რომელმაც ორი თვის წინად დაიწყო სამხედრო მოქმედება ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ შანდუნის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) თხოვნით მიმართა ჩან სუეჲ-ლიანს, რათა ამ უკანასკნელმა იკისროს შუამავლობა მის და ეროვნულ მთავრობას შორის. ჩან ძუნ-ჩანი სთხოვს ეროვნულ მთავრობას—იცნოს მისი ხელისუფლება ჩიფუს რაიონში, რის სამაგიეროდ ჩან ძუნ-ჩანი იკისრებს მხარი დაუჭიროს ეროვნულ მთავრობას. (ადს).

გუანსიელებმა ძარცვა-გლეჯა დაიწყეს

შანხაი, 16 აპრილი. როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, გუანსიელების ჯარი, რომელიც უკან იხევს, ხუნანის პროვინციაში ძარცვა-გლეჯას ეწევა. უცხოელნი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ჩანდეში (ხუნანის ჩრდილოეთ ნაწილში, 60 კილომეტრის მანძილზე ხუბეის საზღვრიდან). ქალაქში დანგრეულია „აზიატიკ პეტროლეუმ"-ის ნავთის კომპანიის კანტორა და კათოლიკეთა მისია.

სამხედრო მოქმედება ხუბეის პროვინციაში

შანხაი, 16 აპრილი. ხუბეის დასავლეთ ნაწილში სამხედრო მოქმედება გრძელდება. იჩანის რაიონში ძლიერი სროლაა. სროლის დროს დასჭრეს სამი მეზღვაური, რომლებიც იმყოფებოდნენ ინგლისის გამანადგურებელ გემზე. სროლა აუტეხს ამერიკის გემს. იჩანში პანიკაა, ვაჭრობა შეჩერებულია. ნანკინის ჯარმა, ყუმბარების დაშენის შემდეგ, დაიჭირა ქალაქი სიია (იჩანის აღმოსავლეთით). ინგლისის გემებმა შესწყვიტეს ნაოსნობა იანძიზე, ხანკოუს ზევით. ხანკოუში განუწყვეტლივ მოდიან ნანკინის ჯარის ნაწილები.

გომინის საგენტოს ცნობით, კანტონის ხელისუფლება ემზადება გუანსიელების ჯგუფის გასანადგურებლად, თუ ეს უკანასკნელი კვლავ მტრულად იმოქმედებს ეროვნული მთავრობისადმი. (ადს).

დაბრკოლება შანდუნის ევაკუაციის საქმეში

პეკინი, 16 აპრილი. გოვენის საგენტოს ცნობით, უკანასკნელ დღეებში მოულოდნელად წარმოიშვა დაბრკოლება შანდუნიდან იაპონიის ჯარის ევაკუაციისათვის, კერძოდ, დაბრკოლება ჩინეთის ჯარისათვის ძინანის პროვინციის გადაცემის გარშემო.

ბრიგადა სუნ ლიან-ჩენისა, რომელიც ეროვნულმა მთავრობამ დანიშნა შანდუნის ჯარის სარდლად, მოულოდნელად დაბრუნდა შანდუნის პროვინციის დროებით დედა-ქალაქში—ტაიანში. ამიტომ იაპონიის ჯარი, რომელიც უკვე ვაგონებში იყო მოთავსებული, ძინანში დარჩა. ცნობილია, რომ სუნ ლიან-ჩენი მოქმედებდა ეროვნული მთავრობის ბრძანების თანახმად. შანდუნის დროებით პროვინციალურ მთავრობას, რომელიც ფინ იუი-სიანის გავლენის ქვეშ იმყოფება, წინადადება მიეცა—იკისროს ძინან-ცინდაოს რკინის გზის მართვა-გამგეობა და იხელმძღვანელოს ეროვნული მთავრობის გზათა სამინისტროს ინსტრუქციებით.

იაპონიის საგენტო ნიპონ დემპოს ტიან-ძინელი კორესპონდენტის ცნობით, 1.600 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა ჩან კაი-შის მომხრის ფან ჩე-ნუს მეთაურობით ტიანძინში წავიდა ტოვხოუს რაიონის (50 კილომეტრის მანძილზე ძინანიდან) დასაჭერად. (ადს).

ფინ იუი-სიანი უარჰყოფს

შანხაი, 16 აპრილი. ფინ იუი-სიანი კვლავ უარჰყოფს „ბოროტი განზრახვით გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ კონფლიქტი ფინ იუი-სიანსა და ეროვნულ მთავრობას შორის" აუცილებელია. იგი აცხადებს, რომ განკურნებისთანავე ნანკინში ჩავა. (ადს).

კონსერვატორების საარჩევნო მანევრები

ლონდონი, 16 აპრილი. ჩერჩილის მიერ თემთა პალატაში შეტანილი პროექტი ახალი ბიუჯეტისა, როგორც ეტყობა, სავსებით შეფარდებულია საარჩევნო მიზნებთან. ბიუჯეტის ყველაზე უფრო დამახასიათებელ მხარეს შეადგენს ჩაის გადასახადის გაუქმება, რამაც მუშათა წრეებში სათანადო შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს. ბიუჯეტით გათვალისწინებულია ლუდის მრეწველთა ამორიცხვა იმ კატეგორიიდან, რომელსაც გადასახადები უნდა შეუმცირდეს. ამის მიზნად აქვს კონსერვატორების დაცვა იმ ბრალდებისაგან, რომ ისინი ამდიდრებენ უიმისოდაც შეძლებულ მწარმოებელთა კატეგორიას. მეთევზეთათვის სანავთსადგურო ბაჟის მოსპობის მიზანი, როგორც ეტყობა, შეადგენს ის, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს მეთევზეთა მოთხოვნას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა გზების გაუმჯობესებისა, შემუშავებულია იმ გეგმების გავლენით, რომელნიც უმუშევრობის შემცირებას შეეხებიან და რომელთაც მუშათა პარტია და ლიბერალები ადგენენ. ბოლოს, გადასახადების შემცირება სოფლის მეურნეობაზე, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია ბიუჯეტით, მიზნად ისახავს მთავრობისათვის ფერმერების დახმარების უზრუნველყოფას. (ადს).

სკოტლანდ-იარდის „სენსაციის" გამო

ლონდონი, 16 აპრილი. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება პრესაში დაბეჭდილი ცნობების გამო, რომლებიც შეეხება სკოტლანდ-იარდში დაწყებულ გამოძიებას. განცხადებაში ნათქვამია, რომ კომპარტიამ არაფერი არ იცის ამ საქმის შესახებ და არც ერთი თვალსაჩინო კომუნისტი არ დაუბარებიათ სკოტლანდ-იარდში, როგორც ამას პრესა იუწყებოდა.

„კომპარტიას,—ნათქვამია განცხადებაში, — სკოტლანდ-იარდის „სენსაცია" მიაჩნია მთავრობის საარჩევნო ხერხად, რათა შთაბეჭდილება მოახდინოს მუშათა კლასის ამომრჩევლებზე". (ადს).

ფაშისტური რეაქციის თარეში რუმინეთში

რევოლიუციონური პროფკავშირების დევნა

ვენა, 16 აპრილი. რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, დაბეჭდეს უნიტარული პროფკავშირების ხელგომები კლაუზენბურგსა და პლოეშტში, აგრეთვე მათი კუთვნილი მუშათა სახლები ტარგუმურეშსა, არადსა და კრონშტადტში. ბუქარესტში დაბეჭდეს მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანოს „ინაინტე"-ს რედაქცია. კიშინევში აკრძალეს მუშურ-გლეხური გაზეთი „პრავდა" და არადში მუშური გაზეთი „ვირადატ"-ი.

მთავრობის გაზეთები იუწყებიან, რომ ხელისუფლებას განზრახული აქვს მოახდინოს კონფისკაცია პროფკავშირების უძრავი ქონებისა, რომელსაც 20 მილიონ ლეიად აფასებენ.

საპროტესტო კრების დაშლა

ვენა, 16 აპრილი. ბუქარესტიდან იუწყებიან: მუშურ-გლეხურმა ბლოკმა და რუმინეთის უნიტარულმა პროფკავშირებმა 14 აპრილს სცადეს საპროტესტო კრების გამართვა მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის დევნის წინააღმდეგ. პოლიცია გარს შემოერტყა დარბაზს, სადაც კრება იყო, გაშფანტა დამსწრენი და დააპატიმრა კრების 78 მონაწილე. დაპატიმრებულთა ნაწილს ბრალდება მონაწილეობის მიღება ტემეშვარის ამბებში.

გროფუ სასიკვდილოდ არის დაჭრილი

ვენა, 16 აპრილი. რუმინეთის გაზეთები უარჰყოფენ ცნობებს უნიტარული პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარის გროფუს სიკვდილის შესახებ. გროფუ ტემეშვარში მძიმედ დასჭრეს იმ დროს, როცა პოლიცია თავს დაესხა პროფკავშირების სახლს. გროფუ საავადმყოფოში წევს და სიკვდილის პირად არის მიმდგარი. (ადს).

ბულგარეთის კომპარტიის ცეკას მიმართვა

ვენა, 16 აპრილი. ვენურმა „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა ბულგარეთის კომპარტიის ც. კომიტეტის მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი იმ დევნის გამო, რომელსაც განიცდის კომუნისტური მოძრაობა ბულგარეთის მთავრობის მხრით. მოწოდება აღნიშნავს: კომპარტიის წინააღმდეგ ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის ახალი გალაშქრება, რის მაჩვენებელიც არის პარტიის თვალსაჩინო მუშაკის სტოიანოვისა და კომპარტიის ბევრი სხვა წევრის დაპატიმრება, წარმოადგენს ფაშისტური პოლიტიკის გამოხატულებას, რომელსაც მიზნად აქვს რევოლიუციონური მოძრაობის იზოლაცია კომპარტიის გავლენისაგან.

მოწოდება აღნიშნავს, რომ სტოიანოვის სიცოცხლე საფრთხეშია. ფაშისტური მთავრობის ოფიციალურ ცნობას სტოიანოვის თვითმკვლელობის განზრახვის შესახებ მიზნად აქვს დამფაროს მთავრობის სურვილი: ფიზიკურად მოსპოს დიდი პროლეტარული მებრძოლი. მოწოდება მიმართავს საერთაშორისო პროლეტარიატს—ხმა აღიმაღლოს ბულგარეთში მძვინვარე ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ და მოაწყოს საპროტესტო კამპანიები ბულგარეთის მუშათა და გლეხთა ახალ დაპატიმრებათა და ბარბაროსულ ტანჯვა-წამებათა წინააღმდეგ. (ადს).

პოლონეთის პრესის თავხედობა

ვარშავა, 16 აპრილი. „ეკსპრეს პორანი" კვლავ განაგრძობს ანტისაბჭოთა კამპანიას ბარანოვიჩში მომხდარ ტრაგედიის გამო. გაზეთის უკანასკნელი წერილი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების დაგვირგვინებას. წერილი შეიცავს საბჭოთა კავშირის მთავრობის შეურაცხყოფას და ჭორებს მის წინააღმდეგ. აპანასევიჩს, რომლის სიკვდილი, უცხოეთის პრესის სიტყვით, საიდუმლოებით არის მოცული, გაზეთი უწოდებს „საბჭოთა ბანდიტს ბარანოვიჩიდან". (ადს)

საფ. კომპარტიის ცეკას წევრების დაპატიმრება

პარიზი, 16 აპრილი. პარიზში დააპატიმრეს საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის წევრი ბუტონიე და „ლიუმანიტე"-ს თანამშრომელი ლაგანი. მათ ბრალდებათ ჯარისკაცებისათვის ურჩობის ქადაგება, იმ წერილში, რომელიც მოთავსებულ იქნა 12 იანვრის „ლიუმანიტე"-ში ჯარისკაცებისა და მემაღაროეების დაძმობილების შესახებ გრანკომბის გაფიცვის დროს. (ადს).

გამთიშველების გარიცხვა პროფინტერნის რიგებიდან

მოსკოვი, 17 აპრილი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა: გამორიცხონ პროფინტერნის რიგებიდან გაისი, გაილიკი, ნადვორნიკოვი და სიკორა, რომლებიც ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ პროფმოძრაობაში გათიშვის ორგანიზატორები არიან. ადს)

ახალი მექანიკური ქარხანა საქართველოში

მოსკოვი, 17 აპრილი. „გლავმაშსტროი"-ს კოლეგიამ ნება დართო საქართველოს ლითონტრესტს შეუდგეს ახალი მექანიკური ქარხნის აგებას. ქარხნის ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება განსაზღვრულია 4 მილიონი მანეთით. კაპიტალური ხარჯებისათვის საჭირო იქნება 4 მილიონ მანეთზე მეტი. ქარხანაში იმუშავებს 760-მდე მუშა (ადს).

შუამდგომლობა „პრავდა"-ს დაჯილდოების შესახებ

ლუგანსკი, 17 აპრილი. ლუგანსკის ორთქლმავლების საშენი ქარხნის მუშებმა საკავშირო ცაკის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა „პრავდა"-ს დაჯილდოების შესახებ შრომის წითელი დროშის ორდენით იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე და საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმების ჩატარებაში. ამ შუამდგომლობას მხარს უჭერენ პირველ მაისის, ბოკოვის და პარიზის კომუნის სახელობის მაღაროების მუშები. (ადს).

ბრძოლა საცალო ფასების გადიდების წინააღმდეგ

წერილი მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატებისა და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სადმი

მოსკოვი, 17 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა და სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საერთო წერილი გაუგზავნეს მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატებს და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს. წერილში ნათქვამია, რომ, არსებული ცნობების თანახმად, უკანასკნელ თვეებში შეუჩერებლად იზრდება საცალო ფასები მრეწველობის საქონელზე.

მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატებს და მათს ადგილობრივ ორგანოებს წინადადება ეძლევათ — პასუხისგებაში მისცენ იმ კოოპერატიულ და სახ. ორგანიზაციების გამგეობანი და სარევიზიო კომისიები, რომლებიც არ იცავენ დაწესებულ ფასებს და დანართებს. (ადს)

ინჟენერ-ტეხნიკოსთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 17 აპრილი. ინჟენერების და ტეხნიკოსების სრ. საკავშირო ყრილობაზე სოციალისტურ მშენებლობაში სპეციალისტების როლის შესახებ მოხსენება წაიკითხა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კოსიორმა.

„საბჭოთა სპეციალისტების შემოქმედებითი მუშაობისათვის — სთქვა ამხ. კოსიორმა, —მოქმედების ფართო სარბიელია გადაშლილი. საბჭოთა სპეციალისტებმა მთელი თავიანთი ძალ-ღონით ხელი უნდა შეუწყონ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებას და ამასთანავე გეზი უნდა დაიჭირონ პროლეტარულ საზოგადოებრიობაზე, მუშათა კლასთან და მის ორგანიზაციებთან კავშირზე.

შეუძლია თუ არა ინჟენერს ნეიტრალური იყოს წარმოებაში? არა. სარდალს ფრონტზე არ შეუძლია განზე იდგეს, როდესაც მის თვალწინ ღალატი ხდება. სწორედ ასევე ინჟენერსაც არ შეუძლია გულგრილად უყუროს დამზიანებლობის აქტებს".

„უკანასკნელ ხანებში, — განაგრძო ამხ. კოსიორმა, — ინჟენერთა შორის ვრცელდება ხმები, ვითომ განზრახული იყოს ძველი ინჟენერების შეცვლა ახლებით. არავინ ფიქრობს ძველი სპეციალისტების განდევნას მრეწველობიდან. ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ გავაძევოთ აშკარა დამზიანებლები და მათთან მხარდამხარ მოსიარულე „ნეიტრალური" სპეციალისტები. ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებანი ინჟენერების მიმართ კვლავ იზრდება ინჟენერები რომ ამ მოთხოვნილებებს არ ჩამორჩნენ, მათ თავიანთი კვალიფიკაცია უნდა გააძლიერონ". (ადს)

საქ. პროფსაბჭოს მე-4 პლენუმი

მეორე დღე

17 აპრილის დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ანთიძის მოხსენება საბჭოთა არჩევნებში პროფკავშირების მონაწილეობის შედეგების შესახებ და ამხ. მარკმანის მოხსენება, სეზონის მუშათა შორის მუშაობის შესახებ.

საბჭოთა არჩევნებში პროფკავშირების მონაწილეობის შედეგები

(მომხსენებელი ამხ. ანთიძე)

სახ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოსამზადებელ მუშაობას საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობისათვის შეუდგა გასული წლის 1-ლი ნოემბრიდან. 9 ნოემბერს საქ. პროფორგანიზაციებს დაეგზავნა ცირკულიარული წერილი, სადაც აღნიშნული იყო არჩევნების განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა და პროფკავშირების როლი ამ არჩევნების ჩატარებაში. ამ საკითხის შესახებ პროფკავშირთა ყრილობაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. ვარძიელის მოხსენება, რომელიც განმეორებული იქნა პროფკავშირთა აქტივის კრებაზე. პროფკავშირების საბჭოს დირექტივების თანახმად, კავშირების ცენტრალურმა გამგეებმა დაამუშავეს არჩევნებში თავიანთი მონაწილეობის გეგმები, ამავე გამგეობებმა პროვინციებში მიავლინეს 22 კაცი, რომლებმაც, საერთოდ, ადგილებზე დაჰყვეს 465 დღე.

მოსამზადებელ მუშაობას შემდეგი ნაკლი ახასიათებს: კავშირების მეტ ნაწილს არ მოუწვევიათ პროფაქტივის გაფართოვებული კრება; ზოგიერთ ქარხადგილკომებს არ ჩაუტარებიათ წინასწარი კრებები საანგარიშო საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობის განსამარტებლად; მთელ რიგ წარმოებებში არ დაუმზადებიათ საგიტაციო პლაკატები, ლოზუნგები და სხვ., კლუბებსაც დააგვიანდათ, კედლის გაზეთების, პლაკატების, ლოზუნგების გამოშვება.

აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსამზადებელ მუშაობაში პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ.

საანგარიშო კრებებს დაესწრო მთელ საქართველოში ამრჩეველთა საერთო რაოდენობის 82 პროც.-ტი, დასწრების ყველაზე დიდ პროცენტს იძლევა ტრანსპორტის მუშათა და მეტყევეთა კავშირი, მეორე ადგილი უჭირავს მკერავებს, შემდეგ ქიმიკოსებს და მეტყავეთა კავშირებს (84 პროც.-ტი), მაზრებში პირველი ადგილი უჭირავს გორის და ახალციხის მაზრებს (98 პროც.-ტი), შემდეგ ქუთაისის მაზრას, აფხაზეთისა და შორაპნის მაზრას (90 პროც.-ტი), ფოთის რაიონს (85 პროც.-ტი), ყველაზე ნაკლები დასწრება იყო სახალხო კვების კავშირის ხაზით (55 პროც.-ტი). საანგარიშო კრებებზე შემოსული იყო სულ 10.000 შეკითხვა. (მაზრებიდან ცნობა არ არის). კამათში მონაწილეობა მიიღო (თბილისში) 2.500 კაცმა, საშუალოდ თვითეულ კრებაზე გამოვიდა 10—12 ოპონენტი. მუშა-მოსამსახურეები კრებებზე მოითხოვდნენ დაუნდობელ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, სახელმწიფო აპარატის გამარტივებასა და გაუმჯობესებას, განაპირა უბნების კეთილ-მოწყობას, სამიკიტნოებისა და დუქნების დახურვას, საბინაო საკითხის მოწესრიგებას, მასწავლებელთა შერჩევას, ჯანმრთელობის საქმის გაუმჯობესებას და სხვ. ეხებოდნენ რა ნაკლოვანებებს, მუშა-მოსამსახურეებს შემოჰქონდათ წინადადებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ჩატარებულ არჩევნების ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა რიცხვის შესამჩნევი გადიდება: დასწრების პროცენტი საშუალოდ უდრის 81,8; კერძოთ, წარმოებებში დასწრება აღწევს 87 პროც.-ს (წინანდელ არჩევნებში 58 პროც.), დაწესებულებებში 80 პროც. (წინად 50 პროც.-ს). საარჩევნო კრებებზე ყველაზე მეტი დასწრება იყო შემდეგი კავშირების ხაზით: მეტყავეთა (92,3 პროც.), გემოკვების (91,9 პროც.), მელითონეთა (86 პროც.), რკინის გზელთა (89,3 პროც.), მკერავთა (86,2 პროც.), მბეჭდავთა (84,4 პროც.), ხეზე მომუშავეთა (84,3 პროც.), ტრანსპორტის (82,6 პროც.), ნაკლები იყო დასწრება მედსანშრომის (72,7 პროც.), ქიმიკოსების (72,6 პროც.), სახალხო კვების (72,7 პროც.), კოლმეურნეობის (69,3 პროც.) და სხვ.

არჩევნების შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობლად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა აქტივობა და მათი, შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტური მშენებლობისადმი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები ხაზს უსვამდნენ მომხსენებლის მიერ აღნიშნულ ნაკლოვანებებს და საჭიროდ სცნობდნენ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის უფრო ადრე დაწყებას მომავალი არჩევნებისათვის.

მუშაობა სეზონობით მომუშავეთა შორის

(მომხსენებელი ამხ. მარკმანი)

სეზონის მუშები, — ამბობს მომხსენებელი, — პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ისინი წარმოადგენენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შემაერთებელ რგოლს. აქვთ რა განუწყვეტელი კავშირი სოფლის მეურნეობასთან, მათ ამავე დროს რამოდენიმე თვით უხდებათ ქალაქებში მუშაობა, სწორედ ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ და სეზონის მუშებისაგან შევქმნათ გათვითცნობიერებულ მუშათა კადრი, რომელმაც სათანადო იდეოლოგიური ზეგავლენა უნდა მოახდინოს სოფლის მშრომელ მოსახლეობაზე. სამწუხაროდ, დღემდე კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა მათ შორის სათანადო სიმაღლეზე ვერ იყო დაყენებული. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სეზონის მუშების სამუშაო დრო განსაზღვრული არ არის. მათ არა აქვთ ბინები, არ არის აგრეთვე ადგილი კულტმუშაობის საწარმოებლად და სხვა. მიუხედავათ ამისა, ყველა ორგანიზაციებმა მიზნათ უნდა დაისახონ ამ ნაკლის გამოსწორება. ამას მოითხოვს თვით წარმოების, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ინტერესები.

რაც შეეხება საგანმანათლებლო მუშაობას სეზონობით მომუშავეთა შორის, აქ ჩვენ არ გამოგვადგება კულტმუშაობის ჩვეულებრივი მეთოდი, მთავარი ყურადღება უნდა, მივაქციოთ სეზონის მუშათა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და მათ პოლიტიკურ აღზრდას. უნდა მოვაწყოთ პოპულიარული ლექციები, მოხსენებები, საწარმოო და ანტი-რელიგიურ საკითხებზე. მოვაწყოთ რადიო, წითელი კუთხეები და სხვ. მიწა-ტყის და მშენებელთა კავშირები თავის სახსრებით ვერ შესძლებენ ყველა ამ ამოცანების გადაჭრას, მათ აუცილებლად უნდა დაეხმარონ სხვა კავშირების და საბჭოთა დაწესებულებები; კერძოთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და სოციალური დაზღვევის კომიტეტმა უნდა მოაგვარონ სეზონის მუშათა საექიმო დახმარების საქმე. საექიმო დახმარების პუნქტები ამ კატეგორიის მუშებისათვის უნდა იქნეს გაფართოებული, უნდა გადიდდეს აგრეთვე დახმარების ნორმები შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, პლენუმმა მიიღო მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი თეზისები სეზონის მუშათა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ.

პარტიაში

ყველა, ვინც კი შეეცდება ბოლშევიკური რიგების მთლიანობის შერყევას, სასტიკ პასუხს მიიღებს პარტიული მასებისაგან

იდეურად შევაიარაღოთ მასები მემარჯვენეობასთან საბრძოლველად

შინა-პარტიული მდგომარეობის საკითხის დამუშავება თბილისის ორგანიზაციაში გვიჩვენებს, რომ პარტიული მასა მთლიანად მტკიცედ სდგას პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე და მზად არის გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ყოველგვარ ანტილენინურ გადახრასთან. უჯრედების ჯგუფურ კრებებზე, რომელზედაც კეთდებოდა მოხსენებები ამ საკითხის შესახებ, პარტიის წევრები ერთსულოვნად მოითხოვდნენ სასტიკი ზომების მიღებას მემარჯვენე ტენდენციების აღმოსაფხვრელად.

ორატორების სიტყვებიდან ნათლად სჩანდა, რომ პარტიის წევრთა დიდ ნაწილს შეგნებული აქვს მემარჯვენე გადახრის მთელი სერიოზულობა, რომელიც საფრთხეს ჰქმნის პარტიის მთლიანობისათვის. „ცეკას პლენუმის დადგენილებები — განაცხადა ერთმა ამხანაგმა, — ზედმიწევნით უნდა განვიხილოთ. ამასთანავე საკმარისი არ არის ამ დადგენილებებისათვის მარტო ხმის მიცემა, საჭიროა მათი ცხოვრებაში გატარება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პარტიაში გამეფებული იქნება სრული ერთსულოვნება და მტკიცე დისციპლინა. სწორედ ამიტომ ჩვენ ყოველ მხრივ უნდა ვებრძოლოთ მემარჯვენეებს, რომლებიც არ ემორჩილებიან პარტდისციპლინას და ცდილობენ თავისი ხაზი დაუპირდაპირონ პარტიის ხაზს".

რასაკვირველია კრებებზე ადგილი ჰქონდა ისეთ გამოსვლებსაც, რომელიც მემარჯვენეთათვის აშკარა თანაგრძნობის გამოხატულებას წარმოადგენდა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ პარტიის წევრის ხომინიანის სიტყვა, რომელშიაც ის ცდილობდა დაემტკიცებია, რომ კურსი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისაკენ დღევანდელ მომენტში არ არის სწორი და, რომ პირველ რიგში ჩვენთვის მსუბუქი ინდუსტრიის გაძლიერებაა საჭირო. ასეთი აშკარა გამოსვლები იშვიათი იყო, სამაგიეროდ მემარჯვენე ელემენტებმა მეტი „აქტივობა" გამოიჩინეს შეკითხვების შემოტანაში. მათი შეკითხვების დიდი უმრავლესობა გამოხატავს მეშჩანურ უიმედობას და შიშს დროებითი სამეურნეო დაბრკოლებების წინაშე. „რა მდგომარეობაშია პურის საკითხი? — კითხულობს ერთი მათგანი, — პურის და ფართლეულობის ნაკლულობა აჯანყებს მუშებს (!). ჩვენ არ გვინდა სიმშილი, სიშიშვლე —ასეთი სოციალისტური აღმშენებლობა ვერაფერი შვილია, თუ სოციალიზმი ასეთი იქნება — ის თქვენთვის დაგვითმია"-ო. აქედან დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ როგორი შეხედულების იქნება ამ შეკითხვის ავტორი ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაზე, ძნელი არ არის.

მეორე შეკითხვა კი აშკარა კულაკურ შეხედულებათა გამომხატველია, იქ ნათქვამია: „რათ აღანაშაულებთ მემარჯვენეებს იმაში, რომ ისინი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგნი არიან? კოლექტივიზაცია დასცემს სოფლის მეურნეობას, სწორედ ამიტომ მემარჯვენეების შეხედულება ამ საკითხზე სავსებით სწორია".

როგორც მოსალოდნელი იყო პარტიის რიგებში დარჩენილი თითო-ოროლა ტროცკისტი შეეცადა გამოეყენებია შექმნილი მდგომარეობა თავისი მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ტროცკისტებმა კრებებზე აშკარად გამოსვლა, რასაკვირველია, ვერ გაბედეს. მათ მიმართეს ჩვეულებრივ ხერხს: დაიწყეს გესლიანი შეკითხვების მიცემა მომხსენებლებისათვის. „რათ სდევნით და ასახლებთ ოპოზიციონერებს, რომლებიც ნამდვილი რევოლიუციონერები არიან?, აქვს თუ არა საბჭოთა კავშირს პური და, თუ აქვს, რით აიხსნება პურის კრიზისი. ნუ თუ ეს ცეკას უნიჭო პოლიტიკის შედეგი არ არის"? განა მემარჯვენე გადახრის წარმოშობა არ უნდა მიეწეროს იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა მემარცხენეების წინააღმდეგ"? — აი დაახლოებით ამ შეკითხვების შინაარსი.

როგორც აღვნიშნეთ თბილისის ორგანიზაციას უმთავრესად შეგნებული აქვს მემარჯვენე გადახრის საფრთხე და მასთან ბრძოლის ამოცანა. მიუხედავად ამისა ზოგიერთი ორატორის გამოსვლა და შეკითხვები მოწმობს, რომ ჩვენს რიგებში მაინც მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც ჯერ კიდევ კარგათ არა აქვთ გარკვეული ჩვენი სოციალისტური მშენებლობის განვითარებასთან დაკავშირებული დაბრკოლებანი და მათი მიზეზები. არა აქვთ გარკვეული აგრეთვე შემარიგებლობის, ამ მხდალი ოპორტუნიზმის ბუნება.

ეს გარემოება სვამს ჩვენს წინაშე ამოცანას: კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ შინაპარტიული მდგომარეობის საკითხთა დამუშავება პარტიულ უჯრედებში, ფართოდ გავშალოთ მუშაობა ჩვენი სამეურნეო მშენებლობის დროებით სიძნელეთა ახსნა-განმარტებისათვის და ამრიგად, პარტიული მასების იდეურად შეიარაღების გზით, განვავითაროთ შეტევა მემარჯვენე ლიკვიდატორობისა და „მემარცხენე" ტროცკისტულ კონტრ-რევოლიუციის უბადრუკი ნაშთების წინააღმდეგ.

ა. ნ—ძე.

საქ. კომკავშირის ცეკას პლენუმი

მეორე დღე

კომკავშირის ორგანიზაციის წმენდის ჩატარების შესახებ პლენუმმა მოისმინა ამხ. ნესტეროვის მოხსენება.

„კომკავშირის ორგანიზაციის წმენდა, — ამბობს მომხსენებელი, — ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხია, რადგან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპი და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მოითხოვს კომკავშირის ორგანიზაციის მთლიანობას, მისი რიგების განთავისუფლებას სოციალურად უცხო და მიტმასნილ ელემენტებისაგან..

თუ გადავათვალიერებთ კომკავშირის ცალკე ორგანიზაციების გადასინჯვის მასალებს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს ორგანიზაციაში საკმაოდ მოიპოვებიან სოციალურად უცხო ელემენტები. ცხადია, ეს ხალხი კლასიური ბრძოლის გამწვავების პირობებში ჩვენს სასარგებლო საქმეს არ გააკეთებენ. ცეკას მასალების მიხედვით, საქ. კომკავშირის ორგანიზაციის 5,6 პროც. შეადგენენ მოჯამაგირენი, 73,3 პროც. ღარიბი გლეხები და 15,3 პროც. საშუალო გლეხ-ახალგაზრდობა. ადგილებზე კომკავშირის ორგანიზაციების გამოკვლევის დროს კი აღმოჩნდა, რომ ჩვენს ორგანიზაციაში მოჯამაგირენი შეადგენენ არა 5,6 პროცენტს, არამედ 2,8 პროც.-ს, ღარიბი გლეხები 73,3 პროც. მაგიერ—62,7 პროცენტს, საშუალო გლეხ-ახალგაზრდობა 27,7 პროცენტს და შეძლებული — 3,6 პროცენტს.

კომკავშირის ორგანიზაციაში არის ისეთი წევრი, რომლის წლიური შემოსავალი უდრის ორ ათას მანეთს, ბევრ კომკავშირელს მოჯამაგირეებიც კი ჰყავთ დაქირავებული. კომკავშირის რიგებში მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთაც კავშირი აქვთ ანტი-საბჭოთა ელემენტებთან, ეწევიან სპეკულიაციას, ჩარჩობას, კონტრაბანდისტობას და სხვ.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ იმას, რომ კომკავშირის ორგანიზაცია მოითხოვს წმენდას. კომკავშირის წმენდა დაიწყება პარტიის გენერალური წმენდის დამთავრების შემდეგ, ამიტომაც საჭიროა კომკავშირმა ფართოდ გამოიყენოს პარტიის გამოცდილება წმენდის საქმეში. კომკავშირის ორგანიზაციის წმენდისათვის მოსამზადებელ მუშაობას ადგილები აქედანვე უნდა შეუდგნენ.

მე ვფიქრობ, რომ, თუ ჩვენი ორგანიზაციები კარგად შეიგნებენ წმენდის მნიშვნელობას და მისი საჭიროების აუცილებლობას, ჩვენ შევსძლებთ წმენდის წარმატებით ჩატარებას და კომკავშირის ორგანიზაციის ანტი-კომკავშირულ ელემენტებისაგან განთავისუფლებას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ამხ. ვ. ბუჩიაშვილი. — უდავოა, რომ კომკავშირის ორგანიზაციაში მრავლად არიან შემოპარული სხვადასხვა სახის ნიღაბებით ჩვენი კლასიური მტრების შვილები, რომლებიც არა მარტო ხელს გვიშლიან ყოველდღიურ მუშაობაში, არამედ თავის გავლენას ავრცელებენ კომკავშირელთა ჩამორჩენილ ნაწილზე. ამიტომ დადგენილება ჩვენი ორგანიზაციის გაწმენდის შესახებ დროულია, საჭირო და აუცილებელი. წმენდას კი წარმატებით ჩავატარებთ მაშინ, როდესაც ამ საქმეში ჩავაბამთ სოფლად უპარტიო გლეხურ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს, მოჯამაგირეებს და აგრეთვე მივაღებინებთ მონაწილეობას პროფორგანიზაციების აქტიურ წევრებსაც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ვ. ბუჩიაშვილმა, ლ. ჯავახიშვილმა, ტატანაშვილმა, ადამაშვილმა, ბერიძემ, ნუცუბიძემ, ზითაძემ, ლეკვეიშვილმა, მიქელოვმა და სხვ.

კამათის დამთავრების შემდეგ სალამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

ქართ. დივიზიის ა. ლ. კ. კ. კონფერენცია

16 აპრილს კონფერენციაზე სწარმოებდა კამათი საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას მოხსენების გარშემო.

იმავე დღეს, სალამოს კონფერენციამ მოისმინა ამხ. ადამიძის მოხსენება ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების მუშაობისა და კომკავშირის მუშაობის მორიგ ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ნაკლულოვანებს, რომელსაც აქვს ადგილი საკავშირო მუშაობაში ჯარში. დღემდე ვერ არის მიღწეული ისეთი მდგომარეობა, რომ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში უმაღლეს ორგანოების მიერ მოცემული ყველა დირექტივა საკავშირო მუშაობის შესახებ. ნაწილობრივ ასეთი მდგომარეობა მომხსენებლის აზრით, აიხსნება პარტიულ ხელმძღვანელობის სისუსტით.

მომხსენებელი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ დივიზიის შემადგენლობაში მოიპოვება საკმაო რიცხვი მუშებისა და მოჯამაგირეებისა, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული პარტიაში და კომკავშირში.

პოლიტგანყოფილების მოხსენების შემდეგ კონფერენციაზე მოსმენილ იქნა დივიზიის პარტკომისიის თანამოხსენება ავადმყოფურ მოვლენების შესახებ კომკავშირში და კომკავშირის ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების შესახებ.

გუშინ, დღისით, გაიხსნა კამათი აღნიშნულ მოხსენებების გარშემო. სალამოს კონფერენციამ მოისმინა დივიზიის მეთაურის ამხ. გიორგაძის მოხსენება დივიზიის საბრძოლო მომზადების შესახებ.

რ.

პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე

(წერილი გორიდან)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებების დამუშავება ჩვენს ორგანიზაციაში დაიწყო სამაზრო პარტკონფერენციიდან, რომელიც შესდგა წ. წ. 21 ნოემბერს. ამ კონფერენციაზე ნოემბრის პლენუმის შედეგების და მემარჯვენე საფრთხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ. კონფერენციის დელეგატები ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ ამ საკითხით, რაც სჩანს იქედან, რომ მოხსენების ირგვლივ შემოვიდა 300-მდე შეკითხვა და კამათში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ამხანაგმა.

ნოემბრის პლენუმის შედეგები დამუშავებულ იქნა პარტაქტივის კრებებზე, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. კრებებზე დამსწრენი იჩენდნენ არაჩვეულებრივ აქტივობას, ისინი სავსებით იწონებდნენ პლენუმის დადგენილებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხში.

საწარმოო უჯრედებში ნოემბრის პლენუმის შედეგები დამუშავებულ იქნა რამდენიმე სხდომაზე. თუ რამდენად დიდი იყო მუშათა აქტივობა, ამას ამტკიცებს შემდეგი ცნობები: ხაშურის მუშათა უჯრედებში საკითხის დამუშავების დროს სულ შემოვიდა 384 შეკითხვა, კამათში მონაწილეობა მიიღო 84 ამხანაგმა. მოკამათენი, გარდა ორი ყოფილი ოპოზიციონერისა, სასტიკად გმობდნენ მემარჯვენეთა შეხედულებებს. მხოლოდ ეს ორი „ყოფილი" ოპოზიციონერი გამოვიდა მემარჯვენეთა დამცველათ. მათ სთქვეს: „არ არის საჭირო ღარიბებისათვის დახმარების აღმოჩენა, დახმარებით თქვენ აზარმაცებთ გლეხობას, უკეთესი იქნება გლეხმა თავის ნებაზე მოაწყოს მეურნეობა, თქვენ მას ხელს ნუ უშლით, ნუ ეუბნებით გინდა თუ არა შედი კოლექტივში".

კითხვაზე: სწორია თუ არა ცეკას პოლიტიკა სოფლის მეურნეობის განვითარების და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხში, მათ უპასუხეს: „თუ ცეკა ლენინიური ხაზის გამტარებელია, გაუმარჯოს მასო". გამოდის, რომ ამ „ყოფილ" ოპოზიციონერებს ცეკას პოლიტიკის სისწორეში ეჭვი ეპარებათ. მემარჯვენეთა „უანგარო" დამცველებმა საკადრისი პასუხი მიიღეს. მუშურ უჯრედების მიერ მთლიანად იქნა დაგმობილი მათი მოქმედება, კრებების დადგენილებებში ნათქვამია: „სასტიკი ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული როგორც მემარჯვენეებთან, ისე ტროცკისტულ ოპოზიციის ნამსხვრევების წინააღმდეგ, რომელნიც უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლებას ცდილობენო".

არც სოფლის პარტორგანიზაცია ჩამორჩა მუშურ უჯრედებს. ნოემბრის პლენუმის შედეგების დამუშავება იქაც დიდი სიცხოველით ჩატარდა. მაგ., გომის სათემო პარტიულ კრებაზე მომხსენებელს მისცეს 37 შეკითხვა. კამათში გამოვიდა 9 ამხანაგი. სოფლის მეურნეობაში მომუშავე ამხანაგები მთლიანად იწონებენ პლენუმის დადგენილებას სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საკითხზე. ორატორებს მოჰყავდათ მემარჯვენე გადახრის კონკრეტული ფაქტები, აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი სოფლელი კომუნისტი მისდევს გამდიდრებას. უკანასკნელად ჩატარებულ საბჭოთა არჩევნების დროს ასეთი „კომუნისტები" მოითხოვდნენ შეძლებული გლეხებისათვის ხმის მიცემას, ე. ი. მიმართავდნენ კულაკთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების პოლიტიკას.

„კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და სამეურნეო დაბრკოლებებმა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი სას. მეურნეობის რეკონსტრუქციასა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებასთან, პანიკით მოიცვა პარტიის წევრთა უმნიშვნელო ნაწილი, რომელთა მოქმედება ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩება და შიში დაბრკოლებების წინაშე. ჩვენ სასტიკად ვგმობთ, როგორც აშკარა მემარჯვენეობას, ისე მასთან შემარიგებლურ დამოკიდებულებას, რომელიც პარტიისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს". დაახლოებით ასეთი ხასიათის რეზოლიუციები გამოიტანეს თემის პარტორგანიზაციებმა.

ბორჯომის შუშის ქარხნის კომუჯრედის მიერ გამოტანილ დადგენილებაში ნათქვამია: „სრულიად დროული და მიზანშეწონილია პლენუმის დადგენილება პარტიის წმენდის ჩატარების შესახებ, რადგანაც პარტიის რიგებში მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც უკვე გადაგვარდნენ და მერყეობას იჩენენ პარტიის პოლიტიკის გატარებაში".

ქარელის პარტორგანიზაცია „სიამოვნებით აღნიშნავს პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგების წმენდის შესახებ ისეთი ელემენტებისაგან. რომელთაც თავიანთი მოქმედებით შეაქვთ მერყეობა ჩვენს პარტიაში".

ამრიგად, გორის მაზრის პარტორგანიზაციამ ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების დროს სავსებით დაამტკიცა, რომ ის მტკიცედ სდგას პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე.

პ.

როგორ იზრდება საკავშირო კომპარტია (ბ)

მოსკოვი, 14 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სტატისტიკური განყოფილების ცნობით, 1929 წლის პირველი იანვრისათვის პარტიაში ითვლებოდა 1.529.230 წევრი. 1928 წლის განმავლობაში პარტია გაიზარდა 244.909 კაცით. მუშა პარტიაში არის: სოციალური მდგომარეობის მიხედვით — 61,6 პროც., პროფესიით —41,5 პროც. (ადს).

პარტთათბირი სახალხო განათლების საკითხებზე

მოსკოვი, 17 აპრილი. გადაიდო საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-თან დანიშნული პარტიული თათბირი სახ. განათლების საკითხების შესახებ. თათბირის მოწვევის ვადის შესახებ გამოქვეყნდება დამატებითი ცნობა. (ადს)

საქართველოს ექიმთა მეექვსე ყრილობა

მეოთხე სხდომა

გუშინდელ დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ჯანსახკომის წარმომადგენლის ამხ. ფრანგულიანის მოხსენება ჯანსახკომის 5 წლიანი გეგმის შესახებ. მომხსენებელი შეეხო რა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის მდგომარეობას მენშევიკური ბატონობის დროს და ეხლა, აღნიშნავს, რომ ის ღონისძიებანი, რომელიც ამჟამად გატარებულია ამ დარგში, თუმცა თვალსაჩინოა, მაგრამ მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს მთლიანად დამაკმაყოფილებლათ. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, როგორც სნეულებათა გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლას, ისე თვით სნეულებებთან ბრძოლას. ამჟამად საქართველოში მუშაობს 40 სანიტარული ექიმი. თვითეულ სანიტარ ექიმზე თბილისში მოდის 20.000 მცხოვრები, ხოლო რესპუბლიკის მასშტაბით კი 97.200 მცხოვრები. 5 წლის დასასრულს თვითეულ სანიტარულ ექიმზე უნდა მოვიდეს არა უმეტეს 52.600 მცხოვრებისა. ამჟამად საქართველოში მოქმედობს 21 ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, 1932-33 წლისათვის კი უნდა იქნეს 41, გარდა ამისა მოძრავი ლაბორატორიების რიცხვი უდრის—16 ყველა სამაზრო ცენტრი უზრუნველყოფილი იქნება სადეზინფექციო სადგურებით. საწოლები ეპიდემიური სენით დაავადმყოფებულთათვის ამჟამად არ აღემატება 366-ს, გეგმით კი ეს რიცხვი უნდა გაიზარდოს 798-მდე.

მალარიასთან საბრძოლველად ჩვენ მოგვეპოვება 12 სადგური, ხუთწლედის დამლევს კი გვექნება 36 სადგური და გვეყოლება 27 სამალარიო რაზმი. ვენერიული დისპანსერების რიცხვი 11-დან გაიზარდება 17-მდე, გარდა ამისა მოწყობილი იქნება ვენერიულ ავადმყოფობასთან მებრძოლი 23 პუნქტი. ტუბდისპანსერების რიცხვი გადიდებული იქნება 16-ით.

რასაკვირველია, ყველა ამ სამკურნალო დაწესებულებების რიცხვის გაზრდა გამოიწვევს საექიმო პერსონალის რიცხვის პარალელურ ზრდასაც.

ამხ. ფრანგულიანის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა კურორტთა მთავარ სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ჯავახიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს კურორტებს, თავისი სამკურნალო თვისებებით შეუძლია კონკურენციის გაწევა დასავლეთ ევროპის ბევრი კურორტებისათვის, მაგრამ დღემდე საქართველოს არც ერთი კურორტი დამაკმაყოფილებლად მოწყობილი არ არის. საკურორტო სამმართველოს 5 წლიანი გეგმა ამიტომ უმთავრესად ითვალისწინებს: კურორტების მოწყობას, წყალსადენის და კანალიზაციის გაყვანას, განათებას, ბინებით უზრუნველყოფას, საგზაო მშენებლობას, გეოლოგიურ და მინეროლოგიურ გამოკვლევებს და სხვ. დღემდე არსებული საწოლების რიცხვი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, ამიტომ სანატორიუმებში საწოლების რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს 1265-ით. 5 წლის დამლევისათვის დასრულდება აგება: შოვის სანატორიუმის (150 საწოლით), ბორჯომის სანატორიუმის (ნერვიულ ავადმყოფებისათვის), პატარა ცემში საბავშო სანატორიუმის (100 საწოლით, ნაცვლად არსებული 50 საწოლისა). აბასთუმნის სანატორიუმს დაემატება 50 საწოლი. პატარა ცემში ცალკე დაარსებული იქნება სანატორიუმი ძვლის ჭლექით შეპყრობილთათვის 50 საწოლით და გარდა ამისა მთელ რიგ ადგილებში აშენებული იქნება სასტუმროები, გლეხის სახლები, პანსიონატები და სხვ. გეგმა ითვალისწინებს აბასთუმანში, ბორჯომში, ლიბანში, პატარა ცემში და წყალტუბოში საზამთრო სეზონის შემოღებასაც.

დასასრულ მოსმენილი იქნა ამხ. ანჩაბაძის მოხსენება აფხაზეთის ჯანსახკომის 5 წლიანი გეგმის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად აფხაზეთში მოიპოვება: 11 საავადმყოფო, 1 პოლიკლინიკა, 7 საექიმო ამბულატორია, 18 საექიმო პუნქტი, 23 საფერშლო პუნქტი, 24 აფთიაქი, 3 ლაბორატორია, 1 ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი, 1 ტროპიკული ინსტიტუტი და 3 სამალარიო სადგური. 5 წლიანი გეგმა ითვალისწინებს თითქმის ყველა ამ დაწესებულებათა ქსელის თვალსაჩინოდ გაფართოვებას. გეგმით ნავარაუდევია: 15 საავადმყოფოს, 11 საექიმო ამბულატორიის, 45 საექიმო პუნქტის, 25 აფთიაქის, 5 ლაბორატორიის მოწყობა და სხვ.

მეხუთე სხდომა

ყრილობის მისალმებანი ექ. კ. ლორთქიფანიძეს

საღამოს, სხდომა მიძღვნილი იყო ექ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის იუბილეისათვის.

იუბილიარს ვრცელი სიტყვით მიესალმა ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. კუჭაიძე, რომელმაც, აღნიშნა რა ექ. ლორთქიფანიძის სამკურნალო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, უსურვა მას ისეთივე სიმხნევით განაგრძოს მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულება.

მედსანშრომის კავშირის ცენტრალური გამგეობის სახელით ამხ. ჯიჯაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი სალამო წარმოადგენს არა მარტო ექიმების და იუბილიარის ზეიმობის სალამოს, არამედ იმ მშრომელთა ზეიმობის სალამოსაც, რომლებიც ამხ. ლორთქიფანიძის სახით ხედავენ სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი დარგის დაუღალავ მუშაკს.

გარდა ამისა იუბილიარს მიესალმნენ: ექიმთა სექციის სახელით ამხ. მჟავანაძე, საქ. პროფსაბჭოს სახელით ამხ. ანთიძე, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყ. სახელით ამხ. ფანცხავა, ქალ. 1 საავადმყ. სახელით ამხ. კილოსანიძე, ამავე საავადმყოფოს საშუალო და დაბალი მედპერსონალის სახელით ამხ. ენუქიძე, აფთიაქის მუშათა სექციის სახელით ამხ. კანდელაკი, რკ. გზის საავადმყოფოს ექიმთა სახელით ამხ. მაღალაშვილი, საქართველოს ექიმთა საზოგადოების სახელით ალადაშვილი, უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სახელით პროფ. ნათიშვილი, თბილისის ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის სახელით ექ. ზანდუკელი, თბილისის ოდონტოლოგიური ინსტიტუტის სახელით კბილის ექ. მარგველაშვილი, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის სახელით ექ. ჭიჭინაძე, სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტის სახელით—ექ. ხუბუტიანსკი, პროფესიონალურ სნეულებათა ინსტიტუტის სახელით—ექ. ნ. მახვილაძე, პირველი კლინიკური ინსტიტუტის სახელით—პარშა, აჭარისტანის ექ. სექციის სახელით —თუმანიშვილი, თბ. საბჭოს ჯანმრთელობის სექც. სახელით—სიტნიკოვი, წითელი ჯვარის საზოგადოების სახ.—ძიძაძე, ქუთაისის ექიმთა სექციის სახელით— კვიჟინაძე, სამხედრო ჰოსპიტალის საექიმო პერს. სახელით—ზირაკიანი, რკ. გზის ჯანმრთ. სამმართ. სახელით—გამბაროვი, ახალციხის მაზრის ექიმთა სექციის სახელით—ხარქისოვი, აფხაზეთიდან — ანჩაბაძე, ვენეროლ. ინსტიტუტიდან—ბრუსტლოვი, სოც. დაზღვევის სამმართველოდან — ნარჩემაშვილი, სამხრეთ ოსეთიდან—ტომაევი, პირველი საქალაქო საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილებიდან წულუკიძე, ამავე საავადმყოფოს თანამშრომელი აკოფოვი და სხვა.

დასასრულ იუბილიარმა ექ. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გადაუხადა რა დამსწრეთ მადლობა ასეთი პატივისცემისათვის სთქვა, რომ ის ცდილობდა შეესრულებინა, რაც მას დავალებული ჰქონდა პროფესიით და საზოგადოებრიობით. მისი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

როგორ უნდა მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება

1. შეჯიბრება ტარდება ფაბრიკებსა და ქარხნებს შორის. თვითეული საწარმოს შიგნით კი — საამქროებსა, ბრიგადებსა, წყებებსა, მუშების ჯგუფებსა, აგრეთვე ცალკე მუშების შორის (ინდივიდუალური შეჯიბრება).

2. შეჯიბრება ხდება როგორც მიღწეული შედეგების შემოწმებისა, ისე დეფექტების ასაცილებლად საჭირო ბრძოლის ნიადაგზე. თვით შეჯიბრების პროცესმა თვითეულ საწარმოში ისეთი მიმართულება უნდა მიიღოს, რომ მიღწეულ იქნეს განსაზღვრული საწარმოო ეფექტი თვითღირებულების შემცირებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

3. თვითეულ საწარმოში შეჯიბრებამ ისეთი ორგანიზაციული ფორმები უნდა მიიღოს, რომ მუშათა მთელი მასა ჩაებას იმის შემოწმებაში, თუ რა გაკეთდა და რა შეიძლება გაკეთდეს უახლოეს ხანში თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანათა გადასაჭრელად.

4. პრესამ უნდა გააშუქოს შეჯიბრებათა მიმდინარეობა საწარმოებში (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეჯიბრებათა ფორმების მასიურობასა და კონკრეტობას). შეჯიბრების საკითხების შესწავლისა და მასიური დამუშავების დამთავრების შემდეგ გაზეთებში უნდა მოთავსდეს კორესპონდენცია, რომელიც მთლიანად გააშუქებს ამა თუ იმ საწარმოს მუშაობის ყველა ძირითად საკითხებს (იმ თვალსაზრისით, თუ რა გაკეთდა და რა დაისახა მუშათა მასამ შეჯიბრების პროცესში). კორესპონდენციამ კონკრეტულად უნდა გააშუქოს შეჯიბრებათა ეფექტის მთავარი მაჩვენებელნი (თვითღირებულება და სხვ.), რათა შეიძლებოდეს ამა თუ იმ საწარმოთა მუშაობის შედარებითი ნაყოფიერების განსაზღვრა.

გაზეთებმა უნდა მოათავსონ სანიმუშო კორესპონდენცია, რომლის საფუძველზე საქარხნო ორგანიზაციები გააშუქებენ შეჯიბრებათა შედეგებს პრესაში.

გაზეთებში თვითეული საწარმოს მუშაობის გაშუქება უნდა მოხდეს არა მარტო მუშკორთა ინდივიდუალური კორესპონდენციის წესით, არამედ საქარხნო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახელითაც, რაც ამა თუ იმ საწარმოს მუშათა მასის კოლექტიური აზრისა და შეფასების შედეგი იქნება.

5. შეჯიბრებათა დასასრულს საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან შემდგარი სპეციალური კომისიები გაზეთებში მოთავსებული და სხვა მასალების საფუძველზე განიხილავენ როგორც იმ საწარმოთა დაჯილდოვების საკითხს, რომლებსაც საწარმოო მიღწევები აქვთ, ისე იმ საქარხნო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაჯილდოვების საკითხს, რომლებმაც უფრო წარმატებით ჩაატარეს შეჯიბრება (წარმატების მაჩვენებლად ითვლება მასიურობა და საწარმოო ეფექტი).

6. საწარმოებში შეჯიბრების ჩასატარებლად არსდება ხუთეულები (დიდ საწარმოებში) და სამეულები (წვრილ საწარმოებში) საქარხნო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. ამ ხუთეულებისა და სამეულების ამოცანას შეადგენს შეჯიბრებათა მიმდინარეობის ხელმძღვანელობა, ამა თუ იმ საწარმოს ნაწილებსა და მუშათა ჯგუფებს შორის შეჯიბრებათა კონკრეტული ფორმების ორგანიზაცია, კავშირის დაჭერა პრესასთან და იმ წამოწყებებთან, რომლებიც გაწვეულნი არიან შეჯიბრებაზე, საამქრო და წყებების სამეულთა, დროებითი საკონტროლო კომისიების, საინიციატივო და დამკვრელი ჯგუფების მუშაობის მიმართვა სათანადო გზით, მასიური კრებების მოწვევა (საამქრო და საერთო-საქარხნო საწარმოო თათბირებისა), და ბოლოს, მთელი მუშაობის შეჯამება და პრესაში გაშუქება.

მსხვილ საამქროებშიაც შეიძლება შეიქმნას აგრეთვე სამეულები (მათ ისეთივე ამოცანები ექნებათ, როგორც საერთო-საქარხნო სამეულებს).

დამკვრელი საინიციატივო ჯგუფები იქმნებიან ნებაყოფლობით საფუძველზე. ეს ჯგუფები კისრულობენ საკითხების დასმას, მუშაობის განწესრიგების შეცვლას და იმ ღონისძიებათა განმტკიცებას, რომლებიც ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას. დამკვრელი ჯგუფები მოქმედებენ მაგალითის მიცემით და საქმის ჩვენებით (სინამდვილეში ისინი ამტკიცებენ მუშაობის ამა თუ იმ მეთოდების განხორციელების შესაძლებლობას). საინიციატივო ჯგუფების მუშაობის შედეგებს არკვევენ მუშათა კრებებზე (საამქრო და საქარხნო საწარმოო თათბირები), საამქრო-საქარხნო კომიტეტების სხდომებზე და სხვ.

7. ხუთეულების, სამეულების, დროებითი საკონტროლო კომისიების, დამკვრელი ბრიგადების და საინიციატივო ჯგუფების მუშაობა შეჯიბრების დარგში არ უნდა იყოს დაშორებული მუშათა მასიდან, პირიქით, ის ხელს უნდა უწყობდეს ამა თუ იმ საწარმოს მუშების უმრავლესობის თაოსნობის მაქსიმალურ გაშლა-განვითარებას. სამეულები, კომისიები და ჯგუფები უნდა ასრულებდნენ შემაკავშირებელ და ხელმძღვანელ როლს. (მუშათა მასის თაოსნობის გამომჟღავნება ცალკე საკითხებში, მათ პრაქტიკულ მითითებათა და საქმიან წინადადებათა შეგროვება, მუშების გაცნობა იმასთან, თუ რა გაკეთდა სხვა ანალოგიურ საწარმოებში თვითღირებულების შემცირების, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების და სხვა დარგში). დასასრულ მათი მუშაობის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტულ დადგენილებებათ მასიურ კრებებზე (საერთო-საქარხნო, წყებების და საამქრო ფართო საწარმოო თათბირები).

8. საწარმოთა შეჯიბრება და შეჯიბრება ცალკე ნაწილებს შორის საწარმოთა შიგნით, უნდა მოხდეს განსაზღვრულ, კონკრეტულ საწარმოო საკითხების გარშემო, როგორიცაა:

ა) თვითღირებულების საკითხის შესწავლა და დამუშავება (წარსულ პერიოდთან და სხვა ანალოგიურ წარმოებების პროდუქციასთან შედარებით, თვითღირებულების გათვალისწინებულ შემცირების შემოწმება და საწარმოო პროგრამის შესრულება ამ საკითხში, კალკულიაციის საქმის დაყენების სისწორის შემოწმება, თვითღირებულების შემცირების ხელის შემშლელ მიზეზთა გამორკვევა; კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის; რაციონალიზატორული ღონისძიებანი, ზედნართი ხარჯების შესწავლა და ღონისძიებანი მათი შემცირებისათვის).

ბ) მანკიანი პროდუქცია და პროდუქციის ღირსება (მანკიანი პროდუქციის მდგომარეობა, მისი რაოდენობის შედარება წინა პერიოდებთან და ანალოგიურ წარმოებებთან და სხვ.).

ამა თუ იმ საწარმოს და საამქროს პროდუქციის ღირსების შედარება ანალოგიურ სხვა საწარმოთა პროდუქციასთან, ან დასახელებულ საწარმოს მეორე საამქროს პროდუქციასთან.

გ) შრომის ნაყოფიერება (რამდენი გამოიმუშავა ერთმა კაცმა ერთ დღეს მანეთებისა და ნატურალური ერთეულების მიხედვით; შედარება წარსულ პერიოდთან და ანალოგიურ წარმოებებთან, აგრეთვე დასახელებულ წარმოების სხვადასხვა საამქროებს შორის. კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად).

შრომის დისციპლინა (შედარება წარსულ პერიოდთან და სხვა წარმოებებთან, შრომის დისციპლინის სისუსტის მიზეზები, მუშაობის გაცდენა და მისი მიზეზები, ადმინისტრაციის სიმტკიცე შრომის დისციპლინის განხორციელებაში, ბრძოლა ლოთობასთან, დაუდევრობასთან, კონკრეტული ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, მუშაობის გამცდენთა გასამართლება, გამცდენთა კრება, შავი დაფები და სხვ.).

დ) სამუშაო დღის დატვირთვა, დატვირთვის ხარისხის გამორკვევა ქრონომეტრაჟის საშუალებით, სამუშაო დროს გამოყენების ხარისხი სხვა საწარმოებთან, ან თვით მოცემულ საწარმოს სხვა ამქრებთან შედარებით, ნაკლები დატვირთვის მიზეზების შესწავლა, საწარმოოს გაცდენის მიზეზები, ღონისძიებათა დასახვა სამუშაო დროის სავსებით გამოსაყენებლად როგორც მუშის პირადი შრომის ინტენსივობის, ისე ორგანიზაციულ-ტეხნიკურ ღონისძიებათა ხაზით.

ე) პროდუქციის გამოშვება (საწარმო პროგრამის შესრულების შედარება წარსულ პერიოდებთან, პროდუქციის მეტი რაოდენობის გამოშვების შესაძლებლობათა გამორკვევა როგორც არსებული ტეხნიკური მოწყობილობის სრული დატვირთვის გზით, ისე ორ-სამწყებიან სამუშაოზე გადასვლის გზით).

ორ-სამწყებიან სამუშაოზე გადასვლის საკითხების დამუშავება (იქ, სადაც ეს შესაძლებელია) და აგრეთვე კონკრეტულ ციფრებისა და სამრეწველო ფინანსიური გეგმის შედგენა მომავალ 1929—30 სამეურნეო წლისათვის.

ვ) საწარმოს უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ადმინისტრაციის საწარმოო თაოსნობის გაშლა-განვითარებას წარმოების გაუმჯობესების საქმეში, საწარმოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შემოწმება, მისი განთავისუფლება ტრესტის წვრილმანი მზრუნველობისაგან, თანახმად მთავრობის დადგენილებისა საწარმოთა უფლებების გაფართოების შესახებ.

ზ) მუშათა მასის ჩაბმის ხარისხი (მათ შორის ახალგაზრდობისა) წარმოების მმართველობის საქმეში, რამდენად არიან ჩაბმულნი საწარმოო თათბირებში მუშათა მასები, რამდენად აქტიურნი არიან მუშები საწარმოო საკითხების დამუშავებისა და განხილვის დროს, დახმარება მუშა-გამომგონებელს, წინადადებათა ზრდა გამოგონებისა და გაუმჯობესების საქმეში, მათი წაქეზების ხარისხი, წინასწარი განხილვა მუშათა შორის იმ საწარმოო ღონისძიებათა, რომლებსაც ლებულობენ სამეურნეო ორგანიზაციები.

9. ამ საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად არჩეულ უნდა იქნან მუშათა და დროებითი საკონტროლო კომისიები ახალგაზრდათა მონაწილეობით. დროებითი საკონტროლო კომისიები არჩეულ უნდა იქნას ერთი საკითხის დასამუშავებლად (პირველ რიგში 1928-29 წლის პირველ ნახევარში თვითღირებულების შემცირების შედეგების შესამოწმებლად, მუშაობის დამთავრებისა და საწარმოო თათბირებზე მოხსენების წარდგენის შემდეგ არჩეულ უნდა იქნას ახალი დროებითი საკონტროლო კომისია სხვა შემადგენლობით შემდეგი საკითხისათვის). დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობის შედეგები უნდა ეცნობოს ფართო საწარმოო თათბირებს.

10. დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობა აღნიშნული საკითხების შესწავლისა და დამუშავების დროს უნდა ატარებდეს მასიურ ხასიათს (დროებითი საკონტროლო კომისია უკავშირდება მუშებს, ჰკრებს მათ აზრს ამ საკითხზე, იწვევს საამქრო საწარმოო თათბირებს ამ საამქროსთან დაკავშირებული ცალკე საკითხების დასამუშავებლად და სხვ.).

11. დროებითი საკონტროლო კომისიები უნდა დაუკავშირდნენ ახალგაზრდათა საინიციატივო ჯგუფებს, მისცენ მათ დავალებანი ცალკე საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად და გამოიყენონ მათი მასალები საბოლოო ღონისძიებათა დასახვის დროს.

12. შეჯიბრების მონაწილე წარმოებათა შორის კავშირის დასამყარებლად ხუთეულები და სამეულები აწარმოებენ მიმოწერას სხვა წარმოებათა ხუთეულებთან და სამეულებთან (გაზეთის საშუალებით გამოწვევის გარდა), აგრეთვე გზავნიან იქ სპეციალურ მუშათა კომისიებს. ასეთი კომისიები უნდა გაიგზავნონ როგორც ერთ ქალაქის წარმოებებში, ისე სხვა რაიონების, აგრეთვე სხვა რესპუბლიკების წარმოებებშიაც.

ამ კომისიების შემოწმების შედეგები უნდა ეცნობოს ფართო საწარმოო თათბირების მასიურ კრებებს.

13. კლუბებმა და წითელმა კუთხეებმა უნდა შეიმუშაონ თავისი მუშაობის გეგმა და ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარებას.

კედლის გაზეთების შინაარსი შეჯიბრების დროის განმავლობაში უნდა შეიცავდეს უმთავრესად შეჯიბრების მსვლელობის და მისი შედეგების გაშუქებას.

საქ. პროფკავშირთა საბჭო

საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტები.

---

*) ვიმეორებთ დაწვრილებით იმ ცნობას, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში საკუთარ მოსკოველ კორესპონდენტისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის თესვისათვის

თესვის კამპანია და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება თავისი საქმიანობის შინაარსის მიხედვით, მოწოდებულია დიდი როლი ითამაშოს საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჯერ კიდევ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს შარშანდელმა პლენუმმა (1928 წლის აპრილი), საჭიროდ სცნო პარალელურად სამხედრო მუშაობის გაძლიერებისა, საზოგადოების მოღვაწეობა სასოფლო მეურნეობის დარგში, მაგრამ ეს ამოცანა სუსტად იქნა შესრულებული ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. უახლოეს დროში მოსკოვში მოწვეული იქნება თავდაცვა-ავიაქიმის საკავშირო ყრილობა, რომელზეც განსაკუთრებით გამოყოფილია სოფლად მუშაობის საკითხი და რომელმაც უნდა მისცეს ადგილებს გარკვეული კონკრეტული მითითებანი მოსავლიანობის გადიდებაში მონაწილეობის შესახებ და საერთოდ სოფლად მუშაობის დარგში.

მიუხედავად ჩვენი საზოგადოების ასეთი გეზისა, ხშირად ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ამბობენ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანას მხოლოდ გასამხედროება უნდა შეადგენდეს და არსებითად წინააღმდეგი არიან სასოფლო მეურნეობის დარგში მუშაობის. ჩვენ აქტიურად უნდა გავილაშქროთ ასეთი შეხედულებების წინააღმდეგ.

თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებმა საგაზაფხულო თესვის ჩატარებაში უნდა მიიღონ პრაქტიკული მონაწილეობა. ამ კამპანიამ მკვიდრი საფუძველი უნდა ჩაუყაროს საზოგადოების სასოფლო-სამეურნეო სექციების მუშაობას და მათი საქმიანობა საგრძნობლად გამოაცოცხლოს. თვითეულმა ორგანიზაციამ კონკრეტული ამოცანა უნდა დაისახოს და მის გარშემო აწარმოოს მუშაობა. უმთავრესად ეს ამოცანები შემდეგში გამოიხატება:

რწმუნებულების გამოყოფა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თესვის ჩამტარებელ სამეულების მუშაობაში.

სასოფლო-სამეურნეო სექციების გადასინჯვა, გაჯანსაღება და მათი მუშაობის გამოცოცხლება.

თესლის გადარჩევის და მისი ფორმალინით გაწმენდის პროპაგანდა გლეხობაში.

სააგიტაციო ლექცია-მოხსენებების და საუბრების ჩატარება გლეხობაში თესვის კამპანიის პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ.

კომკავშირის ლაშქრობისათვის ყოველმხრივ დახმარების აღმოჩენა.

სასოფლო-სამეურნეო წრეების ქსელის გაფართოება და მათში გლეხთა აქტივის ჩაბმა.

საცდელ-საჩვენებელი მინდვრების მოწყობა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებთან მინერალური სასუქების გამოყენებით.

ადგილობრივი სასუქების (ნეხვის, კირის, ნაცრის, ტკილის და სხვ.) მაქსიმალურად გამოყენების პროპაგანდა და სხვ.

აი ის უმთავრესი პრაქტიკული ამოცანები, რომლის მაქსიმალურად შესრულებას უნდა ცდილობდეს თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ადგილობრივი სამაზრო, სარაიონო და სათემო ორგანიზაციები და უჯრედები.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა იქნას შეძენილი ქიმიური სასუქები, ამჟამად მწვავედ სდგას ჩვენი ორგანიზაციის წინაშე. მიმდინარე წელს მოთხოვნილება სასუქებზე იმდენად გაიზარდა, რომ ჩვენი ქიმიური მრეწველობა ვერ ასწრებს მის დაკმაყოფილებას. მიმდინარე წელს ქიმიურ სასუქებს ანაწილებს სათანადო სახელმწიფო დაწესებულებები (მიწსახკომი, ზაკხლებკომი, ზაკქსელმაში და სხვანი). სასუქები განაწილებული იქნება მხოლოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის და ისეთ კულტურულ მცენარეთა რაიონებზე, როგორიც არის ჩაის, თამბაქოს, ბამბის, ვენახის და კანაფის რაიონები.

ზოგიერთ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს ჰგონიათ, რომ თავდაცვა-ავიაქიმი სასუქების ხმარების პროპაგანდასთან ერთად, მაშინვე უნდა აწვდიდეს გლეხობას ქიმიურ სასუქებს. ეს შეხედულება არ არის სწორი. „ამჟამად მინერალური სასუქების მასიური გავრცელება და გამოყენება არ არის შესაძლებელი, რადგანაც არ არის შესწავლილი არც ერთი რაიონი და არც ერთი კულტურა მინერალური სასუქების რენტაბელობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, ამიტომ ჯერ საჭიროა ცდების წარმოება, რაც შეიძლება მეტ რაიონებისა და კულტურების მიმართ“ (იხ. ამხ. ს. ჯულელის წერილი—„კომუნისტი“ № 71). ეს უნდა დაიმახსოვროს თავდაცვა-ავიაქიმის ყველა მუშაკმა.

როგორც ზემოთ ვსთქვით, წელს მუშაობა მინერალური სასუქების ცდების დარგში იწარმოებს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და, რაც უმთავრესია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებებში. ამნაირად თავდაცვა-ავიაქიმის იმ უჯრედების წინაშე, რომლებიც აღნიშნულ პუნქტებში არიან, ან მათ უკავშირდებიან, იშლება ამოცანა, რომ ამ საცდელ ნაკვეთების გარშემო აწარმოონ თავისი სააგიტაციო მუშაობა სათანადო სასოფლო-სამეურნეო წრეების დაარსებით, რომელშიც ჩაბმული იქნება ადგილობრივი სოფლის ან ახლო მდებარე რაიონების გლეხობა.

მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება, საჭიროა სასუქების გამოყენების მხრივ შესწავლილ იქნეს რესპუბლიკის ყველა თვალსაჩინო რაიონი და ცდებს მასიური ხასიათი მიეცეს. ამ საქმეში კი ყველაზე მეტი დაინტერესება ადგილობრივმა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინოს.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი თავისი ხაზით მოკლე დროში დაუგზავნის მაზრებს სასუქებს მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ საცდელ-საჩვენებელი მინდვრები მოწყობილ იქნას გლეხთა ახალგაზრდობის და სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან. ეს გამოწვეულია იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფეები თავისი ხელმძღვანელების დახმარებით უფრო მეტი ენერგიით და დაკვირვებით ჩაატარებენ ცდებს, ვინემ ამ საქმეში გამოუცდელი წრეები, ან უჯრედები. ამას გარდა საჭიროა, თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებმა აწარმოონ მუშაობა ადგილობრივ სასუქების გამოყენებას საქმეში რომელნიც თითქმის ყველა სოფელში საკმაოდ მოიძებნება და რომელსაც ხშირად არც კი იყენებს სოფლის გლეხკაცობა. ასეთ სასუქებს ეკუთვნის—კირი, ნეხვი, ნაცარი, ტკილი (ზუგდიდის მაზრაში) და სხვ.

საჭიროა აღვნიშნოთ ერთი გადაუდებელი ამოცანა, რომელიც წამოიჭრება ადგილობრივ ზაფხულის პერიოდის განმავლობაში. ეს არის ჭირნახულის მავნებლებთან ბრძოლა. თუმცა ამ მუშაობას წარმატებით აწარმოებენ ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციები, მაგრამ მას არ აქვს მასიური ხასიათი, ამავე დროს კი ეს თავდაცვა-ავიაქიმის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ამ დარგში ჩვენ ორგანიზაციებს ჯერ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ შარშან პატარა ცდები იყო ჩატარებული აფხაზეთის და აჭარისტანის თავდაცვა-ავიაქიმების მიერ (მანდარინების და თამბაქოს მავნებლებთან ბრძოლა), რომლებმაც დიდის წარმატებით გამოიყენეს მავნებლებთან მებრძოლი რაზმები.

მიმდინარე წელს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური ორგანოები პირდაპირ გვავალებენ ამ საქმეს მივაქციოთ უდიდესი ყურადღება. ამ მიზნით საქართ. თავდაცვა-ავიაქიმმა უკვე გახსნა სათანადო ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები, რომელზეც ჩარიცხულია თითქმის ყველა მაზრის წარმომადგენლები. ჩვენმა ორგანიზაციებმა ეს ინსტრუქტორები დაბრუნებისთანავე უნდა გამოიყენონ სათანადო რაზმების მოსაწყობად და ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაციებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩაატარონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. სამაზრო საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ ამ რაზმების მიმართ სათანადო მზრუნველობა.

ამრიგად თავდაცვა-ავიაქიმმა უდიდესი დახმარება უნდა გაუწიოს საბჭოთა ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და განვითარების დარგში და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიოს მოსავლიანობის გადიდებას 30—35 პროც., რომელსაც ითვალისწინებს ხუთწლიანი გეგმა.

ნათესი სივრცის გადიდება 7 პროცენტით მოსავლიანობის გადიდება 3 პროცენტით აი რა უნდა იყოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ლოზუნგი და ამოცანა მიმდინარე წელში.

ა. წილოსანი.

ნაცარი, როგორც გამანოყიერებელი საშუალება

მოსავლის აწევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაცარის გამოყენებას. ნაცარი გამოცდილია საცდელ სადგურებში და ცნობილია, როგორც კარგი სასუქი, განსაკუთრებით თამბაქოსა, ძირნაყოფა მცენარეებისა და პურეულისათვის. ნაცარი ბლომათ მოიპოვება ჩვენში. მაგრამ მისი დაგროვებას და გამოყენებას ძალიან სუსტი ყურადღება ექცევა, რის გამო, იგი თითქმის უნაყოფოდ იკარგება.

მცენარეს განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინერალურ ნივთიერებას, რომელიც ბლომათ მოიპოვება ნაცარში. ასეთი ნივთიერებანი ნაცარში არის უმთავრესად კალციუმი, კალიუმი და ფოსფორი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში სოფლის თითო ოჯახი დასწვავს სხვადასხვა საწვავ მასალას ერთ კუბიურ საჟენს მაინც, სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყოველ წლიურად, დაიწვება 400.000 კუბიური საჟენი საწვავი მასალა, განსაკუთრებით შეშა. საქართველოს ქალაქებში ყოველ წლიურად იწვება 100.000 კუბიური საჟენი შეშა. ამრიგად შეშის მთელი მოხმარება უდრის დაახლოვებით 500.000 კუბიკური საჟენს, რაც იწონის 129.000.000 ფუთს ან 2.113.090 ტონას.

ასი წილი შეშა იძლევა საშუალოდ ერთი წილ ნაცარს. მაშასადამე, ერთი წლის განმავლობაში საქართველოში შეიძლება დაგროვდეს და გამოყენებულ იქნეს ნიადაგის სასუქად 21.130 ტონა ნაცარი (1.290.000 ფუთი), რომელიც შეიცავს სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისათვის სასარგებლო და ადვილად შესათვისებელ მასალებს.

მათი ღირებულება დაახლოვებით შეადგენს 617.400 მან., რაც საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენს.

ნაცრის მნიშვნელობა, როგორც სასუქის უდავოა სასოფლო სამეურნეო მეცნიერებაში. საცდელ სადგურებზე ცდებით გამოკვლეულია, რომ ერთ ჰექტარზე შეტანილი 300 კილოგრამი ნაცარი ნიადაგების თვისებების მიხედვით მოსავალს თვალსაჩინოთ ადიდებს.

აგრონომი ვ. ხოშტერია.

ადგილებზე

თესვის კამპანიის მსვლელობა

ქუთაისი, 16 აპრილი. თესვის კამპანია ქუთაისის მაზრაში ცხოვლად მიმდინარეობს. უკვე დაიხნა დასათესად გათვალისწინებული სივრცის 50 პროც. ხვნა უახლოეს დღეებში დამთავრდება. მაზრის მთიან ადგილებში თესვა უკვე დაიწყო. სათესლე მასალით უზრუნველყოფილია მეურნეობათა 80 პროცენტი.

მაზრის საკრედიტო ამხანაგობებმა გლეხებს დაურიგეს 327 ტონა სასურსათო სიმინდი სათესლე მასალაზე გადასაცვლელად. უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდის 56 პროცენტი უვარგისი აღმოჩნდა, რაც აბრკოლებს გადაცვლას და იწვევს გლეხების უკმაყოფილებას.

წამალში გატარებული იქნება გეგმით გათვალისწინებულზე მეტი თესლი. კომკავშირის უჯრედები აწყობენ რაზმებს ამ საქმისათვის. ტრაქტორები დაუბრკოლებლივ მუშაობენ.

მზადება თესვისათვის

ახალქალაქი, 15 აპრილი. თესვის წინ სამაზრო გამქირავებელი პუნქტი ამოწმებს სათეს მანქანებს, ტრიერებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. შვიდი სათესი მანქანა, რომელიც პუნქტს მოეპოვება, დაურიგდა რაიონის აგრონომიულ პუნქტებს. დიდი მოთხოვნილებაა სათეს მანქანებზე. რამდენადმე შეფერხებულია ადგილებზე მანქანების გადატანის საქმე, რადგანაც, თოვლის დნობის გამო, გზები გაფუჭდა და გლეხებს ბევრი შრომისა და დროის ხარჯვა უხდებათ იმისათვის, რომ თესვისათვის მიიღონ საჭირო სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი. (ადს).

ბაღ - ბოსტნები დაითესა

ახალსენაკი, 16 აპრილი. ბაღები და ბოსტნები ყველგან დაითესა. ამინდი ჯერ-ჯერობით ხელსაყრელია. ბაღებში დამთავრდა მუშაობა ბაღის მცენარეულობის გასაწმენდათ

სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ იშლება

ვებრძოლოთ სამუშაო საათების გაცდენას

მუშათა ფართო მასა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში.—თამბაქოს ტრესტის კოლოფების ქარხნის საამქროებს შორის გამოცხადდა სოციალისტური შეჯიბრება.— ფეხსაცმელების ქარხნის ხუთეულმა მოახდინა მოულოდნელი ლაშქრობა ქარხნის ამბულატორიაში.— სიმულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველად საუცხოვო საშუალებაა ლაშქრობა ამბულატორიებში

ბრძოლა სიმულიაციასთან

(ფეხსაცმელების ქარხანა)

ტყავტრესტის ფეხსაცმელების ქარხანაში, სოციალისტურმა შეჯიბრებამ უკვე გამოიღო ნაყოფი. შეჯიბრების ჩამტარებელი კომისიის სწორი მუშაობით, საგრძნობლად შემცირდა სამუშაო საათების უნაყოფოდ გაცდენა, გაუმჯობესდა ნაწარმოების ხარისხი, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ამ დღეებში შეჯიბრების ჩამტარებელმა ხუთეულმა ანგარიში ჩააბარა თავის ამომრჩევლებს. როგორც გამოირკვა ხუთეულის თავმჯდომარის მოხსენებიდან, ქარხანაში ძლიერად ჰქონია გადგმული ფესვი სამუშაო საათების გაცდენას და სიმულიაციას. ხუთეულმა მოაწყო მოულოდნელი ლაშქრობა ქარხნის ამბულატორიაში, სადაც აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მუშები ატყუებენ ექიმებს და ღებულობენ მათგან რამოდენიმე დღით განთავისუფლებას სამუშაოდან.

კომკავშირელმა ულენტმა შეცდომაში შეიყვანა ექიმი და მიიღო მისგან ბიულეტენი. ხუთეულმა ეს ამბავი გააცნო ქარხნის მუშებს, რომლებმაც კომკავშირელ ულენტს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს ასეთ სამარცხვინო საქმის გამო. ეჭვი არ არის, რომ ამის შემდეგ სიმულიაციის შემთხვევები საგრძნობლად შემცირდებოდა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ქარხნის მუშებმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ხუთეულმა უფრო გააცხოველოს ბრძოლა ლოთობისა და სამუშაო საათების გაცდენის წინააღმდეგ, განამტკიცოს შრომის დისციპლინა, ჩაატაროს მუშაობა იმისათვის, რომ ყველა მუშა გაუფრთხილდეს მანქანას და შესაფერისად მოუაროს თავის დაზგას, ჩააბას თავის მუშაობაში ახალგაზრდათა კადრები, ხშირად ჩააბაროს საწარმოო თათბირს ანგარიში, დაიჭიროს მჭიდრო კავშირი ამბულატორიასთან და სხვ.

ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება უზრუნველჰყოფს ქარხანას შრომის ნაყოფიერების ზრდით და ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებით.

მეტყავე.

შეჯიბრება ჩვენც დავიწყეთ

(კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“)

სოციალისტური შეჯიბრება თამბაქოს ტრესტის კოლოფების ქარხანაშიც დაიწყო. შეჯიბრების ჩასატარებლად გამოყოფილი იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა თვალყური ადევნოს წარმოების მიმდინარეობას, ებრძოლოს სამუშაო საათების უნაყოფოდ გაცდენას და უხელმძღვანელოს სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარებას.

უნდა ითქვას, რომ თუმცა დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო სოციალსტური შეჯიბრება ქარხანაში, მაგრამ ქარხანას უკვე ეტყობა შეჯიბრების ნაყოფი. მუშაობა უფრო ინტენსიურად სწარმოებს ვიდრე ეს იყო შეჯიბრების დაწყებამდე. ამჟამად შეჯიბრება გამოცხადებულია ქარხნის ორ საამქროს შორის ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ცუდი პროდუქციის შემცირებაზე. ამ დღეებში შეჯიბრება გამოცხადდება საეტიკეტო და გამჭრელ საამქროებ შორის. ამ საამქროებში ცუდი პროდუქციის რაოდენობა ხშირად მთელი ნაწარმოების 5 პროც. უდრის. როგორც გამოირკვა, ცუდი პროდუქციის დამზადება უმთავრესად გამოწვეულია ზოგიერთი მუშების უყურადღებობით თავისი საქმისადმი და მოვალეობის პირნათლად შეუსრულებლობით. ხშირია აგრეთვე ცუდი და ნედლი მასალის მიღების შემთხვევები და სამუშაო ხელსაწყო იარაღების სიმცირის, რაც ძალზე აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. სოციალისტური შეჯიბრება აღმოფხვრის ამ ნაკლოვანებასა და გააუმჯობესებს წარმოებას.

ვ.

წარმოება იზრდება

(ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა)

ყველასათვის ცხადია, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცებას და რაციონალიზაციის სწორად გატარებას აუცილებლივ მოჰყვება შრომის ნაყოფიერების ზრდა და საერთოდ წარმოების აღორძინება. ამის საუცხოვო მაგალითია ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა, სადაც უკანასკნელ ხანებში — სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდა წარმოება.

გასული წლის პირველ კვარტალში აღნიშნული ქარხნის საქვაბო საამქრო, ერთი ქვაბის კაპიტალურ შეკეთებას საშუალოდ ანდომებდა 51-55 დღეს. მეორე და მესამე კვარტალში 51 დღეს, ხოლო მეოთხე კვარტალში კი ეს რიცხვი 39-მდე ჩამოვიდა. 1929 წლის იანვარში, ქვაბის კაპიტალურ რემონტს უნდებოდა 37 დღე. ამ გვარად, როგორც სჩანს საქვაბო საამქროში შრომის ნაყოფიერება თანდათან იზრდება.

ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში საწარმოო პროგრამა შესრულებულია მთელი ასი პროცენტით. გამოშვებულია სულ 14 ორთქლმავალის ქვაბი, რომელთა შორის 4 საშუალო შეკეთებაში იყო, 5 მუდმივი და ხუთიც კაპიტალურ შეკეთებაში. რასაკვირველია ამავე დროს საამქროში ადგილი ჰქონდა სამუშაო საათების გაცდენას, მაგრამ სამწუხაროდ მათი აღრიცხვა არ სწარმოებდა.

რაც შეეხება მეორე კვარტალის შრომის ნაყოფიერებას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ უფრო უკეთესი მდგომარეობაა. მეორე კვარტალში, გარდა სხვადასხვა წვრილმანი რემონტისა, საამქრომ გამოუშვა 24 ქვაბი. მუშა ხელის რაოდენობა კი შედარებით წინანდელთან 27 კაცით ნაკლები იყო. ისე, რომ მეორე კვარტალში შემცირდა მუშა-ხელი და თითქმის ერთი ორათ გაიზარდა წარმოება.

ასეთივე მდგომარეობაა სამუშაო საათების გაცდენის აღმოფხვრაშიაც. იანვარში გაცდენილი იყო სულ 40 სამუშაო დღე, თებერვალში 27, ხოლო მარტში კი 8. სამუშაო დროის უნაყოფოდ გაცდენის შემთხვევებიც თანდათან მცირდება და მალე მივაღწევთ იმ მდგომარეობას, როდესაც არც ერთი სამუშაო წუთი უნაყოფოდ არ დაიკარგება. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნედლი მასალის მომარაგებას და ქვაბების მიწოდების საქმეს, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი მჟავბადის ნაკლებობას, რის გამოც ფერხდება შეკეთების საქმე.

ამგვარად სოციალისტურმა შეჯიბრებამ შეამცირა სამუშაო საათების გაცდენა, ასწია შრომის ნაყოფიერება და მუშათა ფართო მასები ჩააბა წარმოების აღორძინების საქმეში. იმედია სხვა საამქროებიც მობაძავენ საქვაბო საამქროს.

ვ. ნ. ბ.

რა მოგვცა სოციალისტურმა შეჯიბრებამ

(კალინინის სახელობის ქარხანა)

საწარმოო თათბირის მუშაობის შემოწმების შემდეგ, კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში გაცხოველდა მუშათა მონაწილეობა წარმოების გაჯანსაღების საქმეში. ქარხანაში დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება, რასაც აღფრთოვანებით შეხვდნენ მუშები. შეჯიბრების ჩასატარებლად გამოყოფილი იქნა ხუთეული, რომელიც თვალყურს ადევნებს შრომის დისციპლინას და სამუშაო საათების გაცდენას.

პირველი შეჯიბრება ქარხნის საამქროებ შორის უკვე ჩატარდა. შეჯიბრებამ მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო; შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესდა ნაწარმოების ხარისხი, გაცხოველდა საწარმოო თათბირის მუშაობა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და საგრძნობლად შემცირდა სამუშაო საათების გაცდენა.

გასული თვის პირველ ნახევარში გაცდენილ სამუშაო საათების რაოდენობა აღწევდა 60—70 საათს. შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ კი ეს რაოდენობა 5 საათამდე დავიდა. მაგალითად, მარტის მეორე ნახევრის პირველ კვირაში გაცდენილი იყო 50 საათი და 45 წუთი. მეორე კვირაში გაცდენილია მხოლოდ 5 საათი და 25 წუთი. ისე, რომ შეჯიბრების გამოცხადებამ საგრძნობლად შეამცირა სამუშაო დროის გაცდენის შემთხვევები და გააფართოვა მუშათა მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

დღეს, კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში არ არის ისეთი მუშა, რომელსაც არ ესმოდეს შრომის დისციპლინა და მისი როლი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. სოციალისტურმა შეჯიბრმა აშკარა გახადა ეს ამოცანები მუშებისათვის და ჩააბა ისინი წარმოების გაჯანსაღება - განვითარების მუშაობაში.

მელიტონე.

როგორ არის დაყენებული შრომის დისციპლინა აჭარისტანში

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ცნობით, აჭარისტანის მრეწველობის წარმოებებში შრომის დისციპლინის გამოსაკვლევად ჩატარებული გამოკვლევების დროს აღმოჩნდა, რომ 3 თვის განმავლობაში ხის დამამუშავებელ ქარხანაში გაცდენილ დღეთა რიცხვს მიუღწევია 450-მდე. გაცდენილი დღეების ასეთი მრავალრიცხოვანობა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქარხანაში მუშაობენ უმთავრესად სოფლიდან ჩამოსული მუშები. მუშა, რომელიც უქმე დღის წინა საღამოს მიდის სოფლად სახლში,—რჩება სოფელში და სცდება სამუშაოზე 1—2 დღით.

გარდა ხის დამამუშავებელი ქარხნისა გაცდენილ სამუშაო დღეების ყველაზე მეტ რიცხვს იძლევა თამბაქოს ფაბრიკა და ცინკის ქარხანა. ამ წარმოებებში დღეების გაცდენა ხდება უმთავრესად საპატიო მიზეზების გამო, ვინაიდან წარმოება ჯანმრთელობისათვის მავნებელი ხასიათისაა და შრომის მძიმე პირობები იწვევენ მუშების ხშირ ავადმყოფობას.

სამუშაო დროის გაცდენის ხშირ შემთხვევებს ადგილი აქვს აგრეთვე სპილენძის სატკეც ქარხანაშიაც. 78 გაცდენილი დღე და ხშირად სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადება, მოწმობს შრომის დისციპლინის დაცემას.

აჭარისტანის ყველა წარმოებებში გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვი უდრის 886-ს, რაც შეადგენს 3,64 პროცენტს სამუშაო დღეთა რიცხვის მიმართ. სამუშაო დღეების გაცდენის გამო, არ ყოფილა დამუშავებული 17.512 მანეთის პროდუქცია. გამოკვლევის დროს აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთ წარმოებაში მუშები უხეშად და დაუზოგავად ეპყრობოდნენ დაზგებს და მანქანებს. სპილენძის სატკეც ქარხანაში გატეხილია ე. წ. პრესო-მაკრატლის მანქანა, რამაც გამოიწვია მანქანის გაჩერება 2 თვით. ხის დამამუშავებელ ქარხანაში ხშირი იყო შემთხვევა ხერხის ჩარჩოს და საშრობი დაზგის დაზიანებისა. მანქანების დაზიანება და გაფუჭება მთელ რიგ საწარმოებში გამოწვეულია მუშების მიზეზით.

რაიმე ზომები, ან ღონისძიებები ასეთი ბოროტების წინააღმდეგ არ ყოფილა მიღებული. ადმინისტრაცია მიმართავს მხოლოდ სუსტ ადმინისტრატ. ზეგავლენისა და დაჯარიმების ზომებს. პროფკავშირების მხრივაც არ ყოფილა გადადგმული ნაბიჯი შრომის დისციპლინის გასამტკიცებლად.

ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი დიდ სისუსტეს იჩენს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში, მაშინ, როდესაც ეს ამოცანები შეადგენენ მათ პირდაპირ მოვალეობას. ინჟინერ-ტექნიკოსთა ასეთი სისუსტე აიხსნება იმ გარემოებით, რომ ისინი ერიდებიან პირად პასუხისმგებლობას ისეთი ღონისძიებების გატარებაში, რაც დაკავშირებულია ტექნიკურ-საწარმოო რისკთან.

თათბირი სას.-სამეურნეო გადასახადის საკითხებზე

მეოთხე სხდომა

თათბირის მეოთხე სხდომაზე, 17 აპრილს, მოსმენილი იქნა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელ ამხ. **აკოპოვის** მოხსენება სარწყავი წყლის გამოსაღების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიაში მიწების დიდი რაოდენობა საჭიროებს მორწყვას. მიწების მორწყვას ამიერკავკასიაში აქვს გრძელი ისტორია და მორწყვის გამო მრავალი სრულიად უდაბნო და უვარგისი მიწა გამოყენებულია ისეთი ძვირფასი კულტურებისათვის, როგორიც არის ბამბა, ბრინჯი და სხვ. მიუხედავათ იმისა, რომ ამიერ-კავკასიაში აწარმოებდნენ მიწების მორწყვას და თანდათან აფართოებდნენ სარწყავი სისტემების ქსელს, — მიწების ნაკლებობა მაინც დიდია და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ ბლომად მოგვეპოვება თითქმის უდაბნო და გამოუყენებელი მიწები. ამასთანავე ომის შემდეგ სრულიად მოუვლელად არიან მიტოვებული ძველი სარწყავი სისტემები, არ სწარმოებს მათი კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება, რის გამო ეს სარწყავი სისტემები ფუჭდება. სახელმწიფო მთელ ძალღონეს და დიდძალ თანხებს ანდომებს ახალი სარწყავი არხების მოწყობას და ამ დროს ძველი სისტემების მოუვლელად მიტოვება უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივ დაუდევრობად. სარწყავი სისტემების მოვლა - პატრონობა და რაციონალურად გამოყენება მოითხოვს ხარჯებს, რომელიც არ შეიძლება გაღებული იქნან მარტო სახელმწიფო ხაზინიდან. ამიტომ გადაწყდა: დაწესებულ იქნეს სარწყავი წყლის გამოსაღები, რომელიც მთლიანად მოხმარდება სარწყავი სისტემების მოვლა-პატრონობას. მიმდინარე წლისათვის ეს გამოსაღები მთელი ამიერ-კავკასიისათვის ნაანგარიშევია 1.432.928 მანეთის რაოდენობით. აქედან აზერბეიჯანში აკრეფილი უნდა იქნეს 834.357 მანეთი, სომხეთში 365.812 მანეთი და საქართველოში 232.759 მანეთი. სარწყავი წყლის გამოსაღების აკრეფის ვადათ დანიშნული იყო 1 აპრილი, მაგრამ ამ ვადამდი ფაქტიურად აკრეფილი იქნა მხოლოდ 28.517 მანეთი. აქედან საქართველოში 8.686 მანეთი, აზერბეიჯანში — 3.870 მანეთი და სომხეთში — 15.961 მანეთი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ადგილებმა მიიღონ ზომები და დააჩქარონ გამოსაღების აკრეფა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ახუნდოვმა, ნარიმან ბელიმ, ბაგიროვმა, ოგანჯანოვმა, მაქსულოვმა, გრიგორიანმა, ალექპეროვმა, თევზაძემ, სულთანოვმა და დაბალიანმა.**

ორატორები აღნიშნავენ, რომ სარწყავი წყლის გამოსაღების დაწესებამდე საჭირო იყო სარწყავი სისტემების შესწავლა, ვინაიდან ამჟამად არ მოიპოვება სწორი ცნობები, როგორც თვით სარწყავი სისტემების, ისე იმ მიწების სივრცის შესახებ, რომლებიც სარგებლობენ ამ სისტემებით. გარდა ამისა საჭირო იყო გადასახადის აკრეფის წინეთ ჩატარებულიყო ახსნა - განმარტებითი კამპანია, რომ გლეხობას ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული გადასახადი.

ზოგიერთ რაიონებში დაწესებულია ამ გადასახადის დიდი ნორმა, რის გამოც სარწყავი წყლის გამოსაღების ჯამი ამ რაიონებში ბევრად აღემატება სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ჯამს. ზოგიერთ რაიონებში გლეხებს გადასახადი შეეწერა მათ მიერ გაყვანილ პატარა არხებიდან წყლით სარგებლობისათვის.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. აკოპოვის საბოლოო სიტყვა.

მეხუთე სხდომა

თვითდაბეგვრის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **სუჯიაშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ 1917 წლამდე თვითდაბეგვრა ატარებდა სტიქიურ ხასიათს, არ არსებობდა შესაფერი კანონი და თვითდაბეგვრის გატარება დამოკიდებული იყო ადგილობრივ ორგანოების შეხედულებაზე. 1927 წელს გამოცემულ იქნა დებულება, თვითდაბეგვრის შესახებ, ხოლო ამ დებულების მიხედვით რესპუბლიკანურმა მთავრობებმა გამოსცეს შესაფერი კანონი.

კანონის თანახმად თვითდაბეგვრის თანხა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამის 50 პროცენტს. გამონაკლის შემთხვევაში ადგილებს შეუძლიათ აღძრან შუამდგომლობა თვითდაბეგვრის ნორმის გადიდების შესახებ.

ამავე კანონის მიხედვით, თვითდაბეგვრის თანხა მთლიანად უნდა ხმარდებოდეს ადგილობრივ კულტურულ მშენებლობის მიზნებს და არამც და არამც არ უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრატიულ საჭიროებათათვის. თვითდაბეგვრით შეგროვილ თანხების დახარჯვის შესახებ გადამხდელებს პერიოდიულად უნდა წარედგინოს ანგარიში, რომ გლეხობამ იცოდეს და შეაფასოს, თუ რამდენად მიზანშეწონილად იქნა დახარჯული თანხა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს კულტურულ მშენებლობის შემოწმებაში.

თვითდაბეგვრის პრაქტიკაში ადგილი აქვს კანონის დამახინჯებას. ოზურგეთის მაზრაში 1926—27 წელს თვითდაბეგვრის თანხა უდრიდა 17.433 მანეთს, მაშინ, როდესაც სას.-სამ. გადასახადის ჯამი უდრიდა —7.107 მანეთს. თელავის მაზრაში თვითდაბეგვრის თანხა უდრიდა — 39.476 მანეთს, სას.-სამ. გადასახადი — 11.213 მანეთს. ხიდისთავის თემში განზრახული ჰქონიათ თვითდაბეგვრით შეეკრიბათ 40.900 მანეთი (მაშინ, როდესაც სას.-სამ. გადასახადის ჯამი უდრიდა 1.052 მან.). ჭიათურის თემში 1927—28 წელს განზრახული ჰქონდათ თვითდაბეგვრის წესით შეეკრიბათ 61.500 მანეთი მაშინ, როდესაც სას.-სამ. გადასახადის ჯამი უდრიდა — 2.486 მანეთს.

თვითდაბეგვრის თანხები ხშირად იხარჯება არაპირდაპირი დანიშნულებით —სოფლის მილიციელების ჯამაგირზე, მილიციის და აღმასკომების ბინის ასაგებად და სხვ.

არის შემთხვევები, რომ თვითდაბეგვრის თანხები იხარჯება რელიგიურ საჭიროებებზე— საქართველოს 11 მაზრაში რელიგიურ საჭიროებებზე თვითდაბეგვრის თანხიდან ერთი წლის განმავლობაში დაიხარჯა 43.000 მან.

გადამხდელებს არ ეძლევათ ანგარიში თანხების დახარჯვის შესახებ. არ სწარმოებს კულტურული მშენებლობის წინასწარი გეგმის შედგენა, რის გამო აკრებილი თანხა ხშირად არ კმარა მშენებლობის დასამთავრებლად და სხვ.

ადგილობრივმა ფინორგანოებმა და სას.-სამ. გადასახადის აპარატმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ თვითდაბეგვრის საქმის გაჯანსაღებაში და თვითდაბეგვრის პრაქტიკაში შემჩნეულ დეფექტების აღმოფხვრაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ნარიმან ბელიმ, გრიგორიანმა, აგანჯანოვმა, ახუნდოვმა, ბაგიროვმა, მატინოვმა, დავიდოვმა, ტაგიევმა** და სხვ.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ თვითდაბეგვრის თანხის აკრების დროს ადგილებზე ხშირად მიმართავენ ადმინისტრატიულ ძალდატანებას, რაც თვითდაბეგვრას უკარგავს ნებაყოფლობით ხასიათს; თვითდაბეგვრის თანხას ხშირად საზღვრავს თემსაბჭო, გადამხდელების მონაწილეობის გარეშე. ფულის აკრება სწარმოებს უდროო დროს, გადამხდელებს წინასწარ არ ატყობინებენ, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს და ამრიგად ხელს უშლიან მათი მეურნეობის გეგმიან საფუძველზე მოწყობას. თვითდაბეგვრის თანხის განაწილებაში დაცული არ არის კლასობრივი ხაზი და სხვ.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. სუჯიაშვილი, რის შემდეგ არჩეულ იქნა კომისიები მოხსენებების გარშემო რეზოლიუციებისა და პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

უპატრონო ბავშვთა დახმარების სამდღიური

ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად სახსრების გაძლიერებისათვის 21, 22 და 23 აპრილს თბილისსა და მთელ საქართველოში ჩატარებული იქნება უპატრონო ბავშვთა დახმარების სამდღიური. სამდღიური ეწყობა ლენინის დაბადების წლის თავზე. საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების ყველა პროფორგანიზაციას წინადადება მისცა,—მიიღონ მონაწილეობა ამ სამდღიურის გატარებაში. კლუბებსა და კუთხეებში უნდა გაიმართოს მოხსენებანი ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის შესახებ. (ადს).

არჩევნები კოოპერაციაში

რა სთქვეს თბილისის მუშკოოპის წევრებმა—კოოპერატორებმა

ცეკავშირის, „სოფლის კავშირის“ და „სოფლის მეურნის“ თანამშრომელთა საერთო კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო თბილისის მუშკოოპის გამგეობის ანგარიშის მოსასმენად და ახალ რწმუნებულების ასარჩევად, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. კრებაზე გამოცხადდა ხსენებულ კოოპ. ორგანიზაციების თანამშრომელთა 85,7 პროცენტი.

მუშკოოპის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საანგარიშო პერიოდში გამგეობას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ზოგიერთი საქონლის სიძვირე, ფინანსიური და სხვ. სიძნელეები გამგეობას აიძულებდნენ ემუშავა გაასკეცებული ენერგიით, რათა მომხმარებელთა მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კამათში გამოსული ორატორები მოითხოვდნენ მუშკოოპის აპარატის გაწმენდას, სავაჭროებში კუდების მოსპობას და სხვ. ამასთანავე მუშკოოპის გამგეობას მიუთითებს გარეუბნებში სავაჭრო ქსელის გაფართოების, პროტექციონიზმთან ბრძოლის გაძლიერების და მომხმარებელთა პირველი მოთხოვნილების საქონლით უზრუნველყოფის საჭიროებაზე.

ამხ. **ზალდასტანაშვილმა** (ცეკავშირიდან) მუშკოოპს უსაყვედურა, რომ დეფიციტური საქონელი წევრთა შორის არ ნაწილდება ხეირიანად და გარდა ამისა მიუთითა, რომ გამგეობამ უნდა მიიღოს ზომები სასოფ. მეურნეობის პროდუქტების ბაზრის დასაპყრობად.

ამხ. **დავითაიამ** (ცეკავშირი) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზედნადები ხარჯები მუშკოოპში დიდია. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ პურის ცხობის საქმე მთლიანად გადაეცეს მუშკოოპს.

კამათის დროს აღინიშნა აგრეთვე, რომ მუშკოოპის სავაჭროებში გამყიდველები უხეშად ეპყრობიან მომხმარებლებს, რომ პურის ხარისხი მდარეა, სავაჭრო ქსელი არ არის საკმარისად გაშლილი და სხვა.

სულ კამათში მონაწილეობა მიიღო 150 კაცმა და მომხსენებელს მიეცა 37-ზე მეტი შეკითხვა.

კრებამ მუშკოოპის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მიღებულ რეზოლიუციაში შეიტანა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები მომავალში მუშკოოპის საქმიანობის კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟი

26—28 აპრილს მოსკოვში გაიმართება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟი. ამ სესხის პირველი ტირაჟი მოხდა იანვრის ბოლო რიცხვებში ლენინგრადში. პირველ ტირაჟში თბილისს ხვდა 2767 მოგება 128.600 მანეთის რაოდენობით.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებულ ობლიგაციის მეპატრონეს გარდა მოგებისა ეძლევა ობლიგაციის ნომინალური ღირებულება; ამრიგად, ყოველი ტირაჟის შემდეგ მოგების შანსები იზრდება, რადგან შემდგომ ტირაჟებში მონაწილე ობლიგაციების რიცხვი მცირდება, მოგებათა რაოდენობა კი წინანდელი რჩება.

ვინაიდან მოგებათა დიდი რაოდენობა და აგრეთვე ტირაჟების სიმრავლე თვალსაჩინო დაბრკოლებებს ქმნიან ობლიგაციების მეპატრონეთათვის იმ მხრივ, რომ მათ არ შეუძლიათ სწრაფად გაიგონ მოგებულ ობლიგაციების ნომრები, სახელმწიფო ბანკმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები, რომ ამ მხრივ უკეთესი სამსახური გაუწიოს მუშა - მოსამსახურეებს.

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას განზრახული აქვს სატირაჟო ცხრილების მიღებისთანავე მოაწყოს ბანკის მოსამსახურეთა მივლინება წარმოება - დაწესებულებებში, სადაც ისინი დასვენების დროს მისცემენ მუშა - მოსამსახურეებს საჭირო ცნობებს და იქვე გაანაღდებენ მოგებულ ობლიგაციებს.

სესხის ხელის შემწყობ კომისიებს თავის დროზე მიეცემათ სატირაჟო ცხრილები. ცნობების გაცემა მოგებულ ობლიგაციების შესახებ იწარმოებს აგრეთვე სახელმწიფო სესხების მოძრავ კუთხეებში, რომლებიც ეხლა ეწყობა მუშათა კლუბებში. ამის გარდა საცნობარო მაგიდა მოწყობილია საქონლის საფონდო ბირჟაში.

მეორე ტირაჟის მსვლელობა გადაცემული იქნება რადიოთი. მეორე ტირაჟში სულ გათამაშებული იქნება: პროცენტიან - მომგებიან გამოშვებით — 4 მოგება 5.000 მანეთიანი, 80 მოგება 1.000 მანეთიანი, 600 მოგება 250 მანეთიანი და 22.516 მოგება 100 მანეთიანი; უპროცენტო გამოშვებით: 14 მოგება 5.000 მანეთიანი, 280 მოგება 1.000 მანეთიანი, 2.100 მოგება 250 მანეთიანი და 83.006 მოგება 100 მანეთიანი.

თვითღირებულების შემცირების მასიური შემოწმება

სოციალისტური შეჯიბრების გატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს პროფსაბჭომ საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკების ყველა პროფორგანიზაციას წინადადება მისცა საწარმოო თათბირების საშუალებით, მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ჩაატარონ თვითღირებულების შემცირების მასიური შემოწმება. ამ მიზნით წარმოებებში უნდა გამოჰყონ დროებითი კომისიები. საწარმოო თათბირების მიერ მიღებული კონკრეტული ღონისძიებანი შესასრულებლად უნდა გადაეცეს ქარხნის სამმართველოებს. (ადს)

სამტრედია-ბათომის რკ. გზის საუბნო კომიტეტის მეათე კონფერენცია

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

(პირველი დღე)

ორშაბათს, 15 აპრილს, საღამოს 6 საათზე, რკ. გზ. მუშათა კლუბში გაიხსნა სამტრედიის და ბათომის რკინის გზის საუბნო კომიტეტების მე-10 კონფერენცია. კონფერენციას ესწრება ბათომის უბკომიდან გადამწყვეტი ხმით 33 დელეგატი, სამტრედიიდან—57, ჩამოვიდა აგრეთვე საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **პ. საბაშვილი,** პროფსაბჭოს და პარტორგანოების წარმომადგენლები.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. სამტრედიის და ბათომის საუბნო კომიტეტების და სარევიზიო კომისიების მოხსენება. 2. სამტრედიის და ბათომის უბნის დამზღვევ სალაროების და მათი სარევიზიო კომისიების მოხსენება. 3. „ზაკტპოს“ გამგეობის მოხსენება. 4. მოძრაობის დარგის პირველი განყოფილების, წევის დარგის პირველი და მეორე უბნის მოხსენებები. 5. საუბნო კომიტეტის, დამზღვევ სალაროს და მათი სარევიზიო კომისიის არჩევნები. 6. მიმდინარე საკითხები.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 17 კაცი, მათ შორის ამხ. **პ. საბაშვილი, ჩაჩუა, ბუაძე** და სხვ. არჩეულ იქნა აგრეთვე სამდივნო და სამანდატო კომისია.

საუბკომის ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩაჩუამ.

საანგარიშო ხნის განმავლობაში, ამბობს მომხსენებელი, მე-9 კონფერენციიდან დღემდე. ორგანიზაციულ და კულტურულ მუშაობის დარგში ჩვენ გვაქვს მრავალი მიღწევები და განსაკუთრებით ეს გამოიხატება მე-9 კონფერენციის დადგენილების განხორციელებაში, რომელიც მიმდინარეობდა მასიურ მუშაობის გაშლის ნიშნის ქვეშ. ამ ხნის განმავლობაში პრეზიდიუმს ქონდა 36 სხდომა, გარჩეულა 354 საკითხი.

ამხ. ჩაჩუამ დაწვრილებით გააშუქა პროფ. მუშაობის თვითეული დარგი. ამხ. ჩაჩუას მოხსენებით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა. სხდომის შემდეგ დელეგატებისათვის დაიდგა „რღვევა“.

(მეორე დღე)

16 აპრილს, დილის სხდომაზე მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ბათომის რკ. გზ. საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბუაძეს, რომელმაც თავის მოხსენებაში შეეხო პროფმუშაობის ყოველ დარგს და აღნიშნა როგორც მიღწევები, ისე ნაკლი საანგარიშო ხნის განმავლობაში. შემდეგ თანამოხსენებით უბკომის თავმჯდომარეების მოხსენების გარშემო გამოვიდნენ სარევიზიო კომისიები, რომლებმაც დაწვრილებით გააშუქეს უბკომების ფინანსიური ანგარიში. შეკითხვებისა და მომხსენებლების პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი.

ამხ. **ვალ. ლალიაშვილი** (ქუთაისი) საუბკომს მუშაობის ყველა დარგში აქვს მიღწევები. მე-9 კონფერენციიდან დღემდე ორგანიზაციულ-მასიური მუშაობა გაიზარდა, გაიზარდა წევრთა რიცხვი და ამ ზრდასთან ერთად ამაღლდა მასების კულტურული დონეც, რასაც ამტკიცებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მაგრამ ეს არაა საკმაო. საჭიროა მეტი ცოდნა კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლება. ამისათვის კი საჭიროა სხვადასხვა პროფ. და საწარმოო წრეების საფუძვლიანი ჩამოყალიბება მსხვილ ადგილკომებში და სწავლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ორატორს საჭიროდ და დროულად მიაჩნია აგრეთვე ნაბეჭდ ცეხ-გაზეთების გამოცემა, რომ უფრო ორგანიზაციულად გაეწიოს ხელმძღვანელობა შრომის დისციპლინის ამაღლებას და პროფ.-დისციპლინას.

ამხ. **ხუჭუა** (მეისრე). შპალების ცვლისთვის გამომუშავებული ნორმა დიდია, საჭიროა მისი კიდევ გადასინჯვა, კოლ-ხელშეკრულებაში მუშებს უნდა ეძლეოდეს პალატკები გზაზე მუშაობის დროს, დღემდის ასეთი არ ეძლეოდათ. მეისრეების თანრიგი მცირეა იმ დროს, როდესაც მათ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, მეისრეებს აგრეთვე დარაჯობასაც ავალებენ, რაც დაუშვებელია. საჭიროა შპალის სამუშაოზე მუშების ხელთათმანებით უზრუნველყოფა.

ამხ. **მეგრელიშვილი** (ბათომი). საწარმოო კომისიების მუშაობაში მრავალი ნაკლია. ჯერ კიდევ ვერ არის მოწესრიგებული მათი დადგენილების ცხოვრებაში გატარება, გამომგონებლებს და გამაუმჯობესებლებს უნდა დაეხმარონ მცოდნე ტექნიკოსის ძალები. ადგილკომის ბევრი დელეგატი არ არის გაწვრთნილი თავის მოვალეობაში. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობაში ზოგან ადმინისტრატიული გავლენა სჩანს. სასამართლოში ხშირად ჭიანურდება ამა თუ იმ პირის საქმე, რაც დაზარალებულს იწვევს არასასურველ ხარჯების გაღებას (მაგალითად ბოჩოძის საქმე ბათომში). შრომის დაცვის კომისიები არ არიან გაწვრთნილნი შრომის დაცვის საკითხებში.

ამხ. **ქორიძე** (ბათომი). მეისრეების ხელფასი მცირეა, პასუხისმგებლობა კი დიდი. საჭიროა ლიანდაგის დარგში თავის დროზე მოწესრიგდეს სპეცტანსაცმელების დარიგების საქმე.

ამხ. **მარგალიტაძე.** ბათომის უბანში იმ დროს მოხსნეს ღუმელების დანთება, როდესაც მუხლამდე თოვლი იყო. 14 დღის დამატებითი შვებულების გაუქმება უფრო მეტ ზარალს იწვევს, ვინაიდან აქ მალარიანი უბანია და მუშა-მოსამსახურენი ავათ ხდებიან, რაც ზედმეტ ტვირთად აწვება დამზღვევ სალაროებს. სპეცტანსაცმელის შესახებ გამოცემული ბრძანება № 3303 და შემდეგ 3905, ერთი-მეორეს ეწინააღმდეგება, რასაც საგზაო კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს. ახალი ხელფასის რეფორმა უნდა გატარებულიყო ა. წ. პირველ თებერვლიდან, მაგრამ სამმართველომ რატომღაც გადასდო. ახალ რეფორმაში არსებული დიდი განსხვავება სხვადასხვა პროფესიის მუშებს შორის, უკმაყოფილებას იწვევს, მაგ., კანტორის მოხელეებს ემატებათ 7 მანეთამდე იმ დროს, როდესაც საშუალო ადმინისტრ. პერსონალს ემატება 60—70 მანეთი.

ამხ. **ფრანგიშვილი** (სამტრედია), მასალების უქონლობა ხშირად აფერხებს მუშაობას, მუშები ცდებიან და გადამუშავებით ბევრს ვერაფერს აკეთებენ. შეფასებებში საჭიროა ცვლილებების შეტანა.

ამხ. **ლომიძე.** შრომის დისციპლინის ამაღლების კამპანიას ხშირად ადმინისტრატორები უშლიან ხელს. სპეცტანსაცმელები უკანასკნელ ბრძანებასთან დაკავშირებით ზოგ პროფესიებზე შეუსაბამოა. ხიდის ზეინკლებზე, დარაჯებზე, წყალსაქაჩის მემანქანეებზე და სხვებზე არ არის გათვალისწინებული სპეცტანსაცმელების მიცემა, რაც უნდა გამოსწორდეს.

ამხ. **ლეკვეიშვილი** (იანეთი), მოძრავი ვაგონი-კლუბი ჩვენს სადგურზე მუშებს არ გვინახავს. იანეთში სამკითხველოს შენობის მოგვარებას საშველი არ დაადგა. სდგას ვებერთელა ტბა, თუ მის ამოსაშრობათ არ იქნა მიღებული ზომები, ამ ზაფხულში მალარიას ვერ გადავურჩებით.

ამხ. **აფხაზავა** აღნიშნავს ახლად გამოსულ სატარიფო მეორე და მესამე ცხრილის შეუსაბამობას ზოგ პროფესიებში და მოითხოვს მის გადათვალიერებას.

ამხ. **ბ. ჩხენკელი.** ქუთაისის რკ. გზ. კლუბი მოთავსებულია საქონლის საწყობის შენობაში. ამ გარემოებით რკ. გზა ცალკე ზარალობს იმით, რომ მოსულ ვაგონებისათვის დასაცლელი ადგილი არ არის და მეორე კი თვით კლუბი უხერხულ პირობებშია და ვერ არის მთლიანად გამოყენებული მუშა-მოსამსახურეებისათვის.

16 აპრილს, დილის და საღამოს სხდომაზე ილაპარაკა სულ 22 ორატორმა, რომელნიც მიუთითებდნენ საუბკომს ამა თუ იმ მუშაობის დარგში სხვადასხვა პრაქტიკულ ღონისძიებებზე, შრომის, საწარმოო და კულტურული საქმიანობის დარგში.

ვ. ლ—ი.

შვებულებაში მიმავალთა შესახებ

(შეფაქტივის საქალაქო კრება)

გუშინ საღამოს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა თბილისის საშეფო საზოგადოების აქტივის საქალაქო კრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე კომუჯრედების ბიუროების და საფ.-საქარხნო კომიტეტების კულტკომისიების წარმომადგენლებიც. შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობისა და ამ მხრივ საშეფო საზოგადოების ამოცანების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბედია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მომავალი ზაფხულის საშვებულებო სეზონი საშეფო საზოგადოებამ უნდა გამოიყენოს თავის მუშაობის გასაძლიერებლად სოფლად. საშეფო საზოგადოებამ თვითეული წარმოება-დაწესებულებებიდან შვებულებაში მიმავალი მუშა-მოსამსახურე წინასწარ უნდა იქნას მომზადებული, რომ მან სოფლად შესძლოს საზოგადოებრივი მუშაობის ჩატარება.

შვებულებაში წასული მუშა-მოსამსახურის პოლიტიკური ამოცანები უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ მათ შეეძლოს გლეხობას მისცეს შესაფერი განმარტებები საერთაშორისო მდგომარეობის, საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის და ომის საშიშროების შესახებ. გარდა ამისა შვებულებაში წასულმა მუშამ, რომელიც იცხოვრებს სოფლად, უნდა აუხსნას და განუმარტოს გლეხობას საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო მდგომარეობაც. ამისათვის საჭიროა, რომ შვებულებაში წასული მუშა თავისუფლად ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის მდგომარეობა და დაბრკოლებები სამეურნეო ფრონტზე.

ყველა ის მუშები, რომლებიც უნდა წავიდნენ შვებულებაში, წინასწარვე უნდა იქნენ სათანადოთ მომზადებულნი. ამისათვის საჭირო იქნება საშეფო საზოგადოებამ მოაწყოს მათი მოსამზადებელი კურსები, დაარსოს წრეები, მოიწვიოს შვებულებაში მიმავალთა კონფერენციები და გამართოს მათთვის კითხვა-პასუხის საღამოები. ამგვარად მომზადებულმა მუშებმა ქალაქიდან სოფელში ჩასვლისას უნდა დაიწყონ მუშაობა უმთავრესად იმ საკითხების განსამარტავად, რომლებსაც გლეხობისათვის უფრო აქტუალური მნიშვნელობა აქვს. ასეთ საკითხებათ უნდა ჩაითვალოს: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული ახალი კანონი, აგიტაციის გაწევა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, საქართველოს ახალი ადმინისტრატიულ-ეკონომიური დარაიონების შესახებ განმარტებების მიცემა დაინტერესებული გლეხებისათვის, კლასიური ბრძოლის საკითხი სოფლად და სხვა.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლად მუშაობის დროს შვებულებაში მყოფმა არ უნდა მოაჩვენოს გლეხობას თავი, როგორც რევიზორმა, ან „ზემდგომი ორგანიზაციის“ წარმომადგენელმა, მან უნდა შესძლოს გლეხობასთან ამხანაგური დაახლოება და მხოლოდ მაშინ იქნება მუშაობა ნაყოფიერი.

მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საჭიროთაა აღიარებული, რომ თბილისის საშეფო საზოგადოებამ შეადგინოს კამპანიის ჩატარების გეგმა იმ გვარათ, რომ მასში გათვალისწინებული იქნეს იმ სასოფლო-სამეურნეო რაიონების ძირითადი ამოცანები და მოთხოვნილებები, სადაც მუშაობა მოუხდებათ შვებულებაში წასულებს. ამასთანავე აქტივის კრება საჭიროთ სთვლის, რომ ყველა საშეფო ორგანიზაციებმა, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ კამპანიის ჩატარებაში—გააძლიერონ მასიური კულტურულ პოლიტიკური მუშაობა შვებულებაში მიმავალთა შორის. რეზოლიუციაში საჭიროთაა აგრეთვე აღიარებული, რომ კამპანიის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა, რომლებმაც ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საშეფო საზოგადოებას ხსენებული კამპანიის ჩატარებაში.

ქრონიკა

შრომის პირობების გამოკვლევა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის შრომის უფროსი ინსპექტორი ამხ. **შახნოვსკი,** რომელიც საქ. შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად გამოიკვლევს კახეთის, აფხაზეთის, ბორჯომის, აჭარისტანის და თბილისის რაიონებში სასოფლო - მეურნეობაში დაქირავებულ მუშების შრომის პირობებს. ასეთივე გამოკვლევა ჩატარებული იქნება ყველა რესპუბლიკებში, რის შემდეგაც გამოკვლევის მასალების მიხედვით გამოცემული იქნება ახალი კანონი სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

გურჯაანის კეთილმოწყობა

კახეთის სამაზრო ცენტრის გურჯაანის კეთილმოსაწყობათ ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. შენდება 200 ცხენის ძალიანი ელსადგური, 40 ოთახიანი მუშათა ახალი სახლი, ეწყობა წყალსადენი, სასაკლაო, ქუჩები და სხ. გარდა ამისა, ახალ სახლებს აგებენ თავიანთ განყოფილებებისათვის — სახ. ბანკი, კომ. ბანკი, სახმედვაჭრობა და სხ.

სანიტარო გამოსაღები

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, სოციალური დაზღვევის ორგანოები განთავისუფლებული უნდა იქნენ სანიტარო გამოსაღებისაგან.

ბამბის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის უკანასკნელი ცნობებით, სეზონის განმავლობაში ამ.-კავკასიაში დამზადდა 68.000 ტონა ბამბა, შესრულებულია დამზადების გეგმის 84,5 პროცენტი. (ადს).

თბილისის აღმასკომში

◆ **კეთილმოწყობა.** ქალაქის კეთილმოსაწყობათ გადადებულია 460.000 მან.

◆ **ახალი აბანო.** განზრახულია ვერის რაიონში აგებული იქნეს აბანო.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **უქმე დღეები.** შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, 1 და 2 მაისი გამოცხადებულია უქმე დღეებათ, ხოლო 6 მაისი დასასვენებელ დღეთ.

◆ **შრომის ინსპექტორი — ქალი,** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, რესპუბლიკის შრომის უფროს ინსპექტორათ დაინიშნა ამხ. ეფროსინე ფარცხალაძე (მუშა-ქალი).

◆ **ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.** მომუშავენი გათანასწორებულნი არიან ფიზიკურათ მომუშავეებთან.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში

◆ **სამალარიო რაზმები.** მალარიასთან ბრძოლის გასაძლიერებლად ჯანსახკომი აწყობს 47 სამალარიო რაზმს.

◆ **ყვავილის წინააღმდეგ.** ყვავილის საწინააღმდეგო აცრის ჩასატარებლად ჯანსახკომი მაზრებში გზავნის 7 რაზმს.

◆ **კბილის საექიმო კაბინეტი.** ჭრებალოში (რაჭა - ლეჩხუმი) კბილის საექიმო კაბინეტის მოსაწყობათ ჯანსახკომმა გადასდო 1.200 მან.

სხვადასხვა

◆ **ავიაქიმის საზ-ბის რესპუბლიკანური** ყრილობა შესდგება მაისის პირველ რიცხვებში თბილისში.

◆ **სახლის მეპატრონეების დაჯარიმება.** თბილისის აღმასკომის მიერ სახანძრო - საკონტროლო წიგნების შეძენის შესახებ გამოცემულ დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებული არიან შემდეგი სახლის მეპატრონეები: გიორგი ქრისტეფორეს ძე ვილვილიანი (არღუთინსკის ქ. №13), ნატალია ფოლავანდიშვილი (ვარდისუბნის ქ. № 23), ანდრია გრიგოლის ძე ქრისტესიაშვილი (როსტოვის ქ. № 11), პელაგია ივანეს ასული გოგელაშვილი (როსტოვის ქ. № 8), ეფრემ ბეკოს ძე ტყებუჩავა (ყურგანის ქ. № 937) და მათე მაჩაიძე (შრომის ქ. № 59).

◆ **საისტორიო - საეთნოგრაფიო საზ-ბაში.** 19 აპრილს საღ. 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საქ. საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრება, რომელზედაც შ. ადეიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე — „იდეა და კომპოზიცია ვეფხის ტყაოსანში“.

◆ **თბილისის მაუდის ფაბრიკა.** თბილისის მაუდის ფაბრიკაში უკვე დაწყებულია მანქანა-მოწყობილობათა დადგმა, რომელსაც აწარმოებენ უცხოეთიდან ჩამოსული სპეციალისტები.

ხელოვნების ქრონიკა

— **კ. მარჯანიშვილის მოხსენება.** ორშაბათს, 22 აპრილს, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში რეჟისორი კ. მარჯანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ჩემი მუშაობა თეატრებში“. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

— **„26 კომუნარი“.** თბილისში მიღებული ცნობით, მეიერხოლდი და ნ. შენგელაია შეუდგენ ახალ სურათის „26 კომუნარი“-ს გადაღებას.

— **„რელსები გუგუნებენ“.** დღეს ქუთ.-ბათომის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „რელსები გუგუნებენ“.

— **„ღვარძლი“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი“.

— **„ლამარა“.** ახლო ხანში რუსთ. თეატრში წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის პიესა „ლამარა“ ახალი დადგმით. დეკორაციები კეცხოველის.

ბრძოლა წყალდიდობასთან

თბილისის მაზრაში

თბილისის წყალთა ოლქის სამმართველო თავის დროზე შეუდგა მზადებას წყალდიდობასთან საბრძოლველად. ამჟამად თბილისის მაზრაში გარდა ფასანაურის, ყაზბეგის და თიანეთის თემებისა, ყველგან დაწყებულია წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები. ზოგიერთ ადგილებში მუშაობის თავის დროზე დაწყებას ხელს უშლის უამინდობა. მაზრის უმეტეს ადგილებში მუშაობა კარგად მიმდინარეობს. მუშაობას აწარმოებენ წყალდიდობასთან მებრძოლი სათემო საგანგებო სამეულები თბილისის წყალთა ოლქის ტექნიკური ხელმძღვანელობით. დღემდე უკვე შესრულებულია გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოების 70-75 პროცენტი. წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ კომკავშირის ორგანიზაციები. წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები უკვე დამთავრებულია საგარეჯოში, მცხეთის თემში, ჰოპორტში, სოფელ მუხრანში და ქსოვრისში.

ამინდი

საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობებით, გუშინ დილის 7 საათისათვის თბილისში ტემპერატურა უდრიდა 6,2 გრად., წინა დღეს მოდიოდა წვიმა; სოხუმში—მოღრუბლულობა, ტემპერატ. 10 გრად., ფოთში — მოწმენდილი ცა, ტემპერატურა 9,6 გრად.; ბათომში — მოღრუბლულობა, წინა დღეს მოდიოდა წვიმა, ტემპერატ. 8,7 გრად.; ოზურგეთში — მცირე მოღრუბლულობა, ტემპერატ. 9,7 გრად., ჩაქვში — მოღრუბლულობა, წინა დღეს მოდიოდა წვიმა, ტემპერ. 6,9 გრად., ფურთიოში ტემპერ. 1,8 გრად.; ტყიბულში — მოდიოდა წვიმა, და თოვლი, ტემპერატ. 7,5 გრად.; ჭიათურაში — მოდიოდა წვიმა, ტემპერატურა 3,4 გრად.; წიფაში — მცირე მოღრუბლულობა, სიმშრალე, ტემპერატ. 0,3 გრად.; სურამში — მოწმენდილი ცა, ტემპერატურა 1,0 გრად.; ბორჯომში მოწმენდილი ცა, ტემპერატურა — 0,6 გრად.; წინა დღეს მოდიოდა თოვლი; აბასთუმანში — მცირე მოღრუბლულობა, ტემპერატურა — 0,9 გრად.; წინა დღეს მოდიოდა თოვლი და წვიმა; ლიბანში — მცირე მოღრუბლულობა. ტემპერატ. — 0,9 გრად.; წინა დღეს მოდიოდა თოვლი და წვიმა; გორში — მოღრუბლულობა, ტემპერატ. 0,2 გრად., თიანეთში — მოღრუბლულობა, ტემპერატ. 3,1 გრად.; ახმეტაში — მოღრუბლულობა, წინა დღეს მოდიოდა წვიმა, ტემპერატურა 9,9 გრად.; ლიუქსემბურგში — მოღრუბლულობა, ტემპერატ. 3,3 გრად.; საგარეჯოში — მოწმენდილი ცა, ტემპერატურა 9,4 გრად.;

კავკავში — მოღრუბლულობა, წინა დღით წვიმდა, ტემპერატურა 4 გრად.; პეტროვსკში — მოწმენდილი ცა, წინა დღით ქროდა ძლიერი ქარი და მოდიოდა წვიმა, ტემპერატ. 8,5 გრად.; ბაქოში — მცირე მოღრუბლულობა, ღამე მოდიოდა წვიმა, ტემპერატურა 9,4 გრად.; ლენინაკანში — მცირე მოღრუბლულობა, ტემპერატ. 0,5 გრად., წინა დღეს მოვიდა წვიმა და სეტყვა; ლენქორანში მცირე მოღრუბლულობა ტემპერატ. 11,3 გრად.;

მოსკოვში — მოწმენდილი ცა, ტემპერატურა — 7,7 გრად., (ყინვა); ლენინგრადში — მოწმენდილი ცა, ტემპერატ. — 7 გრად., არხანგელსკში ტემპერატურა — 14 გრად., კურსკში — 6,6 გრად., მინსკში — 3,7 გრად., ნიჟნი - ნოვგოროდში — 8,1 გრად., ყაზანში — 6,6 გრად., სვერდლოვში — ტემპერატ. 2,8 გრად.

რკინისგზებზე

2, 4, 5 და 6 მაისს მუშაობა იწარმოებს

ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ მოსკოვიდან მიიღო გზათა სახ. კომისარის, რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკას მდივანის, შრომის სახ. კომისარის, საკავშირო საგზაო შრომის ინსპექტორის და საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომლის თანახმად რკინისგზებზე 2, 4, 5 და 6 მაისი გამოცხადებულია სამუშაო დღეებად.

გზის გამგეობის მიერ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები, რათა ეს დღეები გამოყენებულ იქნეს მაქსიმალურად.

დაზგები თბ. საქარხნო - საფაბრიკო სკოლისათვის

ა.-კ. რკინის გზის რწმუნებულმა მოსკოვში თბილისის რკინის გზის საქარხნო - საფაბრიკო სკოლისათვის შეიძინა 30-დე ნახმარი, ამერიკული სისტემის დაზგა და მათთვის საჭირო მოწყობილობები.

დაზგები მოწყობილობებით და შეკეთებით ჯდება 20.000 მანეთი. ისინი გადმოგზავნილი იქნება თბილისში შემოდგომაზე.

ქუთაისი

კოოპერაციის საანგარიშო - საარჩევნო კამპანია

ქუთაისი, 17 აპრილი. ქუთაისის მაზრაში უკვე დაიწყო სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერაციის გადარჩევის მოსამზადებელი კამპანია. გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქუთაისის რაიონში სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რიცხვი, შარშანდელთან შედარებით, 29 პროცენტით გაიზარდა. საერთოდ, ქუთაისის მაზრაში კოოპერაციაში ჩაბმულია მოსახლეობის 88,6 პროც. საპაიო შესატანი გასტუმრებული აქვს მოსახლეობის 21 პროცენტს, საწევრო შესატანი — მთელ 100 პროცენტს. საპაიო კაპიტალი 106.223 მანეთს უდრის.

საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ქუთაისი ცხრა შესაკრებ პუნქტად არის გაყოფილი. კოოპერაციის გადარჩევა დასრულდება მაისში. (ადს)

1.000 მანეთის მოგება

ქუთაისი, 17 აპრილი. სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებაში ობლიგაციის ერთმა პატრონმა, რომელმაც არ მოისურვა ვინაობის დასახელება, წარადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციის ერთი კუპონი, სერია 61.750, № 15, რომელსაც 1.000 მან. მოგება ხვდა. (ადს)

ფოთი

ჰარიმანის დროს ჩაკვდა მარგანეცის წარმოება, სრულებით დაეცა მისი საზღვარგარეთ გატანა, რასაც სხვათა შორის ქვემოდ მოყვანილი ციფრებიც ადასტურებს:

წარსული წლის აგვისტოში, სწორეთ ამერიკელთა წასვლის წინ, ფოთის ნავთსადგურიდან ერთი თვის განმავლობაში გატანილი შავი ქვის რაოდენობა ძლივს უდრიდა 14 ათას ტონას.

ამის გამო ფოთში ხანგრძლივი და ეპიდემიური ხასიათი მიიღო უმუშევრობამაც.

საქმეს სათავეში ჩაუდგა მარგანეცის ტრესტი. ამერიკელების მიერ გატანილ 14 ათასი ტონის ნაცვლად ტრესტმა 60 ათასი ტონის გაზიდვით დაიწყო მუშაობა, გადავიდა 80 ათას ტონაზე, შემდეგ 120-ზე, 180-ზე, ხოლო წარსული თვის, მარტის განმავლობაში უკვე გატანილ იქნა 190 ათასი ტონა მარგანეცი.

ამ მხრივ ამერიკელების დროს თითქმის ჩამკვდარი იყო ფოთის ნავთსადგურიც: ძვირათ თუ მოკრავდით თვალს მარგანეცისათვის მოსულ საოკეანო, უზარმაზარ გემს, ისინი ფოთის იშვიათი სტუმრები იყვნენ.

ამჟამად კი, თითქმის ყოველდღიურათ, ნავთსადგურში სდგას ხუთ-ხუთი გემი, ის, რაც ეტევა ნავთსადგურში. ხოლო ხშირია შემთხვევა, რომ დასატვირთად მოსული გემები საკმაო რაოდენობით უცდიან ხოლმე რიგს ნავთსადგურს გარეშე.

და თუ რა ინტენსიობით სწარმოებს ქვის გაზიდვა, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ დღემდე მარგანეცით სავსე ნავთსადგურას ბაქნები დღეს თითქმის დაცარიელებულია, მისი ტევადობა 8 ათას ტონამდეა დაყვანილი და 10 აპრილიდან ყოველდღიურათ ჭიათურიდან მოზიდული მარგანეცის რაოდენობა 240 ვაგონს უდრის.

როგორია შრომის პირობები?

ტრესტის თავმჯდომარის, ამხ. **კარპე მოდებაძის** განცხადებით, რომელიც ორი დღის წინათ ესტუმრა ფოთს, დღიდან მუშაობის დაწყებისა ტრესტსა და მუშებს შორის არავითარ უკმაყოფილებას არ ჰქონდა ადგილი.

— 350 კაციდან,—განაცხადა ამხ. მოდებაძემ,—დღეს უკვე 330 კაცია კადრში ჩარიცხული, მიუხედავათ იმისა, რომ მატერიალურათ ეს არც თუ დიდათ სასარგებლოა ტრესტისათვის. მუშაობენ ორ ცვლათ, ეძლევათ სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ერთი თვის შვებულება და თვითოეული მუშის საშუალო ხელფასიც დღიურათ 4 მანეთს აღემატება.

გარდა კადრის მუშებისა, ამავე რაოდენობითაა დღიური მუშებიც, ასე, რომ ყოველდღიურათ მარგანეცის ტვირთვაზე მუშაობს 600 კაცი.

როგორც გამოირკვა, ზამთრის თვეებში ცოტა შესუსტებულა შრომის ნაყოფიერება. ამის მიზეზი ყოფილა,—ამხ. მოდებაძის განცხადებით,—უმთავრესად ცივი, სუსხიანი ზამთარი, უამინდობა, სათანადო რაოდენობით ვაგონებისა და ორთქლმავალების უქონლობა და სხვა წვრილმანი მიზეზები, რომელნიც ამჟამად სავსებით გამოსწორებულია.

მაგრამ, ჩვენის აზრით, შრომის ნაყოფიერებაზე არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა,—და ეს დაადასტურეს ტრესტის ადგილობრივმა მუშაკებმაც,—იმ გარემოებას, რომ დღიურ მტვირთავ მუშათა შორის ბევრია შემთხვევითი პირები, სულ სხვა პროფესიის, რომელთა არა საკმაო კვალიფიკაცია შრომის ნაყოფიერებას ასუსტებდა. მაგრამ ის გარემოება, რომ ამჟამად ძველ კვალიფიციურ მუშათა თითქმის მთელი შემადგენლობაა კადრში გადარიცხული და ახალ მოსულთაც აქვთ უკვე მცირეოდენი საწარმოვო სტაჟი და კვალიფიკაცია, სავსებით უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების სასურველ დონემდე აწევას.

საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორია მუშათა ცხოვრების პირობები, დაწვრილებით შემდეგ წერილში შევჩერდები, ხოლო ამჟამად არ შეიძლება ხაზი არ გაესვას შემდეგ გარემოებას:

მუშებისათვის სურსათ-სანოვაგისა და ნოყიერი სადილის მიწოდება სამუშევართა ადგილზე დღემდე არ არსებობს. არაა არც ერთი სასადილო არა მარტო შავი ტვირთის, არამედ მათ გვერდზე მყოფ თეთრი ტვირთის მუშებისათვისაც. ეს კი დიდი ნაკლია. გარდა ამისა, მძიმე ფიზიკური სამუშაო, როგორიცაა შავი ტვირთი, მოითხოვს მუშათა დაკმაყოფილებას პურის საკმაო რაოდენობით, არა ნაკლებ ერთი კილოსი სულზე. ამ საკითხის შესახებ ტრესტს აღუძრავს კიდეც შუამდგომლობა, რის გამოც სათანადო ორგანოებს ერთი ვაგონით გაუდიდებიათ ადგილობრივი კოოპერაციისათვის ფქვილის ულუფა, მაგრამ ეს ზედმეტი რაოდენობა ფოთის მოქალაქეთა მთელ შემადგენლობაზე ერთნაირად ნაწილდება და შავი ქვის მუშებს დღემდე აქედან არაფერი რგებიათ.

სასადილოს მოუწყობლობაც, — ამხ. მოდებაძის სიტყვით,—ფოთის მუშკოოპის სისუსტეს მიეწერება, მათ არ უზრუნვიათ დღემდე ამ საქმეზე, თუმცა ტრესტი ყოველგვარ დახმარებას პირდება. ალბათ ეს ანომალობა ახლო მომავალში იქნება ამოწურული ადგილობრივ ორგანოების მიერ.

გ. რიონიძე.

კინო

„ახალგაზრდობა იმარჯვებს“

რეჟ. მ. გელოვანი. ოპერატორი დილმელოვი.

დრომოჭმულ ადათებით და ჩვეულებებით ავსილი ჩვენი ყოფა მოითხოვს დაუზოგავი ძლით გაწმენდას.

ოდნავ შეგნებული ადამიანისათვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია სისხლის აღების ადათი და ჩადრის ტარების ჩვეულება.

ახალი ყოფის განმტკიცების გზაზე ამ კარჩკეტილობის და მონობის უსაზიზღრეს ფორმების მოსაკვეთად კინოს დახმარება პირდაპირ აუცილებლობას წარმოადგენს.

სახკინმრეწვის უკანასკნელი სურათი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ ამ მხრივ დიდი იდეური გამარჯვებაა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ჩვენმა კინომ უნდა შექმნას ფილმების მთელი სერია.

კინო, როგორც ყველაზე უფრო მასიური და ინტერნაციონალური ხელოვნება, დამყარებულია მხედველობითი აზროვნებაზე. როდესაც სცენარი არ არის აშენებული ასეთი აზროვნებით, სურათი ლიტერატურული ან პლაკატური გამოდის, ველარ მოქმედებს მაყურებელზე ქვეცნობიერების გზით.

ყოველი დადგმის წინ, ჩვენი ფიქრით, ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

სარეცენზიო ფილმის ნაკლოვანებანი, გარდა ამ ზოგადი შენიშვნისა, სცენარის გროტესკული ჟანრიდანაც წარმოდგება.

კულტურ.- ფილმებში დაუშვებელია ჰიპერბოლა და ვოდევილური სტილი.

სისხლის აღების საშინელება, რომელიც ჩვენს სინამდვილეში პიროვნების მოსპობიდან ხშირად გვარეულობის და ზოგჯერ სოფლების ფიზიკურ განადგურებამდეც მიდის, ქათმის ფეხის მოტეხით არ იწყება. ამ მოვლენას უფრო მეტი ეკონომიური და მორალური მიზეზები აქვს. (ავადმყოფური თავმოყვარეობა, კერძო საკუთრების ინსტიტუტი).

„ახალგაზრდობა იმარჯვებს“ მიზნობრივად უფრო გამართლებული და დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ერთ კვალ მიწიდან ან უაზრო დღეობიდან შექმნილიყო მისი კონფლიქტი.

მიუხედავათ თქმულისა, სურათი შეუსუსტებელ ინტერესს იწვევს. ყოველი კადრი იზიდავს მაყურებელს, იგი ზოგჯერ დიდი სიხარულითაც განიცდის ახალგაზრდობის სალსა და ხალისიან მოქმედებას.

რეჟისორის მიერ კარგად არის გამოყენებული ქალაქის სასროლეთი.

ნატურალისტური სტილიზაცია დასაშვებია ისეთი ხასიათის სურათებში. ზედმიწევნით კარგი ოპერატორული მუშაობა, ახალგაზრდა მსახიობების ბუნებრივი თამაში და ყველასათვის გასაგებად გაკეთებული თანამიმდევრობა საბოლოოდ იმორჩილებს მაყურებელს.

ახალგაზრდობის გამარჯვებასთან ერთად ეს სურათი რეჟისორის და სახკინმრეწვის გამარჯვებაც არის.

ბ. ზ.

სასამართლო

ახალი გამგე

გასული წლის ივნისში, მუშკოოპის № 1 მაღაზიის ხილეულის სექციის გამგის „სავარძელი“ დაცალიერებული იყო და თანამშრომლები გულის ფანცქალით მოელოდნენ ახალი გამგის მოსვლას.

ვინ იცის რანაირი კაცი იქნება? ვაი თუ სულ ყველანი დაგვფერთხოს! იქნება ისეთი უხეში კაცია, რომ მასთან მუშაობას უმუშევრობა ვამჯობინოთ, —ფიქრობდნენ ნოქრები.

ეშველა! გამოჩნდა ახალი გამგე. გარეგინ ყირმიზოვი, რომელიც მანამდე № 38 მაღაზიაში მუშაობდა, გადაყვანილ იქნა პირველ მაღაზიაში ხილეულის სექციის გამგედ.

ნოქრების შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. არავითარი მრისხანება და უხეშობა არ ეტყობოდა გარეგინს. პირიქით, ძალიან ტკბილი საუბრით შეხვდა ახალი გამგე ნოქრებს. დაათვალიერა მათი თანხლებით მოწყობილობა და მოიწვია „თათბირი“.

თათბირი ატარებდა მეტად ვიწრო და საიდუმლო ხასიათს. დაესწრო ახალი გამგე ყირმიზოვი და მის მიერ არჩეული ორი ძველი და გამოცდილი ნოქარი. ფაილაძე და ფუთურიძე.

— თუ ღმერთი გწამთ, — მიმართავს ახალი გამგე ნოქრებს, — მითხარით, რანაირი კაცი იყო თქვენი გამგე, რომელიც ჩემს მოსვლამდე აქ მუშაობდა?

— რა მოგახსენოთ... არა უშავდა.

— თუ რამეს გაძლევდათ ნაქურდალ ფულიდან?

— რას ბრძანებთ! — გაკვირვებული დარჩენ ნოქრები. — ჯერ ერთი, ქურდობას როგორ გაბედავდა და, გარდა ამისა, თუნდაც რომ შემოეძლია ნაქურდალის წილი, ჩვენ ავიღებდით?

— თუ არაფერს გინაწილებდათ, დიდი უსინდისო კაცი ყოფილა. ალბად, მარტო თვითონ სჭამდა ნაქურდალს. ეს კი არ არის პატიოსნება...

— ალბად, არ ქურდობდა, — უპასუხეს ნოქრებმა, რომელნიც გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ ახალ გამგეს.

— თუ არ ქურდობდა, „დურაკი“ ყოფილა,— ჩაიცინა ყირმიზოვმა და ხელი გაუწოდა ნოქრებს. მომეცით ხელი! შევფიცოთ ერთმანეთს ერთგულობა, ვიმუშაოთ შეთანხმებულად, არ გავსცეთ ერთმანეთი. მე „ძველი“ ვარ... თქვენც „ძველი“.. თქვენც გიჭამიათ, მეც მიჭამია! გამოუტყდით ერთმანეთს. ასე მეგობრებო, ყველა სჭამს ეხლა. მოდი ჩვენც ვჭამოთ!

— რას ბრძანებთ! როგორ იქნება! — ნოქრებმა ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება ახალ გამგეს. იფიქრეს, — რაღაც მახეს გვიგებსო.

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ყოველდღე 4—5 მანეთს სახარჯოთ ჯიბეში ჩაგიდებთ, ოღონდ ვიმუშაოთ შეთანხმებულად...

საიდუმლო თათბირი დასრულდა. ნოქრებმა თათბირზე „გაშუქებული საკითხების“ შესახებ აცნობეს მთავარ გამგეს.

— შეჰფიცეთ ერთგულობა, გამოართვით ფული და მერე ჩვენ ვიცით, — დაარიგა ნოქრები მთავარმა გამგემ.

ყირმიზოვმა გააძვირა ხილი. მომხმარებლებს ახდევინებს ორმაგს. ვაჭრობას აწარმოებს მიკიტნური წესით. არც ჩეკი, არც სალარო. ფულებს ისე ჰყრის უბრალო უჯრაში, ზოგს — ჯიბეში იდებს. დარწმუნებულია, რომ ნოქრები უკვე მოსყიდული ჰყავს. ისინი კრინტს არსად დასძრავენ. დაპირება, რომ ყოველდღე 4—5 მანეთს ასარგებლებდა მათ, ყირმიზოვმა დაივიწყა. თითო მანეთი წაუგდო და შემდეგისათვის ჩერვონცები აღუთქვა.

ეს მანეთიანები ნოქრებმა გადასცეს გამგეობას. გამგეობამ მოისურვა ყირმიზოვის დაჭერა ქურდობაში. დანიშნეს ფული. შეგზავნეს მაღაზიაში მათი წარმომადგენელი, თითქოს უბრალო მყიდველია. ყირმიზოვმა ორმაგი ფასი გადაახდევინა მომხმარებელს, ხოლო დანიშნული ფული ჯიბეში ჩაიდო, როგორც ზედმეტი „გამოსარჩენი“.

ყირმიზოვი გაჩხრეკილ იქნა. ჯიბეში აღმოაჩნდა დანიშნული ფული. დაპატიმრებული ყირმიზოვი გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით.

ყირმიზოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით სასტიკი იზოლიაციით, და ხუთი წლით აეკრძალა თანამდებობის დაკავება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებაში.

ზერ.

შემთხვევები

რამ გამოიწვია ხანძარი ცენტრალურ ბაზარში

როგორც გამოირკვა, ხანძარი პირველად გაჩნდა მოქ. არტოზოვის კალაპოტების დამმზადებელ სახელოსნოში. ფიქრობენ, რომ ხანძარი გამოიწვია პაპიროსის ნამწვავმა. ხანძრით გამოწვეული ზარალი 10.000 მანეთს აღემატება.

გვამის პოვნა

ზემო ვაკეში (ვარაზის ხევის მახლობლად) გამვლელებმა იპოვეს ახლად დაბადებულ ბავშის გვამი.

გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

თავის მოწამვლა

გუშინ, იოდით თავი მოიწამლა მარიამ ჲოსების ასულმა ტოგონიძემ — (მცხ. ფოთის ქ. № 7), რომელიც გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. თავის მოწამვლის მიზეზი — ოჯახური უსიამოვნებაა.

ქეიფობის დროს

რესტორანში ქეიფის დროს სპირდონ ვასილისძე ლაპედინს მისმა მეზობელმა ვასილ ბარიტკინმა ჯიბიდან ამოაცალა 78 მანეთი და სხვადასხვა საბუთები და მიიმალა.

მკვლელობა გაძარცვის მიზნით

7 აპრილს, სამი შეიარაღებული ბოროტგამზრახველი თავს დაესხა ნანია დოლიძის ბინას (სოფ. საყრდიანი, ერწოს სამილიციო უბანი). წინააღმდეგობის გაწევისას თავდასხმელებმა მოჰკლეს ნანია დოლიძე და მისი ცოლი ნინო. ბანდიტებმა მოახერხეს 100 მანეთის გატაცება. ამ დღეებში ერწოს მილიციამ თავდამსხმელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: სოლომონ ნიკოსძე ნავდარაშვილი, გოგია ივანესძე ნავდარაშვილი, და ნიკო ივანესძე სვიმონიშვილი (სოფ. საყრდიანის მცხოვრებნი). ბოროტმოქმედნი გამოტყდენ დანაშაულში.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ბიკ. ლიაშენკოს ბინა (არკადის შეს. № 16), წაიღეს 100 მანეთის ნივთები. — ვასილ ავზიევს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 140 მანეთი. — სერგო სოკოლოვის ბინიდან (ენგელსის ქ. № 32), მოიპარეს 100 მანეთის ნივთები. — გაქურდეს ზაქარია მანველიძის ბინა (მარტყოფის ქ. № 16), წაიღეს სხვადასხვა ნივთები. — გარდა ამისა, 16 აპრილს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

შრომის დაცვა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო საქართველოს ტრესტებთან შრომის პირობების გაჯანსაღების შესახებ ტრესტებში შემავალ წარმოებებსა და დაწესებულებებში.

თანახმად ხელშეკრულებისა, წელს უშიშროების ტეხნიკაზე დახარჯული იქნება 66.545 მანეთი, სამრეწველო სანიტარიაზე — 95.245 მანეთი. ვენტილიაციაზე — 201.990 მანეთი, დამხმარე შენობებზე და მოწყობილობაზე — 183.775 მან. და სხვა ღონისძიებებზე — 272.000 მანეთი. შარშანდელთან შედარებით საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმოებების მიერ წელს შრომის დაცვის ღონისძიებებზე დახარჯული იქნება 746.300 მანეთით მეტი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 18 აპრილი, რადიო-მუშაკთა დასვენების დღეა, რადიო-გადაცემა არ შესდგება.

პარასკევი, 19 აპრილი

პარასკევს გადაცემული იქნება შემდეგი რადიო-პროგრამა:

საღამოს 5 საათიდან—ეროვნულ უმცირესობათა მოსწავლეებისა და პიონერების საათი; მოხსენება—„პროფინტერნის მე-4 კონგრესი (მოხსენება პროფსაბჭოდან), ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზ. „ენი კენდ“ რადიოით, თურქულ ენაზე; საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ, ქართულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი.

საღამოს 8 საათიდან გადაცემული იქნება—რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; კონცერტი ისტორიული ციკლიდან—დასავლეთის მუსიკა და მისი განვითარების პირველი პერიოდი; რადიო-მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); უკანასკნელი ამბები რუსულ და ქართულ ენაზე; მორზეს ანბანი ქართულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 18 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

შავ მუშათა სექციიდან: აზატ პერტოსიანი, არმენაკ ანდრიასოვი, მარიამ ტესინოვა, მარიამ არუთინოვა, ანნა ნასყიდაშვილი, ნინო გრიგორიანცი, ამაიაკ გრიქუროვა, ანნა სმირნოვა, მარიამ ვარსენაშვილი, შელიქიანცი, ნინო მარქაროვა, ეფრემ ლიურიკი, სიმონ პანოსიანი, მნაცაკან ტერ-აკოპოვი, ნინო სამხარაძე.

მედსექციიდან: ევგენია იპოლიტოვა, თამარ სირბილაძე, ნადია მურაშენკო.

გონებრივ მუშათა სექციიდან: სოფიო გურგენიძე, მარიამ წულუკიძე, გიორგი იურევსკი, მარიამ ნაზუქიშვილი, ნადეჟდა ორჯონიკიძე, მიკირტიჩიანცი, გარეგინ მადათიანი, თედო თურქაძე, ანდრო აფაქიძე. ამას გარდა სექციას სჭირდება („სოფლის კავშირი“-ს მოთხოვნილებით) ერთი აგრონომი — მეაბრეშუმე ხუთი წლის სტაჟით.

რკინისგზელთა სექციიდან: ბიქტორ კონოვალოვი, გაბრიელ ბრეგვაძე, ივანე ჯარგიშვილი, ალექსანდრე მელაძე, ბაბა ლაჩინოვი, ბიქტორ მადერი, ერმილე ლორთქიფანიძე, ირაკლი პატარიძე, პროკოფი გივიანი, გიორგი კალანდარაშვილი, გერმან კორავა, ისაკი ჩაველეშვილი, თედორე ლუკიანოვი, გიორგი გვარაშვილი, იოსებ პაპიაშვილი, მიხეილ ტრიფონოვი.

შრომის კომისარიატის განმარტება

ს.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, უმუშევრებს, რომლებიც დროებით დაინტერესებული არ არიან სამუშაოს შოვნაში, შეუძლიათ მოიხსნან (დროებით) აღრიცხვიდან.

აღრიცხვიდან მოხსნის ვადას თვით უმუშევარი განსაზღვრავს, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 18 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 66), შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის მორიგი სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ პარტიაში მისაღები ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები: შალვა ნიკოლოზისძე ნინიაშვილი, ვარლამ ეგნატესძე გაბუნია, სერგო გიორგისძე დავითაშვილი, ანდრო სოლომონისძე ბიბილეიშვილი, ივანე ანდროსძე კაზიშვილი, ანტონ ბეჟანისძე კაზიშვილი, დავით ივანესძე ხარხერაული, დავით გიორგისძე ბიბილური, თამარა იოსების ასული ოვანოვა, აკაკი მიხეილისძე კოხრეიძე, პანტელეიმონ ბართლომესძე ნიკოლაიშვილი, ლიუბა თედორეს ასული ჩერკიზოვა, ელენე გრიგორის ასული აკოფოვა, ეფემია ნიკოლოზის ასული მარგიშვილი, ნინა ალექსანდრეს ასული ტინტიკოვა, სიმონ პეტრესძე კუბარევი, ლაზარე გაპაევისძე აბაევი, ალექსი ალექსანდრესძე სტოპკინი, ივანე ეგორისძე შართავა, გაიკ გაბრიელისძე ასლანიანცი, ალექსანდრე გიორგისძე ჩხეტიანი, პლატონ დავითისძე სალია.

დღეს, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომპ. თბ. კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 66), შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის მორიგი სხდომა. მიმღებ კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში (რუსთაველის პროსპ. № 21), მოწვეულია, საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის სხდომა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმთან ერთად. კომკავშირის ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის, ცეკას, თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიების წევრები სხდომაზე შევლენ თავიანთი მანდატებით, დანარჩენები ბილეთებს მიიღებენ კომკავშირის რაიკომებში.

დღეს, საღამოს, 8 საათზე შესდგება საქ. პოლიტ. ინსტ. მექ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. ბიუროს სხდომა. წევრ - კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს, 19 აპრილს, დილის 7 ნახევარ საათზე, ლენინის სახელობის საქ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობაში უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტთან არსებულ რაზმის ყველა კავალერისტები დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება, იუწყება, რომ ხუთშაბათს, 18 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიონულ კომიტეტში (აღმასკომის ქუჩა № 7) მოწვეულია ქალთა ორგანიზატორებისა და ქალთა კომისიების თათბირი.

სავალდებულოა ყველას გამოცხადება.

ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება სადელეგატო კრების მეცადინეობა: 1-ლი ჯგუფის — პლეხანოვის სახ. კლუბში, მე-2 ჯგუფის— რკინის გზის სამმართველოში, მე-3 ჯგუფის — ძერჟინსკის სახ. კლუბში (დტოოგპუ), მე-4 ჯგუფის — რკინის გზის სამმართველოში.

სახ. უნ. სამკ. ფაკ. არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება. დღის 1 საათზე შესდგება ბიუროს სხდომა, აქტივთან ერთად.

თბ. სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო - კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრო - ფაკის მე-3 და, მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრკანდიდატებს, დღეს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდნენ აგრო - ფაკის შენობაში.

დღეს, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საზ-ბა „წერა - კითხვა“-ს ცენტრალურ გამგეობის ბინაზე (თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა) შესდგება ქ თბილისის ყველა რაიონების „წერა-კითხვა“-ს პრეზიდიუმების გაფართოებული სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

უბედური დედა გაიანე, გულდამწვარი დები ლიზა, ნატაშა, ტასო და ნინო კასრაძეები და სიძე ვასო ციცქიშვილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 9 აპრილს აბჰესში სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს უდროოდ და ტრაგიკულად დაიღუპა მათი ერთადერთი ნუგეში ახალგაზრდა ინჟენერი

მიშა დიმიტრის-ძე კასრაძე

გამოსვენება დღეს, 18 აპრილს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე ხელოვანთა სასახლიდან (ყ. სერგიევის ქ. № 13) ვერის ახალ სასაფლაოზე. 1456

გულმოკლულნი ნიკოლოზ, დავით, გალაქტიონ და სილოვან სამადაშვილები დებით და ოჯახობით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ მამიდაშვილის

ინჟ. მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს აბჰესში. 1459

ლეონტი, ნიკოლოზ, ირაკლი დედით, ოჯახობით და დები ალექსანდრა, მარიამ, თამარ და კატუშა თოთლაძეები, სიძეები ვასო ედილაშვილი, ალექსანდრე ბებურიშვილი და ილუშა კოტიაშვილი აუწყებენ საზოგადოებას პირველთა მამიდაშვილის, მულის შვილის და მეორეთა მეგობრის სიცოცხლით აღსავსე

ინჟ. მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. (შ)

გულდამწვარი და მანია დიმიტრის ასული და სიძე შალვა გაბრიელის-ძე გულისაშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დაუვიწყარი და საყვარელი ერთადერთი ძმის, ახალგაზრდა ინჟენერის

მიშიკო კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას 9 აპრილს აბჰესში სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს. გამოსვენება დღეს 18 აპრილს ნაშუადღევის სრულ 3 ნახ. საათზე. ხელოვანთა სასახლიდან (ყ. სერგიევის ქ. № 13) ვერის ახალ სასაფლაოზე. 1456

ალიოშა ჯაფარიძე, კოკი ქეიშვილი, გრიშა ხვიჩია, ლადო აბაშიძე, ბესიკო და ჟორა მიქელაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, დაუვიწყარი მეგობრის, ახალგაზრდა ინჟენერის

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. 1453

მინადორა დიმიტრის ასული და კორნელი სამსონის-ძე კეკელიძეები, შვილებით კოტე და ილიუშათი, გულისტკივილით აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს ერთადერთი ძმის, ცოლისძმის და ბიძის, ახალგაზრდა ინჟენერის

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. მიცვალებულის გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან მოხდება ხუთშაბათს, 18 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე. 1456

გულდაწყვეტილი და გაუბედურებული ლელო და შოთა ახალშენიშვილები, დედა ანეტა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ აბჰესში ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის მარად დაუვიწყარი ძმა და მეგობარი

ინჟ. მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძე

დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან—დღის 3 ნახ. საათზე. 1441

მანანა და ივანე შარაშიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას მეგობრის

ინჟ. მიშა კასრაძის

აბჰესში ტრაგიკულად გარდაცვალებას. 1440

ალექსანდრე მინდიაშვილი მეუღლით ელენეთი და ნინო მინდიაშვილი შვილებით: რუსუდანი, შოთა, და თამარით ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მათი ნათესავის ახალგაზრდა

ინჟ. მიშა კასრაძის

აბჰესში ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 1450

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ილიკო, ვალოდია და პოლიკარპე ქუჩუკაშვილები მეუღლითურთ ეფროსინე, თამარი და ჟენიათი, დები: მარუსა, ნადია და თამარი თავიანთი ქმრებით: კოლა ბუთხუზი, ივანე ციხითათრიშვილი და ალექსანდრე მელიქია აუწყებენ საზოგადოებას, რომ აბჰესში ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის უსაყვარლესი დეიდაშვილი

ინჟ. მიშა კასრაძე

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, დღეს, 3 ნახ. საათზე, გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან. 1448

ივანე სვიმონის-ძე და მეუღლე ევდოკია დიმიტრის ასული, შვილები: ელენე, კონსტანტინე და ნანა ლეკაშვილები და სიძე ევგენი იმნაიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფას ახალგაზრდა ინჟენერის

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. (შ)

დამწუხრებულნი ბიძაშვილები: გაბო, ლევანი, სერგო, ვანო და ირაკლი კასრაძეები ცოლ-შვილით, ელენე კასრაძე და ვერა ბარათაშვილისა ქმარ-შვილით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

მიშა კასრაძე

ტრაგიკულად დაღუპვას. 1449

მარიამ და ნიკო მერაბიშვილები, მარიამ გარ[illegible]შვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. 1446

ღრმათ დამწუხრებული მეგობრები იოსებ გაბრიჩიძე, ტიტო ახმეტელი, ირაკლი ღამბაშიძე და დიმიტრი მალალაშვილი აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ მეგობრის

ინჟენერ მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. 1455

გულდამწვარი ძალო ნინო კასრაძისა, ბიძაშვილი ელენე და სიძე ნიკოლოზ ცომაიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი ახალგაზრდა

ინჟ. მიშიკო კასრაძის

ტრაგიკულ დაღუპვას აბჰესში. (ე)

გულდაწყვეტილი მეგობრები ლეო ახალშენიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, ელიზბარ ჩხიკვაძე და გიორგი წერეთელი იუწყებიან, რომ აბჰესში ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის უძვირფასესი მეგობარი

ინჟ. მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძე

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, 18 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე. 1441

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: კ. ქოქოსაძე, რ. ჯიქია, აბ. ჩაჩანიძე, დ. გვანცელაძე, მ. ბრეგვაძე, დ. ლეჟავა, ნ. ბეჟანიშვილი, ალ. დევიძე, ვ. მოისრაფიშვილი, მ. ყარახანიშვილი, ნ. ტყემალაძე და მ. ნასიძე ცხარე ცრემლით დასტირიან საყვარელ მეგობრის

ინჟ. მიშა კასრაძის

ცხედარს. 1451

უახლოესი მეგობრები: მ. ტყავაძე, ე. ჩიქოვანი, ა. ცაბაძე, ვ. ფოფხიშვილი, ა. მაქაბერიძე, ბ. მდივანი, გ. დათეშიძე, მ. ხევსურიანი, ვ. მამალაძე, ვ. მაჭავარიანი, კ. კალატოზიშვილი, ე. ხახუტაშვილი, ბ. ჯანელიძე, ა. ჯაფარიძე, გ. ლაზრიშვილი და გ. ხვიჩია აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს ძვირფას მეგობრის

მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძის

სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. 1458

მე-3 შრომის სკოლის პედ. საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის თანამშრომლის ძმის

ინჟ. მიშა კასრაძის

ტრაგიკულათ დაღუპვას. 1454

დამწუხრებულნი დეიდა ანა გიორგის ასული იორამიშვილი-ჭინჭარაძისა და დეიდაშვილები: ქეთო და თინა ჭინჭარაძეები იუწყებიან მათთვის ძვირფასი

კოტიკო ჩხეიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. 1447

ელენე და პაატა მგალობლიშვილები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

კოტიკო ჩხეიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა 18 აპრილს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან 3 ნახ. საათზე. 1447

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ამხანაგები: გაიოზ კანდელაკი, გოგია ტატიშვილი, გერმანე თალაკვაძე, ჟორჟიკა ძოძუაშვილი, ჟორჟიკა ვორონოვი, საშა ანდრონიკაშვილი და გოგია მგელაძე აუწყებენ საზოგადოებას უსაყვარლეს და დაუვიწყარ მეგობრის

კოტიკო ჩხეიძის

აბჰესში ტრაგიკულად დაღუპვას. 1444

თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის 1926 წ. კურსდამთავრებული ამხანაგები, ულრმეს მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ძვირფას მეგობრის, ინჟ. ტეხნიკოსის

კოტიკო ჩხეიძის

აბჰესში ტრაგიკულად დაღუპვას. 1445

ღრმათ დამწუხრებული ალექსანდრე, ელენე და ნოდარ გლურჯიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

ინჟ. მიხეილ კასრაძის და ტეხნ. კონსტანტინე ჩხეიძის

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. დაკრძალვა 18 აპრილს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. 1439

აბჰესის თანამშრომლები სტანისლავ ფაცანოვსკი, გრიგოლ დევანოსიძე, გიორგი ფოფხაძე, ვანო ასაჯანიშვილი და ჟორა ვორონოვი იუწყებიან აბჰესის

ინჟ. მიშა კასრაძის და ტეხნ. კოტიკო ჩხეიძის

ტრაგიკულათ დაღუპვას. ნ. 2553

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ს.ს.პ.ი. „ტეხნიკური სექციის“ ელ-ამრთველი სტუდენტები: რ. ცირეკიძე, ა. პაპავაშვილი, ბ. ლომიძე, მ. თავდგირიძე, გ. ნოდია, კ. ლარიონი, გ. რუხაძე და ს. ქორქიაშვილი აუწყებენ საზოგადოებას უძვირფასესი ამხანაგის და მეგობრის

ინჟ. მიხეილ კასრაძის და ტეხნ. კოტიკო ჩხეიძის

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. (შ)

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ აბჰესში მუშაობის დროს დაიღუპა ორი მისი ახალგაზრდა წევრი

ინჟენერი მიხეილ კასრაძე და ტეხნიკოსი კონსტანტინე ჩხეიძე

გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან დღეს 3 ნახ. საათზე. 1442

აბჰესის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ინჟინერ მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძის და ტეხნიკოს კონსტანტინე გიორგის-ძე ჩხეიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა 18 აპრილს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, მახაბლის № 13. 1452

აბჰეს-ქუთაის-ხონი-სამტრედიის ელგადამცემ ხაზის კანტორა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს თავდადებულ ამხანაგების აბჰესის თანამშრომლების

ინჟ. მიშა კასრაძის და ტეხნ. კოტიკო ჩხეიძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ნ. 2558

თავზარდაცემულნი: დედა კატო, ძმა ბესარიონ, რძალი ოლია პატარა აზიკოთი, დები: ანიჩკა, (შვილებით) მარია, შუტუ, ქეთო, თამარ და ნინო კალანდაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 17 აპრილს, გარდაიცვალა მათი საყვარელი

მიხეილ (მიშა) იულონის ძე კალანდაძე

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე: საქანელას დაღმართი (კარუსელის) № 18. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

დამწუხრებულნი მამიდა კესარია მასხულია, და ნარიობი, მამიდაშვილი კატუშა მასხულია-დეხანოვა იუწყებიან

ნინა კანდელაკის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან 18 აპრილს, 4 ნახ. საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 2556

---

17 აპრილს გარდაიცვალა

ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილი

რასაც იუწყებიან მისი შვილები, შვილიშვილები და რძლები. დაკრძალვა ხუთშაბათს 18 აპრილს, დილის 10 საათზე. კუკიის სასაფლაოზე (ანტონიევის ქუჩით). 1443

საზ. აკ. ოპერის
თეატრი

ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
გასტროლები თბილისში

ხუთშაბათს 18 აპრ. — მე-3 აბონემ. მე-2-რე წარმოდგენა **ლიანდაგი გუგუნებს** დრამა 4 მოქ. ვ. კირშონის

პარასკევს 19 აპრილს — 1-ლი აბონემენტის 2 წარმოდგენა **ცხვრის წყარო** (ფუენტე ოვეხუნა) პიესა 3 მოქ. ლოპე დე-ვეგასი თარგ. კ. მაყაშვილის

კვირას 21 აპრ. — პრემიერა— აბონემენტის გარეშე **ყვარყვარე თუთაბერი**

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ

ამა წლის 26 აპრილს მოსკოვში შესდგება

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის

მოგებათა მე-2 ტირაჟი

ამ ტირაჟში გათამაშდება:

პროცენტიანი გამოშვების:			უპროცენტო გამოშვების:		
4	მოგება	5.000 მან.	14	მოგება	5.000 მან.
80	„	1.000 „	280	„	1.000 „
600	„	250 „	2.100	„	250 „
22.516	„	100 „	83.006	„	100 „

სულ 23.200 მოგება 2.501.600 მანეთის რაოდენობ.

სულ 85.400 მოგება 9.175.600 მანეთის რაოდენობ.

სულ ორივე გამოშვებით გათამაშებული იქნება 108.600 მოგება 11.677.200 მანეთის რაოდენობით.

სახელმწიფო ბანკი, შემნახველი სალაროები და ყველა საკრედიტო დაწესებულებანი ყიდულობენ და ჰყიდიან ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციებს თანხის განუსაზღვრელად.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი, ამიერ- კავკასიის საოლქო კანტორა

ქ. ფოთში

გაზ. „კომუნისტ“-ზე

ხელის მოწერა მიიღება ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში

0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს)“ პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	მხატვრული სურათი საქ. სახ. კინომრეწველობის ნაწარმოები **ახალგაზრდობა იმარჯვებს** სცენარი გ. მდივანის ვ. შკლოვსკის თემის მიხედვით რეჟისორი მ. გელოვანი ოპერატორი ა. დილმელოვი
სოლეი	
კალასი	
არფასტო	
მინიონი	პატი და პატაშონი კომედიაში **პოლიციელნი**
აპოლო	**ნანა** ე. ზოლას რომანის მიხედვით
დარბაზი	**გრაფი მონტე- კრისტო** ა. დიუმას მოთხრობის მიხედვით 1 და 2 სერია
პროლეტარი	ჰაროლდ ლოიდი კომედიაში **მეშვიდე ცაზე**

0—14

სახელგამის პერიოდიულ გამოცემებზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ:

თუ რომელიმე ხელის მომწერი არ ღებულობს ჟურნალს, არ არის სწორად აღნიშნული მისამართი, ან ადგილი აქვს სხვა რაიმე გაუგებრობას, სასწრაფოდ უნდა აცნობოს ამის შესახებ სახელგამის პერიოდ—სექტორს—მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 11 სახელგამის მაღაზია—„საბჭოთა ბუკინისტი“. განცხადებაში უნდა იქნას აღნიშნული ქვითარის ნომერი, რა ჟურნალზე და რა ხნით აქვს ხელი მოწერილი და ხელმომწერის მისამართი.

ნ. 2557 სახელგამი

თელავის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ხ. ყარასაშვილი

ამით აცხადებს, რომ 20 ამა აპრილს, ქ. თელავში, დილის 10 საათ. რიგეში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შვიდ ძროხას, 2 დეკეულს, 2 მოზვერს 2 ცხენს და 1 ხბოს, შეფასებულს 525 მანეთად; საქონელი ეკუთვნის გიორგი და ივანე სისაურს და ბაბო ლიქოქელს, და იყიდება სვიმონ სუმბაძეს, სოსია შათირიშვილის, სანდრო შაშვიაშვილის და გაბო ოთარაშვილის ვალი 670 მან. დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა № 3425. ნ. 2555

---

21 აპრილს, დღის 12 საათზე
მუშკოოპის შენობაში (ყორესის ქ. № 7)
შესდგება
დახურული საჯარო ვაჭრობა ყინულის მიტანაზე მუშკოოპის მაღაზიებში

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ამხ. ხვედელიძესთან დილის 10 საათიდან 11-დე ყოველდღე.

2—1—ნ. 2555 მუშკოოპის გამგეობა

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტროქურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვისპროსპ. № 10

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა

ქვესპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.

ტელ. №25—73 25—6 1240

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა

ექიმი
ნ. გ. კონტოროვიჩისა

ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა

ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება

მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტლფ. 10—14 412 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექიმი
ა დ კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე

ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29

ელსმენი—11—78.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

1272—25—

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.

ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ. კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ბუტბუტებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი (შეშხ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი

მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.

კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად

1274—25—1

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 128 და ინვალიდობას მოწმობა მიხა ბიჭიას ძე კობახიძის სახელზე, ჩ. გ. 1438

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 11486 და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1485 სერგო ვარლამის ძე გეჩაძეს სახელზე, ჩ. გ. 1457

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე მისამართი: კამოს ქუჩა, № 1 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 1 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—

ექიმი
ი. ტერ-ოვაკიმოვი

გადავიდა სოლოლაკში

დუმბაძის ქ. № 22 (ყ. ველიამინოვის) სპეციალობა სქესობრივი ფუნქციების დარღვევა (სქესობრივი ნევრასტენია)

ფსიქოთერაპია

მიღება საღ. 6—8 საათ. სიფილისით ავადმყოფთა მიღება დილით 11 საათიდან 1 საათამდე 25—

დაკარგვა: მუშკოოპის წიგნაკი № 41093 ნ. ნემსაძის სახელზე, ჩ. გ.

ტირაჟი—39.067

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ჟამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.